

178
1964.2



სახჭოთა სამართალი

საქართველოს კვლევითი პერიოდიკის გამომცემლობა

1964

2



საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი
1964 წელი

ბაზოცემის XI ფალი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ზინაარსი

ვ. რეზიაშვილი — ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის ბელადი და ორგანიზატორი . . .	3
ა. აბესაძე — მოქალაქეთა უფლებების აღმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ	11
შ. მგელაძე — საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულების ზოგიერთი საკითხი	19
კ. ვაჩეიშვილი — მოწმის ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფასების საკითხისათვის	27
ვრ. ნადირაძე — ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის შესახებ	36
ა. ტაკიძე — მეტი ორგანიზებულობა, ოპერატიულობა და სიზუსტე მუშაობაში	40
მ. კვეციანი — გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლოს განაჩენთა დამტკიცების შესახებ	44
ლ. ისაკაძე — საბჭოთა საქართველოს იურისტი ქალები	50

ბაზოჩინილი ქართველი იურისტები

პროფესორ გიორგი ალექსანდრეს ძე ნანეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა . . .	54
ზ. შველიძე — რევოლუციის სათავეებთან . . .	62

უცხოეთში

ე. პრალნიკოვი — თემიდა ჭეშმარიტად ბრმა . . .	71
--	----

კონსულტაცია

ს. ჯაფარიძე — სამედიკატორო სასამართლოს სტრუქტურა და უფლებამოსილება . . .	73
ალექსანდრე ფილიპეს ძე კლეინმანი . . .	76
ცხოველები, ფრინველები, მწერები სასამართლოში . . .	78
იუმორის გვერდი . . .	81
ინფორმაცია . . .	83

კრიტიკა და ზიჯლიოგრაფია

ვ. მაისურაძე, ა. ფალიაშვილი — სასარგებლო სახელმძღვანელო სტუდენტებისა და პრაქტიკული მუშაკებისათვის . . .	90
მოკლედ ახალ გამოცემებზე . . .	94

1964

СОДЕРЖАНИЕ



В. Рехвиашвили — В. И. Ленин — вождь и организатор коммунистической партии	3
А. Абесадзе — Об административно-правовых гарантиях прав граждан	11
Ш. Мгеладзе — Некоторые вопросы договора о прокате бытовых предметов	19
К. Вачешвили — К вопросу об оценке показания свидетеля, как источника доказательства	27
Гр. Надирадзе — О некоторых практических вопросах проведения опознания	36
А. Такидзе — Больше организованности, оперативности и четкости в работе	40
М. Кекелия — О порядке утверждения приговоров суда в позднефеодальной Грузии	44
Л. Исакадзе — Женщины-юристы советской Грузии	50

ВЫДАЮЩИЕСЯ ГРУЗИНСКИЕ ЮРИСТЫ

Жизнь и деятельность профессора Георгия Александровича Нанейшвили	54
З. Швелидзе — У истоков революции (Молодежь Закавказья в судебных процессах в России в 60—70 годах)	62

ЗА РУБЕЖОМ

Е. Пральников — Фемида и в самом деле слепа	71
--	----

КОНСУЛЬТАЦИЯ

С. Джапаридзе — Структура и правомочие третейского суда	73
Александр Филиппович Клейнман	76
Животные перед судом	78
Страницы юмора	81
Информация	83

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. Маисурадзе, А. Палиашвили — Полезное учебное пособие для студентов и практических работников	90
Коротко о новых изданиях	94

შეკვ. № 1173
ტრბაჟი 5.100
უგ 04325


სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
 პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
 მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
 ს. ჯორბენაძე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 24/IV-64 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-64 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კბ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
 Тбилиси, ул. Ленина 14.



3. ი. ლენინი—კომუნისტური პარტიის ბედი და ოკბანიზაციური

3. რევიზიონიზმი,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

1964 წლის 22 აპრილს შესრულდა 94 წელი კომუნისტური პარტიის დიდი ბელადისა და ორგანიზატორის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობრისა და საყვარელი მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან.

ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისი, მარქსიზმის ცხოველყოფილი იდეების შემოქმედებითი განვითარება. ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაშრომები ჭეშმარიტად წარმოადგენენ კაცობრიობის აზროვნების უდიდეს საგანძურს, ახალ მეცნიერულ შენაძენს საზოგადოების განვითარების კანონების შესასწავლად.

ვ. ი. ლენინის მთელი მჩქეფარე ცხოვრება და მოღვაწეობა მშრომელთა ბედნიერებისათვის დაუღალავი ბრძოლის საუკეთესო მაგალითია. ლენინს ღრმად სწამდა, რომ მუშათა კლასი და გლეხობა გახდებოდა მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეჩქარებინა ცხოვრებით ნაკარნახევი სამართლიანი საზოგადოების აშენების პროცესი.

ლენინმა განსაზღვრა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის სწორი გზა. ლენინმა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა რევოლუციურ პარტიას, რომელიც შეიარაღებული იქნებოდა მარქსისტული თეორიით და მუშათა კლასს ძღვევამოსილ სოციალისტურ რევოლუციამდე მიიყვანდა. ლენინმა გიგანტური ორგანიზატორული მუშაობა გაწავლა ახალი ტიპის პარტიის, მარქსისტული პარტიის შექმნისათვის და დიდი სიძნელებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად 1903 წელს შექმნა ასეთი პარტია. ეს იყო ბოლშევიკების პარტია, მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტია, რომელიც, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტად წარმოადგენს ჩვენი ეპოქის გონებას, სინდისსა და პატიოსნებას.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა ერთიანი სრულყოფილი მოძღვრება მარქსისტული პარტიის შესახებ, შეაიარაღა იგი სოციალისტური რევოლუციის ახალი მძლავრი იდეური იარაღით, შეიმუშავა პარტიის რევოლუციური მოქმედების საბრძოლო პროგრამა, მისი ტაქტიკა და სტრატეგია, პარტიული ცხოვრების ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები.

მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტიის საბოლოო მიზნად ლენინს მიაჩნდა კომუნისტური საზოგადოების აშენება. მან პარტიას უჩვენა კონკრეტული გზები ამ ისტორიული ამოცანის შესასრულებლად.

კომუნისტურ პარტიაში ლენინი ხედავდა ძირითად ორგანიზატორულ და წარმმართველ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს თავის გარშემო დარაზმოს მშრომელთა ფართო მასები და წარმართოს მათი ენერჯია სოციალური უკუღმართობის მოსპობისაკენ, ქვეყნად სამართლიანი საზოგადოების — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

ვ. ი. ლენინი დაუღალავად ამჟღავნებდა პროლეტარიატის პარტიის როგვანადაც ამზადებდა პარტიის ხელმძღვანელებს, პროფესიონალ რევოლუციონერებს. „მოგვეცით ჩვენ რევოლუციონერების ორგანიზაცია, — მიუთითებდა ლენინი, — და ჩვენ რუსეთს გადავატრიალებთ“. ლენინის ეს გენიალური წინასწარხედვა თვალნათლივ დაადასტურა ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელმა ისტორიულმა მსვლელობამ.

ამჟამად მთელი მსოფლიო მოწამეა იმ უზარმაზარი ცვლილებებისა, რომელიც მოხდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში. ისტორიულად უმოკლეს დროში ჩამორჩენილი რუსეთი მსოფლიოში უძლიერეს სოციალისტურ ქვეყნად გადაიქცა. ყველაფერი ეს მოპოვებულია ლენინის დროში, ლენინური იდეების ხორცშესხმის შედეგად, სწორედ ამაშია კომუნისტური პარტიისა და მისი ორგანიზატორისა და ბელადის ვ. ი. ლენინის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა რუსეთის კონკრეტულ-ისტორიული პირობებისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ახალი გამოცდილების მეცნიერული განზოგადების საფუძველზე შემოქმედებითად განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი, შექმნა ლენინიზმი — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. ლენინის მიერ მარქსიზმის განვითარება თვით საზოგადოებრივი ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიამ შექმნა მსოფლიო ბაზარი და ერთმანეთს დაუკავშირა დედამიწის თითქმის ყველა ხალხი, როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობებს არ ჰქონდა მიღებული ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც მიიღო მან შემდეგში, იმპერიალიზმის ეპოქაში. ლენინი კი მოღვაწეობდა იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც უაღრესად გამწვავდა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი, როდესაც აღმავალი კაპიტალიზმი მომაკვდავ კაპიტალიზმად, იმპერიალიზმად გადაიქცა და ბუნებრივია ახალ ეპოქას ესაჭიროებოდა სათანადო ანალიზი და საკითხების ახლებურად დაყენება.

ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსის მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის შესახებ. მან მოგვცა იმპერიალიზმის ღრმა ანალიზი, გამოამჟღავნა მისი წყლულები და აუცილებელი დაღუპვის პირობები. ლენინმა იმპერიალიზმის ეპოქაში აღმოაჩინა კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის შედეგად ხდება კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის შიგნით წონასწორობის მკვეთრი გაუარესება, წარმოიშობა იმპერიალისტური ომები, რომლებიც ასუსტებს იმპერიალიზმის ძალებს და შესაძლებელს ხდის გაიარდვს იმპერიალიზმის ფრონტი იქ, სადაც ყველაზე სუსტი აღმოჩნდება. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია შემდგომი ნაბიჯი იყო მარქსიზმის შემოქმედებით განვითარებაში.

სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ შეაიარაღა ყველა ქვეყნის მუშათა კლასი რევოლუციის გამარჯვების პირობებისა და მისი განვითარების ნათელი პერსპექტივებით. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ავითარებს მუშების ინიციატივას თავისი ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, თითოეული ქვეყნის

მუშათა კლასს უჩვენებს იმპერიალიზმისაგან წარმოშობილ აურაცხელი უბედურებათაგან ხსნის გზას.

1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ლენინმა აღმოაჩინა საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური ფორმა. „პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაგან დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე“¹ წერდა ლენინი 1917 წელს თავის ცნობილ აპრილის თეზისებში.

ეს იყო ლენინის მიერ მარქსიზმის შემდგომი განვითარება ახალ პირობებში, კაპიტალიზმიდან კომუნისტში გადასვლის პერიოდში. ამ უდიდესმა მეცნიერულმა აღმოჩენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

რუსეთის პროლეტარიატმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, 1917 წელს გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი და მოახდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა და დააკონკრეტა თავისი დებულება რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ლენინმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია საკმარისი იმისათვის, რომ რუსეთი აღარ იყოს უბადრუკი და უძლური, რომ ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება. „ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისაც, ადამიანთა ძალთა მარაგისაც, საუცხოო გაქანებისაც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ, რომ შეექმნათ მართლაც ძლიერი და უხვი რუსეთი“².

ვ. ი. ლენინმა არა მარტო თეორიულად დასაბუთა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სრული გამარჯვების შესაძლებლობა, არამედ პარტია შეაიარაღა ამ ისტორიული მიზნის განსახორციელებელი გეგმით. სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა ითვალისწინებდა: მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ყოველმხრივ განმტკიცების საფუძველზე პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომ გაძლიერებას; ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას და ამ საფუძველზე სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას; გლეხური მეურნეობის კოოპერირებას; კულტურულ რევოლუციას; ხალხთა შორის მეგობრობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის განმტკიცებას; საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური კავშირის გაფართოებას საერთაშორისო პროლეტარიატთან და მთელი მსოფლიოს იმპრომელ მასებთან; საერთაშორისო ურთიერთობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელებას.

სოციალიზმის მშენებლობის გეგმის წარმატებით განხორციელების ძირითად და გადამწყვეტ პირობად ლენინს მიაჩნდა იმპრომელთა უფართოესი მასების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის ამაღლება, მასებთან პარტიის კავშირის სისტემატური განმტკიცება.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 24, გვ. 6.

² ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, გვ. 176.

კომუნისტურმა პარტიამ მტკიცედ დაიცვა და განავითარა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა. პარტია წინ წაუძღვა საბჭოთა კავშირის ხალხებს სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განსახორციელებლად და უმოკლეს ვადებში ააშენა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენება ლენინური იდეების დიდი ზემოქმედებით. სოციალიზმის აშენების ძირითად იარაღს წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალისტური სახელმწიფო. ბუნებრივია, რომ სოციალიზმის მშენებლობის გამოსათან დაკავშირებით სსრ კავშირში სულ უფრო უნდა გაზრდილიყო საბჭოთა სახელმწიფოს როლი. საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცება, მისი სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციის შემდგომი განვითარება იმას ნიშნავდა, რომ ამალებულიყო, პირველყოვლისა, კომუნისტური პარტიის როლი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, გაძლიერებულიყო პარტიის წარმმართველი როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, განუხრელად ამალებულიყო მისი ავტორიტეტი, ეს იყო ლენინის ერთ-ერთი ანდერძი პარტიისადმი. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეასრულა ლენინის ანდერძი. პარტია საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა იყო სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ლენინი სოციალისტური სახელმწიფოს გაძლიერებისათვის მოითხოვდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას. ეს კავშირი მას პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპად მიაჩნდა. ამ პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება, სოციალიზმის მშენებლობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სოციალისტური მშენებლობის წლებში მრავალი ღონისძიება გაატარა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბრწყინვალედ შეასრულა ლენინის ანდერძი.

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა რა ლენინის მითითებებით საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმის აუცილებლობის შესახებ, სოციალისტური მშენებლობის წლებში განუხრელად იტარებდა კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობითი შეზღუდვისა და ლიკვიდაციის პოლიტიკას, ქმნიდა მოსახლეობის ყველა ფენის პოლიტიკური თანასწორობის პირობებს. 1936 წელს მიღებულმა სსრ კავშირის კონსტიტუციამ განამტკიცა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის პოლიტიკური თანასწორობა. კონსტიტუცია მოასწავებდა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის წარმატებით დამთავრებასა და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული საკითხის სწორად დაყენებასა და გადაჭრას. ცხადია, რომ მრავალეროვან სახელმწიფოში ეროვნული საკითხის გადაწყვეტაზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული სოციალიზმის ბედის საკითხი. ამიტომ კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდი მზრუნველობით უდგებოდა ამ საკითხს და მკაცრად და თანმიმდევრულად იცავდა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის მთავარი და გადამწყვეტი რგოლია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვა-

ნა თანამედროვე ინდუსტრიის ტექნიკურ ბაზაზე. ლენინი გვასწავლიდა, რომ მსხვილი მანქანური წარმოების გარეშე, რომელიც მოიცავს როგორც მრეწველობას, ისე სოფლის მეურნეობას, არ შეიძლება სოციალიზმის აშენება.

კომუნისტურმა პარტიამ, მიჰყვებოდა რა ლენინის ამ მითითებას, საბჭოთა ხალხი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზით წაიყვანა და უმოკლეს ვადებში ისტორიული გარდაქმნები განახორციელა.

კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად თანმიმდევრობით განახორციელა სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის თანდათანობითი ჩაბმის ლენინური გეგმა. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გლეხობის ფართო მასები კოლექტივიზაციის გზაზე დააყენა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის გატარებით სსრ კავშირში განუყრელად გაბატონდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, რომელმაც გზა გაუხსნა საწარმოო ძალების შემდგომ მძლავრ აღმავლობას. სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებით კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა ლენინის ანდერძი სოციალიზმის აშენების შესახებ.


ვ. ი. ლენინი სულისჩამდგმელი იყო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ერთ ძმურ ოჯახში გაერთიანებისა, რომელიც განხორციელდა ნებაყოფლობითი პრინციპის მტკიცე დაცვით 1922 წელს, სსრ კავშირის შექმნით. ლენინმა შეიმუშავა ეროვნული მშენებლობის ერთიანი პროგრამა. იგი ასწავლიდა პარტიას ეზრუნა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების გატარებისათვის, ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისათვის. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა შეურიგებლად ებრძოლათ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ — თვითმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ატარებს ცხოვრებაში ლენინის ბრძნულ მითითებებს ეროვნულ საკითხში.

ვ. ი. ლენინმა ღრმად დაამუშავა სსრ კავშირში კულტურული რევოლუციის გატარების ყველა პრინციპული საკითხები: უცოდინარობის ლიკვიდაცია, კულტურის გადაქცევა ნამდვილად სახალხო კულტურად, რომელიც ხალხს ემსახურება, ხალხთა მასების აღზრდა სოციალისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით. ასეთია უმნიშვნელოვანესი დებულებანი კულტურული რევოლუციის ლენინური თეორიისა, რომლითაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია თავის კულტურულ-ორგანიზატორულ საქმიანობაში.

სსრ კავშირში კულტურული რევოლუციის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა და სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სპეციალისტთა კადრების მრავალრიცხოვანი არმიის ჩამოყალიბება. საბჭოთა ინტელიგენცია — ეს მძლავრი საზოგადოებრივი ძალაა, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ამ ძალის გარეშე შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენება.

კულტურული რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ეროვნულ ნიადაგზე. რევოლუციას კულტურის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონ-



და, ვინაიდან, უამისოდ, არ გვექნებოდა არც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა, არც ჩვენი ქვეყნის თავდაცვა.

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და უძლეველობა უდიდესი ძალით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. სამამულო ომმა დაამტკიცა ხალხთა მეგობრობის ლენინური ცხოველმყოფელი ძალა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 94 წლისთავი ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში მასების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, როცა წარმატებით ხორციელდება პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

კომუნისტებისათვის ბრძოლა მთელი ჩვენი ცხოვრების მიზანი და აზრია. ჩვენს პარტიას კომუნისტური პარტია სწორედ იმიტომ ეწოდება, რომ მისი საბოლოო მიზანი კომუნისმია. კომუნისმი მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავს.

მარქსიზმ-ლენინისმი გვასწავლის, რომ კომუნისმი საზოგადოების მაღალსახეობაა და მას შეუძლია განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა სავსებით დამკვიდრდება სოციალიზმი. ჩვენში სოციალიზმი დამკვიდრებულია და სწორედ ამიტომ პარტიის XXII ყრილობა ისტორიაში შევიდა, როგორც კომუნისმის გაშლილი მშენებლობის ყრილობა.

სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის ერთ-ერთ პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა კომუნისტური შეგნების დანერგვა. ადამიანის ისე აღზრდა, რომ მისთვის შრომა გადაიქცეს პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ლენინი ყოველთვის ყურადღებას აქცევდა მასების კომუნისტურად აღზრდის საკითხებს და მოითხოვდა გადამჭრელ ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დასაძლევად. ლენინი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების მოსპობა და კომუნისტური შეგნების გატარება ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება, რომ ამისათვის საჭიროა გარკვეული ღრო, ფრთხილი, მოთმინებითი და შეუპოვარი მუშაობა.


გამოდის რა ლენინის მითითებებიდან, ადამიანთა კომუნისტური სულისკვთებით აღზრდის შესახებ, პარტია დაუღალავად ამბობდა და ამბობდა საბჭოთა ხალხის კომუნისტურ შეგნებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები ვლინდებიან შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი, სამშობლოსა და ხალხისადმი, ერთმანეთისა და ოჯახისადმი მათ დამოკიდებულებაში.

ვინაიდან შრომა ყველაფრის საფუძველია, მთელი მატერიალური და სულიერი კულტურის წყაროა, ამიტომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება ყოველი საბჭოთა ადამიანის უმაღლესი მორალური მოვალეობაა.

საბჭოთა სახელმწიფოს ყველა რგოლში მომუშავე ადამიანთა თავდადებული და შეგნებული შრომა ჩვენი საზოგადოების წინსვლის მთავარი პირობაა და თუ დღეს საბჭოთა სახელმწიფო მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა, ამას უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა ხალხს — მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და საბჭოთა მშრომელ ინტელიგენციას.

კომუნისტებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ახალი წარმატებების საწინდარია მრავალმილიონიანი მასების ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობა, მათი ინიციატივისა და აქტივობის განუწყვეტელი ზრდა, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლა.



მაგრამ, ნათქვამიდან ჯერ კიდევ არ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა ამის შესახებ, რომ სოციალისტური საზოგადოება მთლიანად თავისუფალია ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც გაუზრბიან საზოგადოებრივ შრომას, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ წაგლიჯონ სახელმწიფოს, ქურდობენ, ლოთობენ და სხვ. ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის იმგვარად გარდაქმნას, რომ გარდატეხა მოვანდინოთ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მთავარი პირობაა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უსასტიკესად დაცვა, საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის შემდგომი განმტკიცება და სრულყოფა.

ლენინი მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის ხალხთან მტკიცე კავშირს, სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა მასების სულ უფრო ფართოდ ჩაბმას, მათი ინიციატივისა და ცხოვრების პრაქტიკის ყოველმხრივ გათვალისწინებას. მშრომელთა უფართოესი მასების მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში ლენინს მიაჩნდა „სასწაულებრივ საშუალებად“, რომელიც აათქვეცბს აპარატის მუშაობას, ისეთ საშუალებად, რომელიც არ გააჩნია და არც შეუძლია გააჩნდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

ლენინი სთვლიდა, რომ აპარატის შესანახი ხარჯების შემდგომი შემცირება მისი ზედმეტი რგოლების გაუქმებით, სახელმწიფო მმართველობის უფრო სრულყოფილი ორგანიზაცია, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომლის განხორციელებისათვის საჭიროა ყოველდღიური დაძაბული მუშაობა.


ლენინი მოითხოვდა, რომ სახელმწიფო აპარატის მუშაკებს ყურადღება გამამხვილებინათ არა ქაღალდების წერისა და დირექტივების შედგენაზე, არამედ მასებში ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობაზე.

ლენინი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოვლინების წინააღმდეგ და მის წინააღმდეგ ბრძოლაში იჩენდა სიმტკიცესა და თანამიმდევრულობას. ბიუროკრატიზმთან ბოლომდე ბრძოლა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მასზე სრული გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა მიიღებს სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობას.

ლენინის ზემოაღნიშნული ბრძნული მითითებანი დღეისათვის წარმოადგენდნენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის ძირითად პრინციპებს. სწორედ ამ მითითებებიდან გამოდის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ყოველდღიურად აუმჯობესებენ და სრულყოფენ საბჭოთა სახელმწიფო აპარატს.

კომუნისმის იდეების საბოლოო გამარჯვებისათვის კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, დავიცვათ მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდე, ვიბრძოლოთ შეიდფლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, აღვზარდოთ მასები კომუნისტური სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, განვამტკიცოთ ურთიერთობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, განსაკუთრებით კი სოციალისტურ სახელმწიფოთა მშრომელებთან; სამშვიდობო პოლიტიკის გატარებით აღმოვეფხვრათ ომის საფრთხე, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად გამოყენებით, რევოიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის დაძლევით ვიაროთ წინ კომუნისმისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანამიმდევრულად



ადგას ამ გზას, მაგრამ სამწუხაროდ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აცდა ამ კურსს. „უკანასკნელ ხანს, — ამბობდა ამხ. მ. ა. სუსლოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, — მკვეთრად გაძლიერდა ჩინეთის ხელმძღვანელთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს გამოიწვიოს როგორც მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის, ისე მთელი რიგი მარქსისტულ-ლენინური პარტიების გათიშვა... თავიანთ ფრაქციულ ბრძოლაში ჩინეთის ხელმძღვანელები იქამდე მივიდნენ, რომ ურთიერთობას წყვეტენ ზოგიერთ მარქსისტულ-ლენინურ პარტიასთან, თვითნებურად „არ არსებულად“ აცხადებენ მათ და პარტიებად გამოაცხადეს თავიანთი შეკოწიწებული უზადრუკი გამთიშველი ჯგუფები“.

სსრ კავშირი ამხელს ჩინეთის ხელმძღვანელობის შეცდომებს და ამასთან კვლავაც ცდილობს მიადწიოს ვითარების ნორმალიზაციას, რათა განმტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრობა ჩინეთის კომპარტიასთან.

უკვდავი ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო იმყოფება თავისი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში, ჩვენი ქვეყანა შევიდა შვიდწლედის მეხუთე წელში, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის მეხუთე წელში. გასული 1963 წელი ისტორიულ გამარჯვებათა ფურცლად შევიდა საბჭოთა ხალხის მჩქეფარე ცხოვრების დიად მატრიანეში.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სწამთ, რომ 1964 წელი მათ ახალ სახელოვან გამარჯვებას მოუტანს ჩვენი ძღვევამოსილი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. კომუნიზმის გამარჯვებისათვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დიდებული შედეგები ჩვენი ქვეყნის მშრომელებს იმის ღრმად რწმენას უნერგავს, რომ შვიდწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანები ვადამდე შესრულდება, რომ მიღწეული იქნება ახალი შესანიშნავი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

თანამედროვე მსოფლიო ისტორია მიდის იმ გზით, რომელიც მეცნიერულად წინასწარ განჭვრიტა გენიალურმა ლენინმა, მსოფლიო ისტორიის ყოველი ახალი ფურცელი ურყევად ადასტურებს ლენინური იდეების სისწორეს.

ასეული მილიონობით ადამიანი ლენინის მოძღვრებაში ხედავს მანათობელ შუქურას, რომელიც გზას უნათებს კაცობრიობის სანუკვარ ოცნებას — კომუნიზმისაკენ. ლენინიზმი სულ უფრო და უფრო ეუფლება მსოფლიოს მშრომელ მასებს, გაგლენას ახდენს მათ მსოფლმხედველობაზე, აჩქარებს საზოგადოებრივი განვითარების პროცესს.

მოქალაქეთა უზღაბების აღმინისგახდინებ- სამართლებრივი გაკანონების შესახებ

ა. აბასაძე

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია, არა მარტო აცხადებს მოქალაქეთა უფლებებსა და დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ რეალურადაც უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. „ნამდვილი თავისუფლებისა და ბედნიერების კრიტერიუმია, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე, — ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც თავისუფლებს ადამიანს ექსპლოატაციის ჩაგვრისაგან, აძლევს მას ფართო დემოკრატიულ უფლებებს, უზრუნველყოფს შესაძლებლობას იცხოვროს ღირსეულ პირობებში, აძლევს მას ხვალისდელი დღის რწმენას, ავლენს მის ინდივიდუალურ უნარსა და ნიჭს, განუმტკიცებს შეგნებას, რომ მისი შრომა სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის. სწორედ სოციალიზმია ასეთი საზოგადოებრივი წყობილება“¹.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებასა და სრულყოფას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული მოქალაქეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური, პირადი და სხვა კანონიერი უფლებანი. „კომუნისმზე გადასვლა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — ნიშნავს პიროვნების თავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებების ყოველი ღონისძიებით განვითარებას. სოციალიზმმა მშრომელებს მიანიჭა და უზრუნველყო უაღრესად ფართო უფლებანი და თავისუფლებანი. კომუნისმს მშრომელებისათვის მოაქვს ახალი დიდი უფლებანი და შესაძლებლობანი“².

პარტიის პროგრამის ამ სახელმძღვანელო მითითებიდან გამომდინარეობს მოქალაქეთა უფლებების დაცვის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა.

მოქალაქის უფლებათა დაცვა მოწესრიგებულია საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგებით, მათ შორის საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლით, როცა ეს უფლებანი ირღვევა საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის სფეროში. მოქალაქის დარღვეული უფლების დაცვას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით ახორციელებენ მმართველობის ზემდგომი ორგანოები შესაბამისი ქვემდგომი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისადმი ხელმძღვანელობის პროცესში. ასეთი დაცვა სრულდება ისეთი ფორმებით, როგორცაა მმართველობის ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების გამოცემა, რომლებიც დაკავშირებული არიან მოქალაქეების უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებასთან, და მოქალაქეთა მიერ შემოტანილ საჩივართა განხილვა. შესაბამისად ამისა, მოქალაქის საჩივრის უფლება გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) გარკვეულ მოვალეობას, განიხილონ მო-

1 ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII ყრილობას, „სკკპ XXII ყრილობის მასალები“. თბილისი, 1962, გვ. 105.

2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 117.

ქალაქის საჩივარი და, მისი კანონიერების შემთხვევაში, გააუქმონ ან შეაჩერონ ისეთი ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც არ შეესაბამებიან კანონს და რომლებიც არღვევენ მოქალაქის უფლებებს, ხოლო დამრღვევთა მიმართ გამოიყენონ შესაბამისი სანქციები.

მოქალაქეთა უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ადმინისტრაციული ნორმების გამოყენებით ხორციელდება, საჭიროა შევეხოთ უფლებათა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარანტიებს, რომელთა სწორმეცნიერულ დამუშავებას ამ სახის დაცვისათვის აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

* * *

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების დემოკრატიული ბუნება გამოდინარეობს საბჭოთა კანონებისა და მმართველობის კანონქვემდებარე აქტების დემოკრატიული ბუნებიდან, რაც სახელმწიფო ორგანოების სწორი ორგანიზაციული მუშაობის პირობებში უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებების განუხრელ დაცვას. „სოციალისტური კანონიერება, — წერს ც. იამპოლსკაია, — რომლის განუყოფელ ნაწილსაც მოქალაქეთა უფლებების დაცვა წარმოადგენს, — სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში არ დაიყვანება კანონების დაცვის მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნაზე. თავისი შინაარსით ის ამავე დროს ყოველთვის გულისხმობს ნამდვილად დემოკრატიულ კანონმდებლობასა და საშუალებების მოქმედ სისტემას, რომლებიც მიმართულნი არიან დარღვეული უფლებების აღსადგენად“¹.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 თავი განსაზღვრავს სოციალისტური საზოგადოების თვითეული წევრის უფლებრივ მდგომარეობას, ე. ი. განსაზღვრავს იმას, თუ როგორია საზოგადოებისა და ცალკე პიროვნების ურთიერთობა სოციალისტურ საზოგადოებაში.

საბჭოთა მოქალაქე სახელმწიფოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილე და სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია. კონსტიტუციით მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სოციალური წარმოშობისა და წარსული საქმიანობისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევ კანონს წარმოადგენს. საბჭოთა კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების შინაარსიდან გამომდინარეობენ და სოციალისტური დემოკრატიის ხასიათით განისაზღვრებიან, ითვალისწინებენ პირობებს, რომლებმაც ეს თანასწორობა რეალურად უნდა უზრუნველყონ.

ვ. ი. ლენინი, ადარებდა რა სოციალისტურ დემოკრატიას ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოჩვენებით „დემოკრატიულობას“, აღნიშნავდა, რომ „საერთოდ პოლიტიკური დემოკრატია კაპიტალიზმზე ზედნაშენის მხოლოდ ერთი შესაძლებელი (თუმცა თეორიულად „წმინდა“ კაპიტალიზმისათვის ნორმალური) ფორმათაგანია“².

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით საბჭოთა დემოკრატია სო-

¹ Ц. Я. Ямпольская, О субъективных правах советских граждан и их гарантиях, «Вопросы советского государственного права», АН СССР, М., 1959, стр. 205—206.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 414.

ცილისტური ზედნაშენის არა შესაძლებელ, არამედ რეალურ ფორმას წარმოადგენს. მოქალაქის უფლებათა გარანტიებზე ლაპარაკისას ამ ფორმის შინაარსიდან უნდა გამოვიდეთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოქალაქის უფლებათა სამართლებრივი (უფლებრივი) გარანტიები წარმოადგენენ სოციალისტურ ზედნაშენში შემავალ სამართლებრივ ურთიერთობათა ფორმაში მოცემულ იმ რეალურ შესაძლებლობებს, რომლებიც თავის გამოხატულებას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებსა და სხვა კანონებში ღებულობენ.

როგორც პარტიის XX-XXII ყრილობებზე აღინიშნა, პიროვნების კულტის პერიოდში ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევასთან ერთად სათანადო ყურადღება არ ექცეოდა პიროვნების უფლებათა მრავალფეროვან გარანტიებს. პიროვნების კულტის მანე შედეგები გავლენას ახდენენ მოქალაქეთა უფლებების გარანტიების საკითხის მეცნიერულ დამუშავებაზეც. კერძოდ, გარანტიები არ განიხილებოდა მათ ერთობლიობაში, საფუძვლიანად არ იყო ახსნილი და ნაჩვენები პოლიტიკური და სამართლებრივი გარანტიების ბუნება და თავისებურებანი.

პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენის შემდეგ საბჭოთა იურიდიული ლიტერატურა განთავისუფლდა იმ დოგმებისაგან, რომლებიც მას ამუხრუჭებდა პიროვნების კულტის პერიოდში. უკანასკნელ ხანში გამოცემულმა მთელმა რიგმა ნორმატიულმა აქტებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებამ „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის დადგენილებამ „მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“ და სხვ. კიდევ უფრო განამტკიცა მოქალაქეთა უფლებანი. ამასთან დაკავშირებით ახლებურად დაისვა უფლებათა გარანტიების საკითხიც. პარტიის XX ყრილობის შემდეგ გამოქვეყნებულ იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ყურადღება ეთმობა მოქალაქეთა უფლებების, გარანტიების, მათი მეცნიერული კლასიფიკაციისა და სხვა საკითხებს¹, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დამუშავებული.

მოქალაქის უფლებათა გარანტიების საკითხი უნდა განვიხილოთ სახელმწიფოს კლასობრივ არსთან, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებასთან, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებთან მჭიდრო კავშირში.

¹ П. Е. Недбайло, О юридических гарантиях правильного осуществления советских правовых норм. Ж. «Советское государство и право». 1957, № 6.

Ц. А. Ямпольская, О субъективных правах советских граждан и их гарантиях, «Вопросы советского государства и права», АН СССР, М., 1959, с. 153—163—164.

Основы теории государства и права, Госюриздат, М., 1960, с. 235 и 355—356.

Н. Г. Александров, Право и законность в период строительства коммунизма, Госюриздат, М., 1961, с. 229.

В. Патулин и П. Семенов, Свобода личности в СССР и ее гарантии, Ж. «Советское государство и право», 1961, № 8, с. 17.

А. В. Мицкевич, О гарантиях прав и свобод советских граждан, Ж. «Советское государство и право», 1963, № 8, с. 17.

Г. И. Петров — Административная охрана прав граждан «Проблемы гражданского и административного права» ЛГУ, 1962 г.



ამ თვალსაზრისით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ძირითადად ერთმანეთისაგან განასხვავებენ მოქალაქის უფლებათა დაცვის ეკონომიურ, პოლიტიკურ და იურიდიულ გარანტიებს.

უფლებათა ეკონომიური და პოლიტიკური გარანტიები იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ექსპლოატატორული კლასების არარსებობა და მთელი ხალხის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი — ყველაფერი ეს ობიექტურ საფუძველს ქმნის პიროვნების ნამდვილი თავისუფლებისათვის და რეალურად უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებს. უფლებათა დაცვის ეს ობიექტური კანონზომიერებანი მოქმედებენ სამართლებრივი გარანტიების მეშვეობით. მაშასადამე სამივე სახის გარანტიები განუყრელ კავშირში არიან ერთმანეთთან. პოლიტიკური და ეკონომიური გარანტიები კი არ უპირისპირდებიან სამართლებრივ გარანტიებს, არამედ „წარმოადგენენ ბაზას ამ უკანასკნელისათვის და აქცევენ მათ ეფექტურად და რეალურად“¹.


ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიები წარმოადგენენ იმ იურიდიულ გარანტიებს, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქმედებენ. სახელმწიფო მმართველობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების თავისებურებაც, რომელიც მათ იურიდიული გარანტიების სხვა სახეებისაგან განასხვავებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების სპეციფიკური ნიშნები უნდა ვეძებოთ აღმასრულებელი, განმკარგულებელი საქმიანობის თავისებურებებში. ადმინისტრაციული სამართლის დიდი მობილურობა, რომელიც მმართველობის ორგანოების აღმასრულებელ — განმკარგულებელი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარეობს, მრავალფეროვანს ხდის ამ სახის გარანტიებს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების დანიშნულება მხოლოდ ის კი არ არის, რომ ლიკვიდირებულ იქნას სამართალდარღვევა და პასუხი მოეთხოვოს ბრალდებულ პირებს; მათი მოქმედება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება მოქალაქეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში, ე. ი. იმაში, რომ სახელმწიფო მმართველობის პროცესში მოქალაქენი ახორციელებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს და ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან როგორც დანიშნულებით, ასევე მათი მოქმედების გამოვლინების ორგანიზაციული წესით. აქედან გამომდინარე, ისინი ორ ძირითად ჯგუფად უნდა დავყოთ. პირველს მიეკუთვნებიან ორგანიზაციული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიები, ხოლო მეორეს — საზოგადოებრივი ხასიათის ადმინისტრაციული გარანტიები, რომლებსაც კომუნისტური საზოგადოების გაშილილი მშენებლობის პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

ორგანიზაციული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარანტიებს საფუძვლად უდევთ კონსტიტუციური პრინციპები; კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემული კანონები და სხვა კანონქვემდებარე აქტებიც აზუსტებენ და

¹ Правовые гарантии законности в СССР, АН. СССР, М., 1962, стр. 3.



ავსებენ ორგანიზაციული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარანტიებს.

მოქალაქის უფლებების დაცვის ორგანიზაციული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიებისათვის პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მმართველობის ორგანოთა ორგანიზაციისა და საქმიანობის ლეგალური პრინციპების თანმიმდევრულ და განუხრეღ დაცვას, რომელთა შორის, საბჭოთა სახელმწიფო მმართველობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლთან ერთად, ერთ-ერთ ძირითად პრინციპს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ შევუდგებით დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის ყველა ელემენტის ცალკეულ დახასიათებას.¹ იმის აღსანიშნავად, თუ რა კავშირშია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი მოქალაქის უფლებათა ადმინისტრაციულ სამართლებრივ დაცვასთან, შეიძლება მივუთითოთ ერთ მაგალითზე: დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი მიმართულია ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ, საჩივრის ინსტიტუტის ეფექტურობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ორგანიზაციული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიებისაგან უნდა განვასხვავოთ საზოგადოებრივი ხასიათის გარანტიები, რომლებიც სახელმწიფო მართვის სფეროში საზოგადოებრივი საწყისების ზრდით დღეს სულ უფრო ფართო შინაარსს ღებულობენ.

ეს გარემოება მოასწავებს სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებას და ამავე დროს განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ საფუძველს, ვინაიდან რაც უფრო ფართო იქნება სახელმწიფო ხელისუფლების საზოგადოებრივი ბაზა, მით უფრო წარმატებით განახორციელებს სახელმწიფო თავის ფუნქციებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ზოგიერთი სახელმწიფო ფუნქციის გადაცემა არ ნიშნავს მათ გასახელმწიფოებრიობას.² საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ იქცევიან სახელმწიფოებრივ ხასიათის ორგანოებად, არ ხდებიან საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილები. ის გარემოება, რომ მმართველობის სუბიექტების შეცვლისას ძალაში რჩება გადაცემული ფუნქციების საყოველთაო და სავალდებულო ხასიათი, არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები აუცილებლად ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით უნდა აღიჭურვონ. მხოლოდ ცალკეულ, კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხასიათის ზოგიერთი რწმუნება, გამონაკლისის სახით, შეიძლება გადაეცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფუნქციათა ასე-

¹ Ц. А. Ямпольская и Е. В. Шорина, Административноправовые вопросы укрепления государственной дисциплины, АН СССР, М., 1955, стр. 78.

² ასეთი აზრი აქვს გატარებული მაგალითად მ. ტ. ბაიმახანოვს.

თი გადაცემა არ ცვლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბუნებას, რადგანაც მათ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებისათვის აქტიური მხარდაჭერა და დახმარება სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ხელმძღვანელობაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის ზრდა თავის გამოხატულებას პოულობს მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეშიც, სადაც საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმები მრავალგვარია.

ერთ შემთხვევაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შედიან სახელმწიფო ორგანოთა შემადგენლობაში და აქტიურად მონაწილეობენ მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაჭრაში. მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთან მოქმედ ადმინისტრაციულ კომისიებში დეპუტატების გარდა შედიან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ისინი ახილავენ და წყვეტენ ადმინისტრაციულ გადაცდომებთან დაკავშირებულ საქმეებს. აქ კომისიის წევრები ახორციელებენ მოქალაქეთა უფლებების დაცვას, მაგრამ ეს დაცვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა, რამდენადაც ადმინისტრაციული კომისიები მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუდმივად მოქმედ ორგანოებს წარმოადგენენ და მათი საქმიანობა საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით რეგულირდება.¹

ამრიგად, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიაა, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის მინიჭებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებას.

საზოგადოებრივი ხასიათის ადმინისტრაციული გარანტიებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სახალხო რაზმელებსა და ამხანაგურ სასამართლოებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცებაში დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სახალხო რაზმელებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი და ისინი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოთა ყოველდღიური ზრუნვითა და დახმარებით მუშაობენ. ამასთან, ეს საზოგადოებრივი ორგანოები ძირითადად მორალური ნორმებით ხელმძღვანელობენ. მაგრამ, მონაწილეობენ რა სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგისა და საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცებაში, სახალხო რაზმეულები და ამხანაგური სასამართლოები იყენებენ ადმინისტრაციული სამართლის ნორმებსაც. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა შეგვიძლია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოყენებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარანტიებს მივაკუთვნოთ.

დღეს მოქმედ 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში, რასაკვირველია, არ არის ასახული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში უკანასკნელ წლებში მომხდარი თვისობრივი ცვლილებანი. უნდა ვიფიქროთ, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია, ასა-

¹ იგივე შეიძლება ითქვას მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან მოქმედ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებზე.

ხავს და კონსტიტუციურ პრინციპად აქცევს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში მომხდარ ამ ცვლილებებს.

მეორეს მხრივ, მცდარი იქნებოდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზემოთ აღნიშნული ყველა ნიშნის თუ ფართო უფლებამოსილების აუსახველობა დღეს მოქმედ კონსტიტუციაში თითქოს და საფუძველს აცლის საზოგადოებრივი ხასიათის ადმინისტრაციულ სამართლებრივ გარანტიებს. ეს გარანტიები გამომდინარეობენ ჩვენი კონსტიტუციის შინაარსიდან და მის განვითარებას წარმოადგენენ. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ზოგიერთი სახელმწიფო ფუნქციის მინიჭება სოციალისტური დემოკრატიზმის ხარისხობრივად მაღალი საფეხურის კანონზომიერ გამოვლენას წარმოადგენს.

* * *

მოქალაქეთა უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების დახასიათებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, აგრეთვე, უფლებათა დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც თავისი შინაარსით შედიან ამ სახის გარანტიებში, მაგრამ არ ამოსწურავენ მათ.

ძირითადი წრე საშუალებებისა, რომელთა მეოხებითაც სახელმწიფო მმართველობის პროცესში მოქალაქეთა უფლებების დაცვა ხორციელდება, მოიცავს პარტიულ-სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს, მმართველობის ორგანოთა აქტების მიმართ პროკურატურის ორგანოების სახედაამხედველო საქმიანობას, კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტების სასამართლო შემოწმებას, შიდასაუწყებო კონტროლს, საჩივრის უფლებას და სხვ. ამასთან უფლებათა დაცვის ეს ადმინისტრაციული საშუალებანი არ ამოსწურავენ უფლებათა ადმინისტრაციულ სამართლებრივ გარანტიებს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც იურიდიული გარანტიები დაყვანილნი არიან მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა უფლებების დაცვის საშუალებებზე¹.

„იურიდიული გარანტიების ქვეშ, — წერს ა. მიცკევიჩი, — უნდა გავიგოთ მოქალაქეთა უფლებების დაცვის საშუალებანი... იურიდიული გარანტიების ასეთი გაგება შესაძლებლობას მოგვცემს ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური გარანტიების გვერდით გამოვავლინოთ მათი, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის შინაარსი“².

აღნიშნულ შეხედულებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რადგანაც იურიდიული გარანტიები წარმოადგენენ უფლებათა დაცვის არა მარტო საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც გამოძეიდნება და აღიკვეთება კანონიერების ყოველი დარღვევა, არამედ კანონის საფუძველზე დამყარებულ რეალურ შესაძლებლობებს, რომლებიც უფლებათა დარღვევის გარეშე უზრუნველყოფენ მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შესრულებას. ეს გამომდინარეობს სოციალისტური სამართლის დადებითი, შემოქმედებითი როლიდან, სახელდობრ იქიდან, რომ სამართლის დანიშნულებაა მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურ-

¹ Теория государства и права. АН СССР, М., 1962, стр. 369.

² А. В. Мицкевич, О гарантиях прав и свобод советских граждан в общенародном социалистическом государстве, Ж. «Советское государство и право», 1963, № 8, стр. 24.

თიერთობები არა მარტო სამართალდარღვევების დროს, არამედ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან მოქალაქეთა ყოველდღიური ურთიერთობებიც. სწორედ ასე ესმოდა გარანტიების შინაარსი ვ. ი. ლენინს, როცა პროლეტარიატის დიქტატურის ფორმების, როგორც საზოგადოებრივი წყობილების ახალი, უმაღლესი ფორმების დახასიათებისას აღნიშნავდა, რომ „ყველა ისინი მოასწავებენ და ახორციელებენ სწორედ მშრომელი კლასებისათვის, ე. ი. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის, დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ისეთ ფაქტიურ შედეგებს, როგორც არასოდეს არ ყოფილა, დაახლოვებითაც კი თვით ყველაზე უკეთეს და დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში“¹.

ამიტომ მართლნი არიან ს. სტუდენკინი, ა. ლუნევი და ც. იამპოლსკაია, რომლებსაც გარანტიების შინაარსში შეყავთ არა მარტო უფლებების დაცვის საშუალებანი, არამედ სახელმწიფო აპარატის მუშაობა წახალისება, მათი დისციპლინალური, მატერიალური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მმართველობის უკანონო აქტების გაუქმება და შეჩერება².

აღნიშნული პირობები გამოდინარეობენ ჩვენი კონსტიტუციის, საბჭოთა კანონების შინაარსიდან და ამიტომ მათი შეტანა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების შინაარსში დასაბუთებულად გვეჩვენება.

ამრიგად, მოქალაქეთა უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების შინაარსიდან გამომდინარეობენ და მისით განისაზღვრებიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უფლებათა დაცვის თავისებური ფორმებითა და მეთოდებით. სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფოს საქმიანობის ფორმების მრავალგვარობა გავლენას ახდენს უფლებათა დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საშუალებების თვითეულ სახეზე და განსაზღვრავს მას.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 586-587 (ხაზგასმა ჩვენია).

² А. Лунев, С. Студенкин и Ц. Ямпольская, Социалистическая законность в советском государственном управлении, М., 1948, стр. 105.

საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულების ზოგიერთი საკითხი

ზ. მგელაძე

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა სამოქალაქო სამართალი საგრძნობლად განვითარდა. მიღებულ იქნა მთელი რიგი ახალი კანონები, რომლებიც სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობებს ახლებურად აწესრიგებენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები. „საფუძვლებით“ შემოღებულია ზოგიერთი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი, რასაც ადრე საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არ იცნობდა.

ახალი ნორმებიდან მეტად საყურადღებოა საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულება. საფუძვლების 55-ე მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოქალაქეებისათვის ფასით დროებით სარგებლობაში საოჯახო საგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სასპორტო ინვენტარის, მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა ქონების მიცემის (საყოფაცხოვრებო გაქირავება) პირობებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.“

ცალკეულ სახეობათა საყოფაცხოვრებო გაქირავებაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ ტიპობრივ ხელშეკრულებებს. გადახვევა ტიპობრივი ხელშეკრულების პირობებიდან, რომლებიც ზღუდავენ მოსარგებლეთა უფლებებს, ბათილია“.

ის ფაქტი, რომ ასეთი ზოგადი, მაგრამ საკმაოდ ვრცელი ფორმით „საფუძვლებში“ ასახვა ჰპოვა საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულებაში, იმაზე ლაპარაკობს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მის რეგულირებას ისეთი ფორმით, რომ იგი მთელი ხალხის ინტერესებს შეესაბამებოდეს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელშეკრულების თაობაზე პროფესორი ო. იოფე და დოცენტი ი. ტოლსტოი სწერენ, რომ იგი „ერთის მხრივ ხელს უწყობს მოსახლეობის სახსრების დაზოგვას, ათავისუფლებს მოქალაქეებს იმის აუცილებლობისაგან, რომ შეიძინოს საკუთრებაში ძვირად ღირებული ნივთები, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფს მუდმივად და არა ეპიზოდურად აღნიშნული საგნებით სარგებლობას, რასაც ზოგიერთი ამ ნივთის დეფიციტურობის დროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“¹.

¹ И. Иоффе и И. Толстой — «Основы советского гражданского законодательства», 1962 г. стр. 128.




ეს განმარტება ჩვენის აზრით ამომწურავი არ არის. ზემოაღნიშნულის გარდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელშეკრულება მოსახლეობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი საშუალებაცაა. როცა მოქალაქე დარწმუნებულია, რომ მას თავისუფლად შეუძლია ესა თუ ის საჭირო ნივთი წაიღოს გაქირავების პუნქტიდან ხელსაყრელ პირობებში — მცირეოდენი საფასურის გადახდით, მას ეკარგება სურვილი მისი საკუთრებაში შექენისა. ამით მოქალაქის ფსიქოლოგიაში გარკვეული ცვლილებები ხდება; ქრება კერძო მესაკუთრული მიდრეკილება, ამასთანავე პიროვნებას უფითარდება ჩვევები ყურადღებით მოეპყრას გაქირავების პუნქტიდან აღებულ ნივთს, რადგან მან იცის რომ ეს ნივთები მთელი საზოგადოების კუთვნილებაა.

რამდენადაც კეთილმოწყობილი იქნება გაქირავების პუნქტები, გაფართოვდება მისი ქსელი, მრავალფეროვანი იქნება ნივთების ასორტიმენტი, იმდენად შეუწყობს ეს ხელს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში საყოფაცხოვრებო საგნების წრის შევიწროებას. მესაკუთრული ტენდენციის ნაცვლად დამკვიდრდება ახალ-ახალი მოსახერხებელი ფორმები მთელი მოსახლეობის ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. „მოვა დრო“, — ამბობს ამხ. ლ. ილიჩოვი, — როცა თვით ტერმინის — „საკუთარი აგარაკი“ ან „საკუთარი მანქანა“ წარმოთქმა ისევე აბღაუბდა იქნება, როგორც „საკუთარი მატარებელი“, „საკუთარი თეატრი“ ან „საკუთარი სტადიონი“.

„საფუძვლებში“ საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულებაზე ლაპარაკია მეტად ზოგადი ფორმით, მას დათმობილი აქვს მხოლოდ ერთი მუხლი (55 მუხლი). თუმცა „საფუძვლები“ ამ სიტყვის ზუსტი, პირდაპირი მნიშვნელობით მხოლოდ საფუძვლებია მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შემუშავებისათვის, მაგრამ ჩვენის აზრით მაინც საჭირო იყო ეს ახალი ნორმა უფრო ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი. მისი ერთ მუხლში ჩამოყალიბება, საყოფაცხოვრებო ობიექტების გაქირავების ნუსხის ჩამოთვლა, არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს. ამასთან ერთად თვით 55-ე მუხლში ჩამოთვლა საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების ობიექტებისა ზღუდავს მისი გამოყენების სფეროს, მათ იმდენი თავისებურება ახასიათებთ, რომ შემოფარგვლა ტიპობრივი ხელშეკრულებით, როგორც ამ მუხლშია ლაპარაკი და რეგულირება მეტად მოუხერხებელია.

მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტში ამ „ხელშეკრულებას“ დაეთმობოდა არა ერთი მუხლი, როგორც ამას ადგილი აქვს „საფუძვლებში“, არამედ მეტი. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. იგი მოექცა მხოლოდ კოდექსის ოცდამეხუთე თავში, სადაც ლაპარაკია საერთოდ ქონების ქირავნობაზე. საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულებაზე გავრით არის ნათქვამი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის 311-ე, 313-ე, 314-ე და 316-ე მუხლებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულება ახალი მზარდი ინსტიტუტია ვალდებულებითი სამართლისა და კოდექსში მისი უფრო მკვეთრად გამოკვეთა საჭიროა და აუცილებელი.

საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავება არსებობის მოკლე დროში საკმაოდ პოპულარული გახდა. ათასობით ადამიანს უხდება ამით სარგებლობა. როგორია იმ საკითხების საერთო სამართლებრივი სფერო, რომელიც საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულებას ახასიათებს? ვალდებულებით სამართალში ქონების ქირავნობის ხელშეკრულებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულება კი მისი ერთ-ერთი სახეობაა. საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულება ენათესავება ყიდვა-გაყიდვის, სესხის და თხოვების ხელშეკრულებებს, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ განსხვავდება მათგან. ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს ქონება გადადის მყიდველის საკუთრებაში და იგი გამყიდველს უხდის გარკვეულ სანაღასურს. საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულების დროს კი ერთი მხარე გამქირავებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მეორე მხარეს დამქირავებელს გარკვეული ქონება დროებით სარგებლობაში. დამქირავებელი თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ქირა ქონების სარგებლობისათვის და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს ქონება გამქირავებელს. ქონების ქირავნობის ხელშეკრულების დროს გამქირავებელი ინარჩუნებს ამ ქონებაზე საკუთრების უფლებას, მაგრამ ეს ქონება დროებით გადადის სხვა პირის მფლობელობაში. ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ობიექტად შეიძლება იყოს მოხმარებითი საგნები და ნივთები განსაზღვრული როგორც ინდივიდუალური, ისე გვაროვნული ნიშნებით. ამათგან განსხვავებით საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების დროს ხელშეკრულების ობიექტი უნდა იყოს მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული, რადგან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს იგივე ნივთი ყველა თავისი კუთვნილებებით, გამართულ მდგომარეობაში. არ შეიძლება საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების ობიექტი იყოს ისეთი ნივთი, რომელიც ერთი მოხმარების პროცესში ნადგურდება. ასე მაგალითად, არ შეიძლება ასეთი გაქირავების საგანი იყოს კვების პროდუქტები, სათბობი და სხვა, იმიტომ, რომ დამქირავებელს არ შეუძლია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს გამქირავებელს იგივე ნივთები, რაც მან ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო გამქირავებლისაგან. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ქონების ქირავნობის ხელშეკრულებისა სესხის ხელშეკრულებისაგან ის არის, რომ სესხის ხელშეკრულების საგნად შეიძლება იყოს ისეთი ქონება, რომელიც ხასიათდება გვაროვნული ნიშნებით, ხოლო საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. გარდა ამისა ქონების ქირავნობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია გარკვეული საზღაურის გადახდა. აი, სწორედ ეს საფასური, სასყიდელი ასხვავებს მას ქონების განათხოვრების ხელშეკრულებისაგან. ქონების განათხოვრების დროს მონათხოვრეს ეძლევა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი დროებით, რომელიც უნდა დაუბრუნოს მან მესაკუთრეს ოღონდ რაიმე საფასურის გარეშე.



ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ ქონების ქირავნობის ხელშეკრულება არის კონსესუალური, ორმხრივი ხელშეკრულება. თვითელი მხარისათვის გარკვეული უფლება და მოვალეობა წარმოიშვება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა მხარეები შეთანხმდნენ და თან მოხდა გასაქირავებელი ნივთების გადაცემა. არ შეიძლება გავიზიაროთ პროფესორ მ. გორდონის აზრი იმის შესახებ, რომ „უფლება და მოვალეობა ხელშეკრულების თანახმად წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა მხარეები შეთანხმდნენ და არა ნივთის სარგებლობაში გადაცემის მომენტიდან“¹.

პრაქტიკაში არა ერთი შემთხვევაა, როცა მხარეები შეთანხმდნენ დაედოთ ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, მაგრამ რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, როგორც ერთი ისე მეორე მხარისათვის ქონების ქირავნობის საგნის გადაცემა ან მიღება მოხდა არა ხელშეკრულების დადების მომენტში, არამედ გაცილებით უფრო გვიან. ეს ფაქტი უნდა მიიღოს მხედველობაში, როგორც დამქირავებელმა ისე გამქირავებელმა, რადგან ქირავნობის ობიექტით სარგებლობა დაკავშირებულია თვით ამ ნივთის ექსპლუატაცია — გამოყენებასთან. ხელშეკრულება კი იღება გარკვეული ვადით, განისაზღვრება ის დრო, რომელშიც დამქირავებელმა ეს ნივთი უნდა გამოიყენოს. როგორც დამქირავებლისათვის ისე გამქირავებლისათვის სულ ერთი როდია თუ რამდენ ხანს ისარგებლებს დამქირავებელი ნივთით. ხმარების დროს ნივთი ცვდება, ეს კი გავლენას ახდენს მის ღირებულებაზე. მაგალითად მოქალაქემ დადო ხელშეკრულება ავტომანქანების გამქირავებელ პუნქტთან. ავტომანქანის დაქირავების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, მაგრამ მანქანის გამოყვანის პროცესში გამოიჩინა რომ ავტობარკის ბენზინის ჩამოსხმელი ხელსაწყო დაზიანებულია და შეკეთდება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. ამ მიზეზით დამქირავებელმა ვერ შეძლო დაქირავებული ავტომანქანის მიღება. რა თქმა უნდა მანქანის მოცდენის ხარჯებს დამქირავებელი ვერ აიღებს თავის თავზე, იმის გამო, რომ გამქირავებელმა ვერ უზრუნველყო მანქანის გადაცემა დამქირავებლისათვის. თუმცა ფორმალურად დაქირავების ხელშეკრულება დადებულია, მაგრამ ფაქტიურად ნივთის გადაცემა არ მოხდა. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს დაქირავების ხელშეკრულების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობა უნდა წარმოიშვას დაქირავების საგნის გადაცემის მომენტიდან, ან იმ დროიდან, როცა დამქირავებლის განკარგულებაში გადავიდა დაქირავების ობიექტი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტში ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ეს კი ჩვენი აზრით უსათუოდ საჭიროა.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ობიექტად შეიძლება იყოს ისეთი ნივთებიც, რაც სხვა მონათესავე ხელშეკრულების, კერძოდ ყიდვა-გაყიდვის, სესხის, თხოვების ხელშეკრულებათა საგნად არ შეიძლება იყოს. კიდევ მეტიც — შეიძლება ნივთები საერთოდ გამოირიცხული იყოს სამოქალაქო ბრუნვიდან, მაგ-

¹ М. В. Гордон, Лекции по советскому гражданскому праву, 1960 г., стр. 49.

რამ გაქირავების ხელშეკრულების საგნად იყოს, მაგალითად ექსკავატორები, ბეტონის სარევი მანქანები და სხვა. ქონების ქირავნობის ობიექტის საკითხზე საინტერესო მაგალითი მოყავს პროფესორ პ. სტუჩკას, რომელიც თვლის, რომ ქონების ქირავნობის ხელშეკრულების საგნად შეიძლება იყოს ყოველგვარი ნივთი, უფრო მეტიც გარკვეული უფლებაც, მაგალითად ნადირობის უფლება, თევზის ჭერის უფლება და სხვა. თუმცა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში სამოქალაქო სამართალი ცნობდა, რომ ქონების ქირავნობის საგნად ყოფილიყო გარკვეული უფლება, როგორც პროფესორი სტუჩკა აღნიშნავს, კერძოდ ნადირობის, თევზის ჭერის უფლება, მაგრამ ამჟამად მას პრაქტიკული გამოყენება არა აქვს, ამიტომ ქონების ქირავნობის საგანი არ შეიძლება იყოს.

ქონების ქირავნობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების არსებობა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ო. იოფე განპიროვნებულია შემდეგი მიზეზებით. ჯერ ერთი — შეიძლება ესა თუ ის მესაკუთრე მოცემულ კონკრეტულ მომენტში არ საჭიროებდეს იმ ნივთით სარგებლობას რომელსაც იგი ფლობს, მაგრამ ამ ნივთის გასხვისებას, გაყიდვას, მისთვის არა აქვს აზრი, რადგან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს ნივთი მესაკუთრეს აუცილებლად დასჭირდება. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ მესაკუთრემ გადასცეს სხვა პირს ნივთი გარკვეული ვადით სასყიდლის გადახდის შემდეგ. გარდა ამისა სახელმწიფო ორგანიზაცია ან პირი ამა თუ იმ ნივთს საჭიროებენ მხოლოდ ეპიზოდურად — თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ვასაგებია, რომ ასეთი ეპიზოდური საჭიროებისათვის სახელმწიფო ორგანიზაცია ან პიროვნება არ არის დაინტერესებული შეიძინოს ნივთი. და ბოლოს ამა თუ იმ ნივთის სარგებლობაში გადაცემა შეიძლება ხანგრძლივიც იყოს, მაგრამ პირს ან ორგანიზაციას მისი შექმნა არ შეეძლოს, ან იგი ეკონომიური თვალსაზრისით არ იყოს მიზანშეწონილი. ყველა ასეთ შემთხვევებში უმთავრესად მთლიანად საზოგადოება — საბჭოთა სახელმწიფოს სახით გამოდის სათანადო ობიექტების მესაკუთრედ და გადასცემს ორგანიზაციებსა და პირებს მფლობელობაში ამ ობიექტებს.


ქონების ქირავნობის ხელშეკრულებას ფართო გამოყენება აქვს სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის. ასე მაგალითად, ხდება გაქირავება დროებით გამოუყენებელი სხვადასხვა მოწყობილობებისა, საზოგადოებრივ ღონისძიებათა ჩასატარებლად, ამა თუ იმ დაწესებულების, კლუბების, შენობების. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს როცა ამა თუ იმ იურიდიული პირების ძირითად საქმიანობას შეადგენს კერძოდ ის, რომ გარკვეული ქონება მისცეს ქირით როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებს ისე ფიზიკურ პირებს. მაგალითად, ადგილობრივი საბჭოები თავიანთ განკარგულებაში მყოფ არა საცხოვრებელ ფართობებს, სარდაფებს, სავაჭრო შენობებს და სხვ. აძლევენ სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს. ეს ხორციელდება ქონების ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. ანდა რკინიგზა აძლევს სატრანსპორტო საშუალებებს იმ დაწესებულებებს, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მისასვლელ გზებს, კონტეინერებს, საწყობებსა და სხვა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებიდან ყველაზე უფრო დიდ მოთხოვნილებას ავტომანქანების დაქირავებაზე. თითქმის ყველა მსხვილ ქალაქებში არის ავტომანქანების გასაქირავებელი პუნქტები.

მსუბუქი ავტომანქანების გაქირავების ინსტიტუტი ახალია საბჭოთა სამოქალაქო სამართლისათვის. საქართველოში მსუბუქი ავტომანქანების გაქირავებას აწესრიგებს სპეციალური წესები, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ.

ამ წესების თანახმად მსუბუქი ავტომობილების გაქირავება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც სრულ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა. ამ ხელშეკრულების ძალით, როგორც ერთ მხარეს ავტომეურნეობას, ისე მეორე მხარეს დამქირავებელს აწევს გარკვეული მოვალეობანი და უფლებანი. ძირითად მოვალეობას ავტოპარკისა ამ გაქირავების ხელშეკრულების თანახმად შეადგენს ის, რომ მან უნდა გადასცეს აბონენტს მსუბუქი ავტომობილი დროებით სარგებლობაში. ავტომეურნეობა მოვალეა გადასცეს მანქანა აბონენტს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, გავსებული ბენზინითა და სხვა საცხი მასალებით. უნდა ითქვას, რომ ავტომანქანის დაქირავება შეუძლია არა ყველა პირს, არამედ იმას ვისაც აქვს მართვის უფლება. მსუბუქი მანქანების დამქირავებლები ძირითადად არიან ავტომოყვარულები. გაქირავების წესების მე-14 მუხლში ლაპარაკია, რომ დამქირავებელს აქვს უფლება გამოყვანის წინ პირადად დაათვალიეროს მანქანა. მაგრამ ვინაიდან ავტომოყვარულებს საკმაოდ ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ, მათ შეუძლიათ სურვილისამებრ მოიწვიონ სპეციალისტი და შეამოწმებინონ მათ ავტომანქანა. მანქანის ტექნიკურ გამართულობას არსებითი მნიშვნელობა აქვს მანქანის გაქირავებიდან გამომდინარე ხელშეკრულების პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

წესებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი პასუხისმგებლობის საკითხს. დამქირავებელი მოვალეა ხელშეკრულების დადების დროს წარადგინოს სათანადო საბუთები და შეიტანოს ავანსი, შეამოწმოს მანქანა და რანაკლსაც აღმოაჩენს განუცხაყოს ავტომეურნეობას. მანქანით სარგებლობის დროს მას თან უნდა ჰქონდეს ყველა საბუთი და დაიცვას მოძრაობის წესები. მანქანა კარგად მოვლილი და ტექნიკურად გამართული უნდა დაუბრუნოს ავტომეურნეობას. უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი ავტომანქანების გაქირავების წესები საკმაოდ მკაცრია. ასე მაგალითად, წესების მე-8 მუხლის შენიშვნაში ნათქვამია — საბურავის დაკარგვისას ან ნაწილის (აგრეგატის) შეცვლისათვის მისი ღირებულება აბონენტს უნდა გადახდეს სამმაგი რაოდენობით, ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის წესები ითვალისწინებენ ხუთმაგ რაოდენობასაც. წესების ასეთი სიმკაცრე გასაგებია. ის აფრთხილებს აბონენტს, ყურადღებით მოეპყროს მისთვის გადაცემულ სახელმწიფო ქონებას. იურიდიულ ლიტერატურაში იყო შეხედულება, რომლითაც გაქირავების პუნქტში ნივთების დაუბრუნებლობა არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას და რომ მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება და-



ისვას მხოლოდ სამოქალაქო წესით. ასეთნაირად განმარტა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ, მაგალითად იაკოვენკოს საქმე როსტოვის ოლქის ქ. შახტიდან. რა თქმა უნდა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის ასეთი განმარტება ვერ პასუხობს სოციალისტური ქონებისადმი მზრუნველობით დამოკიდებულების მოთხოვნებს, ის პირიქით აღუწერს მოქალაქეთა პასუხისმგებლობას იმ ქონებისადმი, რაც მათ აქვთ აღებული სახელმწიფო გაქირავების პუნქტებიდან. თბილისის გაქირავების პუნქტებში შესწავლილმა რამდენიმე საქმემ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია არაკეთილსინდისიერი ადამიანი. რომელიც იღებს ნივთებს გაქირავების პუნქტებიდან, შემდეგ კი აღარ აბრუნებენ მას. აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წლის 31 მარტის განმარტებაში მიუთითა, რომ გაქირავების პუნქტიდან წაღებული ქონების მითვისება უნდა იქნას განხილული როგორც სოციალისტური ქონების მტაცებლობა. რა თქმა უნდა ეს ვრცელდება აგრეთვე ავტომანქანების გაქირავებაზეც, მისი ნაწილების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევებზეც.

საინტერესოა თუ რა ვადით იდება მსუბუქი ავტომანქანების გაქირავების ხელშეკრულება. ამ საკითხზე ო. კრასავჩიკოვი, ე. ტინისმიაე, დ. ლევენსონი ემყარებიან ავტომანქანის გაქირავების ტიპობრივი ხელშეკრულების ვადას, რაც ერთ წელს ითვალისწინებს. წესების მესამე მუხლში ნათქვამია, რომ სააბონენტო ბარათი გაიცემა ერთი წლის ვადით. აღნიშნული ავტორები ამ ვადას თვლიან ხელშეკრულების დადების ვადად. ეს ჩვენის აზრით არ არის მისაღები და რატომ — ჯერ ერთი სააბონენტო ბარათის გახსნა და მისი არსებობა არ წარმოშობს ფაქტიურად მხარეთა შორის რაიმე სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობას. ვფიქრობთ, რომ ეს ზედმეტიც არის. ფაქტიურად ავტომანქანის გაქირავების ხელშეკრულება აბონენტსა და დამქირავებელს შორის შეიძლება გაფორმდეს უფრო გვიან ვიდრე სააბონენტო ბარათია გახსნილი. საავტომობილო გაქირავების ხელშეკრულების ვადად, წესების მე-4 მუხლის დებულებიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ არა ნაკლები სამი საათი და არა უმეტესი ერთი თვე. ამ წესის დაცვა უზრუნველყოფს მსურველთა მეტი რაოდენობით მომსახურებას, თვით ავტომეურნეობის თვალთახედვის არეში უფრო ხშირად იქნება მანქანები, რაც უდაოდ გავლენას იქონიებს მის მოვლა-შენახვაზე.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ავტომობილების გაქირავების ხელშეკრულებაში ეს არის პასუხისმგებლობის საკითხი. წესები ამ მხრივ არაა სრულყოფილი. აბონენტი ვალდებულია მთლიანად აუნაზღაუროს მისი ბრალით მიყენებული ზიანი ავტომეურნეობას, ეს ზიანი შეიძლება გამოიხატოს თვით მანქანის დაზიანებაში, მანქანის ცალკეული ნაწილების დაკარგვაში და სხვა სახით. რა თქმა უნდა ამის დადგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აბონენტის ბრალეულობის საკითხი. მართალია დოცენტი ს. ჯორბენაძე როდესაც წერს, რომ საფუძვლებით აღიარებულია, რომ როგორც სახელშეკრულებო ისე ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის

საერთო პირობას წარმოადგენს მოვალის ბრალი, ბრალის არ არსებობა იმ პირ-
 ღა უნდა დაამტკიცოს ვინც ვალდებულება დაარღვია.¹

საქართველოს სსრ-ში მოქმედი წესები დამქირავებლის პასუხისმგებლობას
 ცნობენ მხოლოდ მის მიერ ბრალით მიყენებული ზიანისათვის. საფუძვლებს
 90-ე მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ის ორგანიზაცია და მოქალაქენი
 რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან გარეშე
 მყოფთათვის (სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, მშე-
 ნებლობები, ავტომობილთა მფლობელები და სხვა) ვალდებული არიან აუნაზ-
 ლაურონ ზიანი, რომელიც მიაყენა მომეტებული საფრთხის წყარომ, თუ ვერ
 დაამტკიცებენ რომ ზიანი წარმოიშვა დაუძლეველი ძალის ან დაზარალებულის
 განზრახვის გამო.

მსუბუქი ავტომანქანა ეკუთვნის ისეთ ობიექტთა რიცხვს, რომლის ექსპ-
 ლოატაცია გარეშე მყოფთათვის წარმოადგენს მომეტებულ საშიშროებას,
 ამიტომ ზიანისათვის რომელსაც მანქანის დამქირავებელი მიაყენებს სხვა პირს
 პასუხი უნდა აგოს უშუალოდ დამქირავებელმა, ვინაიდან მანქანის ექსპლოა-
 ტაციის პერიოდში მფლობელი მისი არის დამქირავებელი.

მესამე პირისათვის ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის გადაწყვე-
 ტისას, ზუსტად უნდა იქნას დადგენილი ზიანის გამომწვევი მიზეზები. თუ ზი-
 ანი მიყენებულია დამქირავებლის ბრალეულობით პასუხისმგებლობა უნდა დაე-
 კისროს მხოლოდ მას. ხოლო თუ ზარალი წარმოიშვა ავტომეურნეობის ბრა-
 ლეულობის გამო ან კიდევ შემთხვევითი მიზეზების გამო ავტომანქანის რაიმე
 ავრეგატის მწყობრიდან გამოსვლით მაშინ პასუხისმგებლობა უნდა იკისროს
 ავტომეურნეობამაც.

¹ ს. ჯორბენაძე, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლო-
 ბის საფუძვლები. სერია III, თბილისი, 1962 წელი.



მონღის ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის წყაღოს შეფასების საკითხისათვის

კ. ვაჩიშვილი

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში დამამტკიცებელ საბუთთა შეფასება მტკიცების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია. მტკიცების პროცესის მიზანია დადგენილ იქნას ჭეშმარიტება.

სისხლის სამართლის საქმე გამოძიებისათვის და სასამართლოსათვის წარსულში მომხდარი ფაქტია. გამოძიებელთა და მოსამართლეთა ცნობიერებაში დანაშაულის ფაქტის აღდგენა ხდება დამამტკიცებელ საბუთთა წყაროების მეშვეობით. საქართველოს სსრ სსრკ-ის 61-ე მუხლის მიხედვით დამამტკიცებელ საბუთად ითვლება ყოველგვარი ფაქტიური მონაცემები, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით მოკვლევის ორგანოები, გამოძიებელი და სასამართლო აღგენენ დანაშაულის არსებობას ან არარსებობას, მისი ჩამდენი პირის ბრალეულობის და საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. იმავე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია დამამტკიცებელ საბუთთა წყაროების სახეები, რომელთა მეშვეობით დგინდება აღნიშნული მონაცემები. სასამართლოს ამოცანას შეადგენს სწორად ასახოს ეს ფაქტი, ე. ი. დაადგინოს შესაბამისობა ობიექტურად მომხდარ დანაშაულის ფაქტსა და ამ ფაქტების შესახებ სასამართლოს წარმოდგენას შორის. სწორედ ეს არის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე.

მაგრამ იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას ჭეშმარიტება, სასამართლომ ობიექტური შეფასება უნდა მისცეს ამა თუ იმ დამამტკიცებელ საბუთს, მის წყაროს. ცალკეული დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფასება ნიშნავს მოსამართლის, პროკურორის, გამოძიებლის, მოკვლევითი პირის და სხვ. მსჯელობას ამ წყაროს კეთილხარისხოვნების ან უვარგისობის შესახებ. მაგრამ ვინაიდან ერთი და იგივე ფაქტის შესახებ ცნობას ხშირად რამდენიმე წყარო იძლევა, ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა თუ ვილაპარაკებდით დამამტკიცებელ საბუთთა ერთობლიობის შეფასებაზე. ეს უფრო სწორი იქნებოდა იმის გამოც, რომ დამამტკიცებელ საბუთთა წყაროები ცნობებს იძლევიან იმ ფაქტების ერთობლიობის შესახებ, რომლებიც ურთიერთკავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. დამამტკიცებელ საბუთთა და მათი წყაროების შეფასება არის პროცესუალური კანონით დადგენილი სასამართლოს, გამოძიებლის, მოკვლევითი პირის საქმიანობა, რომელიც გამოიხატება მსჯელობაში დამამტკიცებელი საბუთების წყაროს კეთილხარისხოვნების თუ უვარგისობის და ყოველ საქმეზე კანონით გათვალისწინებულ დასამტკიცებელ გარემოებათა არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული პირები შეფასების დროს ხელმძღვანელობენ კანონით, სოციალისტური მართლშეგნებით და დამამტკიცებელ საბუთებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. არავითარ დამამტ-



კიცებელ საბუთს აღნიშნულ პირთათვის წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს (საქართველოს სსრ სსსკ 63-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი შემფასებელ პირს თავს კი არ ახვევს განყენებულ დებულებებს, რაც შეიძლება საბედისწერო იყოს საქმისათვის, არამედ შემფასებელმა პირმა თავისი დასკვნები ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ უნდა გააკეთოს კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთის წყაროს უშუალო შესწავლის საფუძველზე საქმის სხვა მასალებთან კავშირში. მაგრამ ნაწილობრივ კანონი, ძირითადად კი სასამართლო პრაქტიკა აყალიბებენ დამამტკიცებელი საბუთების შეფასების გარკვეულ ხერხებს, მე-
თოდებს.

აუცილებელია იმ ზოგიერთ თავისებურებათა გამოკვლევა, რომელიც ახასიათებს კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთის წყაროს — მოწმის ჩვენებას და მასში მოცემული ფაქტების შესახებ ცნობების შეფასებას. მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დამამტკიცებელი საბუთის წყაროა. თითქმის არ არის ისეთი საქმე, რომელიც არ შეიცავს მოწმის ჩვენებას. მოწმე თავისი უფლებრივი მდგომარეობით არსებითად განსხვავდება ბრალდებულისაგან, ექსპერტისაგან, თავისი ჩვენების ხასიათით კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ექსპერტის დასკვნისაგან. მოწმის ჩვენება თავისი ბუნებით ახლოდგას ბრალდებულის ჩვენებასთან იმით, რომ მისი ჩვენება ემყარება გარკვეული პიროვნების მიერ აღქმული ფაქტების რეპროდუქციას (მეხსიერებაში აღდგენას). მოწმის ჩვენება არის საპროცესო კანონით დადგენილი დამამტკიცებელი საბუთის წყარო, რაც გამოიხატება სასამართლოს ან გამოძიებლის მიერ მოწვეული პიროვნების გაძნობათა ორგანოების მეშვეობით აღქმულ იმ ფაქტების რეპროდუქციაში, რომლებიც შუქს ფენენ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს.

მოწმის ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფასებამდე, პირველ რიგში, გამოსარკვევია, დასაშვებია თუ არა აღნიშნული წყარო. ამა თუ იმ წყაროს დაშვების პრინციპი გამომდინარეობს პროცესუალური ნორმების დაცვის მოთხოვნიდან, რაც გარკვეულად უზრუნველყოფს ამ წყაროებში მოცემული ცნობების სარწმუნობას. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი პირდაპირ მიუთითებს მოწმის ჩვენების დაშვების შეუძლებლობაზე. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ 66-ე მუხლი მიუთითებს, რომ დამამტკიცებელ საბუთად არ ჩაითვლება მოწმის მიერ შეტყობინებული მონაცემები, თუ მას არ შეუძლია მიუთითოს, რომელი წყაროდან არის მისთვის ცნობილი ეს მონაცემები. ხშირ შემთხვევაში კი კანონი განსაზღვრავს მოწმის ჩვენების მიღების, ფიქსირების და სხვა წესს, მაგრამ ამ წესის დარღვევის მიუხედავად სასამართლოს ან წინასწარ გამოძიებას შეუძლია დადებითად გადაწყვიტოს ამ ჩვენების დაშვების საკითხი. საქართველოს სსრ სსსკ 156-ე მუხლი გამოძიებლისაგან მოითხოვს: დაკითხვისას მოწმეს განუმარტოს მისი მოვალეობა და გააფრთხილოს, რომ წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემისთვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. ამ მოთხოვნის დარღვევა მაინც იძლევა ამ გზით მიღებული მოწმის ჩვენების დაშვების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში თუ კანონი კატეგორიულად არ კრძალავს მოწმის ჩვენების დაშვებას, მაშინ ჩვენება დაშვებულ უნდა იქნას, უკეთუ არსებობს ამ წყაროში მოცემული ცნობების შემოწმების შესაძლებლობა.

ზოგიერთი საბჭოთა პროცესუალისტი დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისას არჩევს ორ მომენტს: დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფასებას

საქართველო
საბჭოთა კავშირი

და მტკიცებითი ფაქტის შეფასებას, რომლის შესახებ ცნობებს ეს წყარო იძლევა.¹ ეს მოსაზრება მოწმის ჩვენების შეფასებაზეც ვრცელდება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენების შეფასებისას უფრო რთულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. საქართველოს სსრ სსსკ 61-ე მუხლის მიხედვით ფაქტიური მონაცემები დგინდება მოწმის, ბრალდებულის ჩვენების, ექსპერტის დასკვნის და სხვათა მეშვეობით, რაც წარმოადგენს ფაქტიური მონაცემების დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ცალკეულ სახეებს. მართალია, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებისათვის კვლევის ძირითად საგანს ჩვენება შეადგენს, მაგრამ თვით ჩვენება ყალიბდება მოწმის ფსიქიური თვისებების, თავისებურებების მეშვეობით.² გარდა ამისა, მოწმის მიერ ჩვენების მიცემის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე მისი დამოკიდებულება საქმის შედეგთან, საქმეში მონაწილე პირებთან. მოწმის დაკითხვის დაწყებისას გამოძიებელი არკვევს საჭირო ცნობებს მოწმის პიროვნების შესახებ (საქართველოს სსრ სსსკ 156-ე მუხლი). აქ კანონმდებელი გულისხმობს ზოგიერთ ისეთ ანკეტურ ცნობებსაც, რომელთაც შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეთ მისი ჩვენების შეფასებისათვის. მაგალითად, მოწმის ასაკის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი შეიძლება შუქს ჰფენდეს მისი აღქმის, დამახსოვრების უნარს (განსაკუთრებით მოწმის ხანდაზმულობის დროს), სიტუაციაში გარკვევის უნარს (მცირეწლოვანების დროს). დამკითხავი პირი არკვევს აგრეთვე მოწმის პროფესიას, რაც შეიძლება განაპირობებდეს აღქმის სიზუსტეს იმ შემთხვევაში, როცა აღსაქმელი გარემოების ხასიათი მის პროფესიულ დახელოვნებას, გამოცდილებას შეესაბამება და უადვილებს ამ გარემოების სწორად, შეუცდომლად აღქმას. საქართველოს სსრ სსსკ 66-ე, 156-ე 285-ე მუხლები მოწმის დაკითხვისას გამოძიებლისა და მოსამართლისათვის სავალდებულოდ თვლიან მოწმის დამოკიდებულების გარკვევას ბრალდებულთან, დაზარალებულთან. ამ გარემოებებმა შეიძლება ხშირად შუქი მოჰფინონ მოწმის ჩვენების კეთილხარისხოვნების საკითხს, რადგან ზოგჯერ მოწმის დაინტერესება საქმის შედეგით მიზეზია მისი ჩვენების წინააღმდეგობრიობისა და არაობიექტურობის. ამრიგად, დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შესწავლისას გამოსაკვლევი როგორც ამ წყაროს შემადგენელი ნაწილი — ჩვენება, ისევე ძირითადი მომენტები, რომლებიც მოწმის პიროვნებასთან არის დაკავშირებული.

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. P. D. Рахунов, Свидетельские показания в советском уголовном процессе, Госюриздат, 1955, გვ. 130; А. Н. Васильев, Г. Н. Мудюгин, Н. Я. Якубович, Планирование расследования преступлений, Госюриздат, 1957, გვ. 130—131; А. А. Старченко, Логика в судебном исследовании, Госюриздат, 1958, გვ. 14 და Л. Т. Ульянова, Оценка доказательств судом первой инстанции, Госюриздат, 1959, გვ. 80. დასახელებულ ავტორთა უმრავლესობა შეფასების ამ ორ მომენტს ურთიერთ მჭიდრო კავშირში განიხილავენ.

² ეს პრინციპი ნათლადაა გატარებული სსრკ 65-ე მუხლის მე-2 პუნქტში: არ შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას მოვლენები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. იმავე კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ექსპერტის ჩატარება სავალდებულოა მოწმის ან დაზარალებულის ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობის გამოსარკვევად იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო, გამოძიებელი და მოკვლევი პირი შეიტანენ ეჭვს მათ უნარიანობაში შეუძლიათ თუ არა სწორად აღიქვან გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და მისცენ მათ შესახებ სწორი ჩვენებები.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ლიტერატურაში ავტორთა ნაწილი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ჩვენებასთან ერთად გამოკვლევის საგანს შეადგენს მოწმის პიროვნება.¹ ზოგიერთი ავტორი კონკრეტულად ასახელებს იმ საშუალებებს, რომელთა მეშვეობით შესწავლილ უნდა იქნას მოწმის პიროვნების ზოგიერთი მხარე. ისინი მოითხოვენ რათა შესწავლილ იქნას მოწმის პიროვნება, მორალური სახე, მისი მასწავლებლის, ხელმძღვანელის, ექიმის დაკითხვის გზით². სულ სხვაა მოწმის მორალური სახის შესწავლის საკითხი, რომელიც სერიოზულ დავას უნდა იწვევდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გარემოებაში პრინციპში უნდა გადაწყვიტოს მისი ჩვენების სარწმუნობის საკითხი. ეს კი უმართებულო იქნებოდა, რადგან ეს გარემოება მიგვიყვანდა ფორმალური დამამტკიცებელი საბუთის აღიარებამდე რომლის ძალითაც ერთ, საერთოდ კეთილსინდისიერ და ზნეობრივად დადებით მოწმესთვის ხელაღებით უნდა დაგვეჯერებინა და პირიქით. სულ სხვაა ზემოაღნიშნული საშუალებით (მასწავლებლის, ექიმის დაკითხვით) გამოვიკვლიოთ კონკრეტული მოწმის შეფასებისათვის აუცილებელი გარემოება, როგორცაა მაგალითად, მეხსიერების უნარი, მიღებული ტრავმა და სხვ. ამ გარემოებების შესწავლა, ცხადია, ზოგჯერ გარდუვალია, მაგრამ ამ გარემოებათა შესწავლის ფარგლების გარკვევას დიდი სიფრთხილე სჭირდება. ეს გარემოებები, ვფიქრობთ, შესწავლილ უნდა იქნას მოწმის არასრულწლოვანების შემთხვევაში, როცა არსებობს რაიმე მითითება მოწმის ფიზიკური ნაკლის ან ნორმიდან გადახრის შესახებ, ანდა როცა თვით სასამართლოს ეპარება ეჭვი მოწმის ნორმალურ განვითარებაში (საქართველოს სსრ სსსკ 71-ე მუხლი). ამას გარდა, ზოგჯერ აღნიშნული გარემოებები შესწავლილ უნდა იქნას ჩვენების აშკარა წინააღმდეგობრიობის, არადაამაჯერებლობის გამო. ამრიგად, ამ გარემოებების დადგენისას სასამართლო იმ მოსაზრებიდან უნდა გამოვიდეს თუ რამდენად საჭიროა მათი დადგენა დამამტკიცებელი საბუთის წყაროს კეთილხარისხოვნების გამოსარკვევად.


დამამტკიცებელი საბუთის წყაროს, კერძოდ კი მოწმის ჩვენების ანალიზი, ნიშნავს იმის გამოკვლევას, ხომ არ მოქმედებდა რაიმე ისეთი გარემოება, რომელსაც შეეძლო გარკვეულად განეპირობებინა მოწმის მიერ სინამდვილის აღქმა, დამახსოვრება, მეხსიერებაში აღდგენა. ეს პირობები მარტო იმ თვალსაზრისით კი არ უნდა იქნას შესწავლილი თუ რამდენად უშლიდნენ ისინი ხელს აღქმას და სხვ., არამედ იმ თვალსაზრისითაც თუ რამდენად ქმნიდნენ ისინი ხელსაყრელ პირობებს აღნიშნული ფსიქიკური მოვლენებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროცესუალისტი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოწმის განზრახ ცრუ ჩვენებას კეთილსინდისიერი მოწმის შეცდომისაგან.³ ცხადია, ამ დაყოფის მართებულობა და პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ჩვენებათა ეს ორი კატეგორია მოითხოვს მოწმის დაკითხვისას ობიექტური ჩვენების მიღების განსხვავებულ ტაქტიკურ ხერხებს, ჩვენების გამოკვ-

¹ Р. Д. Рахунов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 133; И. Д. Перлов, *Судебное следствие в советском уголовном суде*, Госюриздат, 1955, გვ. 226 და სხვ.

² С. А. Голунский, *Допрос на предварительном следствии*, Ашхабад, 1942, გვ. 13. А. И. Винберг и Б. М. Шавер, *Криминалистика*, М., 1950, გვ. 177; *Советский уголовный процесс*, под редакцией Д. С. Карева, М., 1953, გვ. 85.

³ М. С. Строгович, *Курс советского уголовного процесса*. Издательство Академии наук СССР, 1958, გვ. 222—224; ბ. ფურცხვანიძე, *საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი*, თბილისი, 1963, გვ. 203.



ლევისას კი — ცოდნის სხვადასხვა სფეროებს. მეორე კატეგორიის ჩვენებთა დროს ძირითადად მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიის საფუძვლები გამოიყენება. ამავე დროს არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არაკეთილსინდისიერი მოწმის ჩვენების დამახინჯების მიზეზები კეთილსინდისიერი მოწმის სინამდვილის არასწორად აღქმის მიზეზებისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ჯეროვან ყურადღებას უთმობს მოწმის ჩვენების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის წყაროს ანალიზს ზემოთ აღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღების გზით. სტროგანოვის და სხვათა საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავდა, რომ „როდესაც მოწმე (მე-7 კლასის მოწაფე — კ. ვ.) უფრო ახლოს მივიდა და ბრალდებულთა ხელში დაინახა დაზარალებულის პალტო, იგი ვერ გაერკვა მომხდარში და კეთილსინდისიერად ცდებოდა, მას შეეძლო ევარაუდა, რომ ბრალდებულებმა განზრახ ვახადეს დაზარალებულს პალტო მისი დაპატრონების მიზნით“.¹

ამ მაგალითიდან ცხადად ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლესი სასამართლო მოწმის ჩვენების შეფასებისას მოწმის გარკვეულ დროებით ან მუდმივ ფსიქიკურ თვისებებს ან ფსიქიურ მდგომარეობას, უნარს აღიქვას ესა თუ ის მოვლენა, სწორად გაიგოს მისი მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ზოგჯერ ასეთი ხასიათის გარემოების დადგენა საშუალებას იძლევა პირდაპირი პასუხი გაიცეს კითხვაზე კეთილხარისხოვანია თუ არა დამამტკიცებელი საბუთის წყარო — მოწმის ჩვენება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოწმის ჩვენების შეფასებისას მხედველობაში იღებს აგრეთვე იმ ობიექტურ მომენტსაც, რომელიც თან ახლდა დანაშაულის ფაქტს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ქირიასა და სხვების საქმეზე აღნიშნავდა: „გაძარცვა, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მოხდა 1948 წ. 12 თებერვალს ღამით, ორ სამგზავრო ვაგონს შორის მდებარე ბუფერზე, რასთან დაკავშირებითაც მოწმე კობერიძე ამტკიცებს, რომ მან ამოიცინო მძარცველები, რადგან ერთმა მათგანმა აანთო ასანთი და შეამჩინია მძარცველთა სახეები. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მისთვის უჩვეულო პირობებში კობერიძეს, ასანთის სინათლეზე... შეეძლო შეემჩნია ხუთი მძარცველის სახე და სამი მათგანი ამოეცინო“.²

ამრიგად, მოწმის ჩვენებებზე დამყარებული წინასწარი ან სასამართლო გამოძიების დასკვნების სარწმუნოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოწმის მიერ დანაშაულის ფაქტის აღქმის, მისი რეპროდუქციის თანმხლებ სუბიექტურ და ობიექტურ პირობათა გათვალისწინება ამ ჩვენების შეფასების დროს. ეს კი სასამართლოსა და გამოძიების ორგანოებისაგან მოითხოვს იმ კონკრეტული სიტუაციის აღდგენას რომელშიც მიმდინარეობდა აღნიშნული ფსიქიკური მოვლენები.³

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1958 წლის 24 იანვრის დადგენილება. Бюллетень Верховного Суда СССР, 1958, № 2, გვ. 25.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 16 სექტემბრის დადგენილება. Судебная практика Верховного Суда СССР, 1949, № 11, გვ. 10.

³ სასამართლოს მიერ ამ გარემოებების აუცილებელი გამოკვლევის შესახებ იხ. კ. ვაჩიშვილი — მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია. კრებული „კრიმინალისტური ექსპერტიზის საკითხები“, № 3, თბ, 1959, გვ. 173-179.

მოწმეობისათვის მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ პიროვნება დასწრე შაულის ფაქტის თვითმხილველი იყოს, არამედ აუცილებელია აგრეთვე, რომ მან გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებს მიაწოდოს კეთილზარისხიანი ცნობებიც. მოწმის ჩვენების შინაარსს შეადგენს ცნობები დამამტკიცებელი საბუთების, ფაქტების შესახებ. ეს ცნობები კი ისეთი ხასიათის უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მათზე დაყრდნობით გაკეთდეს დასკვნები მთავარი საძიებელი ფაქტების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოწმის ჩვენების შეფასებისას იძლევა მთელ რიგ საგულისხმო მითითებებს თვით ჩვენების იმ ობიექტურ თვისებებზე, რომლითაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ აზრის შექმნაში მისი კეთილზარისხიანების შესახებ, მასში მითითებული ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ანისიმოვის საქმეზე მიუთითებდა: „დასკვნა ანისიმოვის ანტისაბჭოთა გამოთქმების შესახებ ემყარება მოწმეთა ზოგად, არაკონკრეტულ ჩვენებებს; ეს ჩვენებანი არ დაზუსტებულა არც წინასწარი გამოძიებისა და არც სასამართლოს მიერ. თავის საჩივარში ანისიმოვი აღნიშნავს, რომ მოწმეებმა მას ცილი დასწამეს მტრული ურთიერთობის ნიადაგზე ანისიმოვის გაძევების მიზნით მის მიერ დაკავებული ბინიდან; ეს გარემოება უნდა შემოწმდეს“. პლენუმმა დაადგინა საქმის ვაგზავნა ახალი განხილვისათვის წინასწარი გამოძიების სტადიიდან.¹ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სიჭინავას საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა ძარცვა, განმარტავდა, რომ „ბრალდება არ შეიძლება დაემყაროს დაზარალებულთა წინააღმდეგობრივ და სავარაუდო ჩვენებებს, რომლებიც ბათილდებიან საქმეში არსებული სხვა დამამტკიცებელი საბუთებით“.²

მოწმის ჩვენების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოებები თუ რამდენად კონკრეტულია, ბუნებრივი, არაწინააღმდეგობრივია ჩვენება, თუ რამდენად დაბეჯითებით, კატეგორიულად ამტკიცებს მოწმე გარკვეული ფაქტის ნახვას, ვაგონებას საკუთარი თვალთ, ყურით და სხვ. ჩვენების ეს ობიექტური ნიშნები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ მოწმე გარკვეულად დაინტერესებულია საქმის შედეგით, ცვლის ჩვენებებს ანდა გარკვეული მოსაზრებით შეცდომაში შეჰყავს სასამართლო, წინასწარი გამოძიება, სინამდვილეში კი იგი ან თვითმხილველია და აყალბებს ამა თუ იმ ფაქტს ანდა თვითონ არ ყოფილა თვითმხილველი და ხელოვნურად თხზავს ჩვენებას, იმ გარემოებაზე, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ასეთ შემთხვევებში იმის გამორკვევა თუ რატომ ცვლის მოწმე ჩვენებას, საჭიროა დადგენილ იქნას ეს მიზეზი და საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასებულ იქნას ეს ჩვენება.

მოწმის ჩვენების როგორც დამამტკიცებელი საბუთის შეფასებისას მხედველობაში მისაღებია კიდევ ერთი მომენტი. მიშლაევის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა გაძარცვა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია მოწმე კირილინის ჩვენებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება სიბნელეში,

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1939 წლის 10 ნოემბრის დადგენილება. Сборник постановлений пленума и определений коллегий Верховного Суда СССР, 1939, второе полугодие, М., 1941, გვ. 14.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1958 წლის 19 თებერვლის დადგენილება. Бюллетень Верховного Суда СССР, 1958, № 4, გვ. 34.

რომელიც საშუალებას არ იძლეოდა მძარცველის სახის გარჩევას, შემჩნეული ყოფილიყო მისი შარვლის თარგი“. ¹ სუმსკის საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია აღნიშნავდა: „დაზარალებულ ლობანოვის ჩვენების ობიექტურობა ეჭვს იწვევს, რადგანაც აღნიშნულ პირობებში (ლამის 12 საათზე — კ. ვ.) საეჭვოა შეუცდომლად ხმით იმ ადამიანის ცნობა, რომელმაც რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. საეჭვოა აგრეთვე, რომ დამნაშავემ თავდასხმისას დაიწყო საკუთარი თავის ელექტრონათურით გაშუქება, როგორც ამას ამტკიცებს დაზარალებული.“ ² ამრიგად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ცალკეული მოწმის ჩვენების ობიექტურობის საკითხის გარკვევისას წყვეტს შეესაბამება თუ არა მოწმის მიერ გადმოცემული ცნობები ფაქტების შესახებ მოვლენათა რეალურ, ობიექტურ მსვლელობას, რამდენად შეესაბამება აღნიშნული ცნობები მოსამართლეთა წარმოდგენებს საგანთა ლოგიკის შესახებ, მათ გამოცდილებას. ამრიგად, გარემოებები, რომლებიც მოწმის ჩვენებას, როგორც წყაროს ახასიათებენ, იძლევიან, მართალია, წინასწარ, მაგრამ ზოგჯერ მეტად საჭირო ცნობებს ამ წყაროს კეთილხარისხოვნების და მასში მითითებული გარემოებების სარწმუნოების შესახებ. საბოლოო დასკვნა კი კეთდება ამ ცნობების დადგენილ ფაქტებთან დაპირისპირების მეშვეობით.

მოწმის ჩვენების შეფასებისას მის პიროვნებასთან დაკავშირებული და თვით ჩვენების ხასიათის გამორკვევა საბოლოო ანგარიშში ჩვენებაში მოცემული ცნობების სარწმუნოების დადგენის ამოცანას ემსახურება. მოწმის ჩვენების როგორც წყაროს კეთილხარისხოვნება ზოგიერთ შემთხვევაში გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მასში მოცემული ცნობები სარწმუნოა. მოწმის ჩვენება როგორც წყარო შეიძლება არაკეთილხარისხოვანი იყოს მოწმის რაიმე სერიოზული ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლოვანების არსებობის შემთხვევაში. ისეთი გარემოებებიც, როგორცაა მოწმის უყურადღებობა, გულმავიწყობა ანდა არასწორი აღქმა უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში (უამინდობა, სიბნელე და სხვ.) ზოგჯერ განაპირობებენ ჩვენებების არაკეთილხარისხოვნებას. ასეთი მოწმეების ჩვენებები, მიუხედავად მოწმეთა ნორმალურად განვითარებულობისა, ან არასრულფასოვანია, ახდა იძლევა ისეთ მასალას, რომელიც კრიტიკული შესწავლის და გულდასმითი შემოწმების საგანი უნდა გახდეს საქმის სხვა მასალებთან კავშირში.

ფაქტიურ მონაცემებს შეუძლია მნიშვნელოვანი მასალა მოგვცეს წყაროს შესახებ. მაგალითად, მოწმის მიერ ჩვენებაში გადმოცემული ერთი ფაქტის დადასტურება ზრდის ნდობას ამ წყაროს მიმართ მასში მოცემულ სხვა ფაქტების შესახებ ცნობების შეფასებისას. წყაროს კეთილხარისხოვნების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს უკვე დადგენილი ფაქტების მომარჯვება და ამ გზით წყაროს შემოწმება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასა-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1950 წლის 30 მარტის განჩინება. Судебная практика Верховного Суда СССР, 1950 г., № 7, გვ. 22.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1950 წლის 11 ოქტომბრის განჩინება. Судебная практика Верховного Суда СССР 1951, № 1, გვ. 19.

3. საბჭოთა სამართალი № 2.

მართლო კოლეგია ნიკორას საქმეზე აღნიშნავდა, რომ ნიკორას ბრალდება თანამდებობრივ დანაშაულში ემყარებოდა ისეთი მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ შურისძიების გრძობით და ცდილობდნენ თავიდან მოეცილებინათ პატიოსანი მუშაკი ნიკორა, რომელიც მთელი თავისი ენერჯით ებრძოდა სახელმწიფო სახსრების მიმთვისებლებს. მოწმეების კადუშკინის და პონომარენკოს ჩვენებით უკანასკნელმა 1948 წლის 8 აგვისტოს ქრთამი მისცა ნიკორას. მაგრამ საქმეზე დართული ცნობიდან ჩანს, რომ პონომარენკო სამუშაოზე მოწყობილია მხოლოდ 12 აგვისტოს, ე. ი. ოთხი დღით გვიან, ვიდრე იგი მისი სიტყვებიდან გამომდინარე ნიკორას ქრთამს შეაძლევდა. მოწმე სლავენზონმა განაცხადა, რომ ქრთამი ნიკორას მან მისცა 1948 წლის 25 ივლისს ბანკის შენობაში. ირკვევა, რომ 1948 წლის 25 ივლისი კვირა იყო და ბანკი იმ დღეს არ მუშაობდა. კოლეგიამ საქმე წარმოებით მოსპო.¹ ამ მაგალითიდან ცხადად ჩანს, რომ მოწმის ჩვენების შეფასება ყოველთვის არ წარიმართება მხოლოდ და მხოლოდ მისი წყაროს შესწავლის გზით. ხშირად შეფასება თვით ამ წყაროში მითითებული ფაქტის შესახებ არსებული ცნობების შემოწმების გზით მიმდინარეობს. მართლაც, როდესაც მოწმე თავისი მონაცემებით ეჭვს არ ბადებს და იგი სათანადო კვლევის საგანიც არ ხდება, ხოლო მისი ცნობები ობიექტურად დასტურდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოწმის როგორც წყაროს შესწავლა აზრს კარგავს. ხოლო თუ ჩნდება რაიმე ეჭვი ამ მიმართულებით, ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტი, მითითებული მოწმის ჩვენებაში, სარწმუნოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება და გამომძიებელი ან მოსამართლე ვალდებული არიან შეისწავლონ წყაროსთან დაკავშირებული გარემოება.


მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მოწმის ჩვენების შესწავლა არ იძლევა საბოლოო და სარწმუნო წარმოდგენას მასში მითითებული ფაქტების შესახებ. იმისათვის რათა გამომძიებლის, სასამართლოს დასკვნები სარწმუნო იყოს, აუცილებელია მოწმის ჩვენების დაპირისპირება სხვა დამამტკიცებელი საბუთების წყაროებთან და ამ წყაროების მეშვეობით დადგენილ ფაქტებთან. ყოველი ცალკეული დამამტკიცებელი საბუთის შეფასება სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით მათ ერთობლიობაში.² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბრალდება ვერ დაემყარება მოწმეთა წინააღმდეგობრივ ან სავარაუდო ჩვენებებს, რომლებიც უარყოფილია საქმეში არსებული სხვა დამამტკიცებელი საბუთებით.³

ერთი და იგივე მოწმის სხვადასხვა დროს მიცემული ჩვენებების ერთმანეთთან დაპირისპირება, ამ ჩვენების შესწავლა სხვა დამამტკიცებელ საბუთთა წყაროების და ამ წყაროების მეშვეობით დადგენილ ფაქტებთან კავშირში პირდაპირ პასუხობს საქართველოს სსრ სსსკ მე-18 და 63-ე მუხლების შინაარსს.

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1951 წლის 28 აპრილის განჩინება. Судебная практика Верховного Суда СССР, 1951, № 7, გვ. 15.

² ეს დებულება მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში. Бюллетень Верховного Суда СССР, 1951, № 1, გვ. 20.

³ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1958 წლის 19 თებერვლის დადგენილება სიჭინაის საქმეზე. Бюллетень Верховного Суда СССР, 1958, № 4, გვ. 34.



ამ მუხლებში ლაპარაკია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ.

ამრიგად, ამა თუ იმ წყაროში მოცემული ცნობების სარწმუნობის მიღწევის საწინდარს წარმოადგენს გამოძიებისა და სასამართლოს ორგანოების საქმიანობა, რაც გამოიხატება ამ ცნობების ყოველმხრივ შემოწმებაში, მათ დაპირისპირებაში, ურთიერთკავშირის მოძებნაში საქმეში არსებულ სხვა მასალებთან. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მიზანია შეფასება მისცეს როგორც ცალკეულ დამამტკიცებელ საბუთს და მის წყაროს, ისე მთელ მათ ერთობლიობას, რაც იმას ნიშნავს, რომ დადგენილ იქნას კავშირი, ერთის მხრივ, დამამტკიცებელი საბუთის წყაროში მოცემულ ცნობებსა და მტკიცების საგანს შორის, ხოლო მეორეს მხრივ, დამამტკიცებელი საბუთის წყაროში ფაქტის შესახებ არსებულ ცნობებსა და თვით დამამტკიცებელ საბუთს — ფაქტს შორის. თუ ეს კავშირი სინამდვილეში არსებულ, ობიექტურ კავშირს ასახავს, ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულმა ორგანოებმა სწორი შეფასება მისცეს დამამტკიცებელ საბუთებს, დაადგინეს ობიექტური ჭეშმარიტება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე.

ამოსახლობარ ნაიღბენის ჩაჯაკაბის ზოგნიკითი პრაქტიკური საკითხის შესახებ

პრ. ნაღირაძე

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგამომძიებლო მოქმედებად ითვლება ამოსაცნობად წარდგენა. ხშირად ამ დროს უშვებენ უხეშ, გამოუსწორებელ შეცდომებს, რაც დიდ ზიანს აყენებს დანაშაულთან ბრძოლის საქმეს. მისი თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია გაირკვეს ამოსაცნობად წარდგენის ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი.

ამოსაცნობად წარდგენას და მის ჩატარებას მოკვლევის ან საგამომძიებლო ორგანოს მუშაკი მიმართავს საჭიროების შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მოწმეს, დაზარალებულს, ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს წარედგინოს ესა თუ ის პირი ან საგანი ამოცნობისათვის მათი დამახასიათებელი ნიშნებისა და განსაკუთრებულობის მიხედვით.

ამოიცნო პირი ან საგანი ეს იმას ნიშნავს, რომ იცნო იგი სხვა მსგავს პირთა ან საგანთა შორის და უჩვენო ამის შესახებ მომკვლევ პირს ან გამომძიებელს.


ობიექტის მიხედვით არსებობს ამოცნობის სამი სახე: ცოცხალი ადამიანის ამოცნობა, მკვდარი ადამიანის ამოცნობა და საგნის ამოცნობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, ვიდრე ამოცნობისათვის წარედგინება ესა თუ ის პირი ან საგანი, უნდა დაიკითხოს იმის გასარკვევად თუ რა ვითარებაში, როდის ან სად უნახავს მას სათანადო პირი ან

საგანი, იმ ნიშნებისა და თავისებურებათა გამო, რომელთა მიხედვითაც მას შეუძლია ამოცნობა. დაკითხვა კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად ფორმდება სათანადო ოქმით, სადაც აღინიშნება ცნობები ამომცნობის, ამოსაცნობად წარდგენილი პირებისა ან საგნების შესახებ, ოქმში სიტყვა-სიტყვით უნდა ჩაიწეროს ამომცნობის ჩვენება. ამოსაცნობი პირი, როგორც ეს 163-ე მუხლით არის გათვალისწინებული, წარედგინება ამომცნობს სხვა უცნობ პირებთან ერთად, რომელთა რიცხვი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. ისინი უნდა იყვნენ იმავე სქესისა, რომელი სქესიცაა ამოსაცნობი პირი, ერთმანეთისაგან მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ გარეგნობითა და ტანსაცმლით. შეძლებისამებრ მათი გარეგნული შეხედულება, წლოვანება, ტანადობა, ჩაცმულობა და სხვა, უნდა წააგავდეს ამოსაცნობი პირის გარეგნულ შეხედულებას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შედეგი მოაქვს კანონით გათვალისწინებული ამ წესის დარღვევას მოვიტანთ ერთ მაგალითს. ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონში, მოკვლევის ორგანომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ექიმ ლ-ს მიმართ, რომელსაც ეჭვით ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულ (აბორტის უკანონო გაკეთება) დანაშაულის ჩადენაში. დაზარალებული ამ საქმეზე მ-ი გარდაიცვალა.

როგორც საქმის მასალებით იყო დადგენილი მ-ის ორმა მეზობელმა დაზა-



რალეზულის ბინაზე ნახეს ექიმი ლ., თითქოსდა აბორტის გაკეთების შემდეგ მ-ის საექიმო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

საჭირო გახდა ლ-ს ამოცნობის ჩატარება, რადგანაც იგი უარყოფდა მ-თან ნაცნობობას და მასთან ბინაზე მისვლას. ექიმი ლ. ეროვნებით რუსი, ახალგაზრდა და გემოვნებით ჩაცმული ქალი იყო, მოკვლევის ორგანოს მუშაკმა არ გაითვალისწინა ეს და მისი ამოცნობა ჩაატარა ისეთ პირობებთან, რომლებსაც ეროვნებით, წლოვანებით, პროფესიით და ჩაცმულობით არავითარი საერთო ლ-თან არ ჰქონდათ. ცხადია ასეთი ამოცნობა და ამოცნობის ოქმი მტკიცების ძალას ვერ მიიღებდა... მოკვლევის ორგანოს მუშაკი მიხვდა რა მის მიერ დაშვებულ შეცდომას ამოცნობის ჩატარებაში, შეეცადა გამოესწორებინა იგი შემდეგნაირად: ამომცნობ პირებს, რომლებმაც ერთხელ უკვე მიიღეს მონაწილეობა ლ-ს ამოცნობაში, განმეორებით წარუდგინა ექიმი ლ. უკვე ისეთ პირობებთან, რომლებიც ლ-ს ეროვნებისა და წლოვანებისა იყვნენ, თუმცა მათი პროფესია და ჩაცმულობა არც ამ შემთხვევაში იყო სათანადოდ გათვალისწინებული.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ამოცნობის შედეგი მოულოდნელი არ იყო. მოკვლევის ორგანოს მუშაკმა პირველი ამოცნობის ჩატარების დროს დაშვებული შეცდომა არა თუ გამოასწორა, არამედ უფრო მეტად გააღრმავა იგი, რაც დანაშაულის გაუხსნელობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იქცა.

ამოსაცნობად წარდგენის დაწყებამდე ამოსაცნობ პირს წინადადება ეძლევა სხვა პირთა შორის დაიკავოს ადგილი მისი სურვილის მიხედვით, რაც აღინიშნება ოქმში .ეს კანონით გათვალისწინებული პირობა არასდროს არ უნდა დაირღვეს, რადგანაც მას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამას-

თან დაკავშირებით მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს:

ამოსაცნობად წარდგენის დაწყებამდე ამოსაცნობ პირს ქ-ს მომკვლევამ პირმა მიუთითა, რომ იგი დამდგარიყო წარსადგენ პირთა შორის მარჯვნიდან პირველი. ამოცნობის ჩატარების შედეგად ამომცნობმა ამოიცნო ქ-ი და მის შესახებ მისცა სათანადო ჩვენება. მეორე დღეს ქ-მ დაწერა საჩივარი პროკურორის სახელზე მომკვლევი ორგანოს მუშაკის არასწორი მოქმედების შესახებ და მიუთითა, რომ მან, თითქოს, წინასწარ გააფრთხილა ამომცნობი, რომ ქ. იდგებოდა მარჯვნიდან პირველი და ამიტომაც ამომცნობმა იგი უშეცდომოდ ამოიცნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწერდა ქ. ამომცნობი მას ვერ ამოიცნობდა, რადგანაც იგი არ არის იმ დანაშაულის ჩამდენი, რაშიაც მას ბრალს დებენ. ქ-ს ასეთი განცხადების შედეგად ჩატარებულმა ამოცნობამ დაჰკარგა თავისი დამამტკიცებელი ძალა.

თუ საჭიროება მოითხოვს, ჩატარდეს ამა თუ იმ საგნის ამოცნობა, საგანი ამომცნობ პირს აუცილებლად უნდა წარედგინოს სხვა ერთგვაროვან საგანთა ჯგუფში. სასურველია წარსადგენ პირთა და საგანთა ჯგუფი შეძლებისდაგვარად ფოტოგრაფირებულ იქნეს. კანონით გათვალისწინებული პირობების საწინააღმდეგო მოქმედება იქნა დაშვებული გამოძიებლის მიერ, რომელმაც ამოსაცნობი საგანი ამომცნობ პირს წარუდგინა ცალკე, სხვა ერთგვაროვან საგანთა ჯგუფის გარეშე. საქმის მასალების მიხედვით საჭირო იყო მამაკაცის ჯიბის საათის ამოცნობის ჩატარება. საათი უნდა ამოეცნო ბრალდებულ ჩ-ძეს, კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით საჭირო იყო ჩ-ძე წინასწარ დაკითხულიყო აღნიშნული საათის შესახებ და შემდეგ ეს საგანი ამოსაცნობად მოეთავსებიათ სხვა ერთგვაროვანი საათების ჯგუფში. მაგრამ გამოძიებელი ასე არ მოიქცა. მან გამოუძახა დაკი-

თხვაზე ბრალდებულ ჩ-ძეს და წარუდგინა ამოსაცნობად მას მხოლოდ ამოსაცნობი საათი. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა ჩ-მ საათი ამოიციწო და გამომძიებელმა ეს სათანადო ოქმით გააფორმა, ამ სავამომძიებლო მოქმედებას არავითარი მტკიცების ძალა არა აქვს. დაშვებულმა შეცდომამ საქმეს სერიოზული ზიანი მიაყენა.

წარსადაგენ პირთა ან საგანთა ჯგუფის სათანადოდ მომზადების შემდეგ ამომცნობი პირი შემოყვანილი უნდა იქნეს ამოცნობის ჩატარების ადგილზე. მას ეძლევა საჭირო დრო წარდგენილ პირთა ან საგანთა ჯგუფის შესწავლისათვის.

ამოცნობის ჩატარების დროს დაუშვებელია ამომცნობს მიეცეს მისახვედრი კითხვები ან ისეთი მოძრაობის, მიმიკის ვაკეთება, რომელიც რაიმე ორიენტირებას მისცემს მას იმ პირის ან საგნის შესახებ, რომლის ამოცნობაც საჭიროა. ამ წესის დარღვევა მტკიცების ძალას უკარგავს აღნიშნულ მოქმედებას და ხშირად სერიოზულ ზიანს აყენებს საქმეს.

თუ პირი ან საგანი მოწმეს ან დაზარალებულს წარედგინება ამოსაცნობად მას ეძლევა გაფრთხილება პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდების და განზრახ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლების მიხედვით, რაც ოქმში აღინიშნება და მოწმის ან დაზარალებულის ხელის მოწერით დასტურდება. თუ ამომცნობმა მიუთითა მისთვის წარდგენილ ერთ-ერთ პირზე ან საგანზე, მას წინადადება ეძლევა განმარტოს, თუ რა ნიშნების ან თავისებურებათა მიხედვით ამოიციწო მან ეს პირი ან საგანი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების ამოცნობა შეიძლება მოეწყოს მისი ფოტოსურათის მიხედვით,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლით დადგენილი საერთო წესების დაცვით. პიროვნების ამოცნობა მისი ფოტოსურათის მიხედვით უნდა მოხდეს სპეციალურად გამზადებული ორფურცლიანი ამოცნობის ოქმის შედგენით. პირველ გვერდზე მოცემულია მისი დასახელება—ამოცნობის ოქმი, მეორე გვერდზე იწერება ამომცნობი პირის ანკეტური მონაცემები, მესამე გვერდზე კი ფოტოსურათების დასამაგრებელი ადგილია. ფოტოსურათები, რომელთა შორისაც ნებისმიერ ადგილზე მოთავსებული იქნება ამოსაცნობი პირის სურათი, შეიძლება განლაგებული იქნეს ერთ ან ორ რივად და თითოეულ რიგში სამი ან ოთხი სურათი იქნეს მოთავსებული. სურათების ერთი მეორისაგან განსხვავებისათვის, როგორც წესი, საჭიროა მათი დანომვრა. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ოქმში ჩაკრული ან ჩაკერილი სურათები ისე უნდა დამაგრდეს მრგვალი ბეჭდის დასმით ან ჩანაკერ ძაფზე ლუქისა და მასზე სათანადო ბეჭდის დასმით, რომ გამოირიცხულ იქნეს სურათების შეცვლის ან მათი გადაადგილების შესაძლებლობანი.

ამოცნობის ეფექტურად ჩატარების მიზნით საჭიროა მოკვლევის ან გამოძიების ორგანოს მუშაკმა სათანადოდ შეარჩიოს როგორც ამოსაცნობი პირის ისე იმ პირთა სურათები, რომელთა შორისაც უნდა მოთავსდეს ამოსაცნობი პირის სურათი. სურათის შემდეგ დატოვებული თავისუფალი ადგილი გათვალისწინებულია ამომცნობი პირის დაკითხვისათვის. კითხვა-პასუხის საშუალებით აქ უნდა დაიწეროს ამოცნობის შედეგი.

ამოსაცნობად წარდგენა ტარდება არა ნაკლებ ორი თანამოწმის თანდასწრებით, რომლებიც საქმით დაინტერესებული არ უნდა იყვნენ. ამოსაცნობად წარდგენის დაწყებამდე თანამოწმეებს

უნდა განემარტოთ მათი უფლებები და მოვალეობანი. თანამოწმეთა შენიშვნა აუცილებლად უნდა შეტანილი იქნეს ოქმში.

მკვდარი ადამიანის ამოსაცნობად წარდგენა იმ განსაკუთრებულობით ხასიათდება, რომ მკვდარი ადამიანი მხოლოდ ერთი წარედგინება პირს ამოსაცნობად. ვიდრე მკვდარი ადამიანი წარედგინება ამოსაცნობად საჭიროა ამომცნობი პირი დაწვრილებით დაიკითხოს მის დამახასიათებელ ნიშნებზე (სქესი, წლოვანება, სიტყვიერი სურათი, განსაკუთრებული ნიშნები, ჭრილობის კვალი, სვირანგები ტანზე და სხვა). თუ ამომცნობი მკვდარ ადამიანს ამოიცნობს, საჭიროა ამომცნობმა მისცეს განმარტება, თუ რა ნიშნებითა და თავისებურებებით ამოიცნო მან იგი. ზოგჯერ მკვდარი ადამიანის ამოცნობა ტარდება უშუალოდ აღმოჩენის ადგილ-

ზე, როდესაც საჭიროა გარკვეული იქნეს მისი პიროვნება. მკვდარი ადამიანის აღმოჩენის ადგილზე ამოცნობის ჩატარების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამომცნობი პირები, რომლებიც მახლობელი სახლების მცხოვრებად ითვლებიან, წინასწარ არ დაიკითხებიან, მათ უშუალოდ წარედგინებათ მკვდარი ადამიანი ამოსაცნობად, (თითოეულს ცალ-ცალკე) თანამოწმეთა თანდასწრებით. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე პირი ამოიცნობს მკვდარ ადამიანს, მაშინ უნდა შედგეს ამოსაცნობად წარდგენის ოქმი. მკვდარი ადამიანი ამოსაცნობად წარდგენის შემდეგ ფოტოგრაფირებულ უნდა იქნეს, რათა მისი ამოცნობა შემდგომ ჩატარდეს ფოტოსურათით.

ასეთია ამოცნობის ჩატარების ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი.



მეფი ორგანიზებულობა, ოპერატიულობა, სიზუსტე და სიზუსტე მუშაობაში

ბ. ტაკიძე,

ქ. თბილისის პროკურორი

ორგანიზებულობა, ოპერატიულობა, სიზუსტე პროკურატურის ორგანოების წარმატებით საქმიანობის გადამწყვეტი პირობაა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამბობდა, რომ საბჭოთა ადმინისტრაციული მანქანა უნდა მუშაობდეს გამართულად, პატიოსნად, სწრაფად, რადგან მისი მოდუნებით ილახება არა მარტო ცალკეული პირის ინტერესები, არამედ მმართველობის მთელი საქმიანობა ყალბ, მოჩვენებით ხასიათს იღებს.

სოციალიზმის დროს წარმოება, კულტურა, მეცნიერება, პოლიტიკა ხალხის სამსახურშია ჩაყენებული, ემსახურება მშრომელთა კეთილდღეობის ამბლებს ამოცანებს. საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე გამსჭვალულია ცხოველმყოფელი სოციალისტური ჰუმანიზმით. მაგრამ სოციალისტური ჰუმანიზმი სრულიადაც არ გულისხმობს რაიმე კომპრომისის ისეთ ქმედობებთან, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოების ინტერესებს. დამნაშავე პირების, განსაკუთრებით კი საშიშ დამნაშავეთა მიმართ საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოები არ შეიძლება ჰუმანური იყვნენ, ისინი უნდა ატარებდნენ და ატარებენ კიდევ მკაცრ ღონისძიებებს.

ამ პრინციპით ხორციელდება ქალაქ თბილისის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მთელი საქმიანობა, რომელთა ზუსტ და განუხრელ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთლიანად რესპუბლიკაში დანაშაულის ლიკვიდაციისათვის.

ქ. თბილისის პროკურატურის ორგა-

ნოები, მთელი ჩვენი კოლექტივი ენერგიულად იბრძვიან დანაშაულის შემცირებისა და კანონიერების განმტკიცებისათვის. ქალაქისა და რაიონების პროკურატურის ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში გაააქტიურეს ბრძოლა გაფლანგვა — მტაცებლობის, სპეკულაციის, მექრთამეობის და სხვა საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ; ქმნიან ისეთ ვითარებას, რომ ბოროტმოქმედებს არ ჰქონდეთ შესაძლებლობა და სურვილიც კი, ზიანი მიაყენონ სახელმწიფო ქონებას, საბჭოთა ადამიანის ინტერესებს.

ამასთან ერთად არ შეიძლება თვალი ავარიდოთ და არ დავინახოთ, რომ პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებაა.

იშვიათად როდი ვხვდებით უხარისხოდ, ზერეულად და არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებს. მუშაობაში წუნი არსად არ არის დასაშვები და მოსათმენი, მით უმეტეს შეუწყნარებელი იგი ჩვენთან, სადაც გამოძიება დაკავშირებულია ადამიანის ბედთან, უფლებებთან, ღირსებასთან და ზოგჯერ სიცოცხლესთანაც კი.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის საქმეთა უსაფუძვლოდ მოსპობის და არაღძვრის, გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურების, შრომისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენი საქმიანობის ხარისხზე. მოვიყვანოთ ზოგიერთ მაგალითს:

კიროვის რაიონის პროკურორის თანამემწემ ვ. დოლიძემ მოქ. მიხაილო-

ვის მიმართ შემოსული მასალები მოქ. ჩახვაშვილის გაუპატიურების მცდელობისა და ხულიგნობის ფაქტზე უშედეგოდ დასტოვა და სათანადო საფუძვლის უქონლად გამოიტანა დადგენილება საქმის არაღძვრის შესახებ. მიხაილოვი ამჟამად პასუხისმგებამია მიცემული და მიიღებს შესაფერის სასჯელს.

ასევე არასრულყოფილი მასალების საფუძველზე შეწყვიტა ამხ. ვ. დოლიძემ საქმე წერეთლის მიმართ. ეს დადგენილებაც გაუქმებულია და ამჟამად გამოძიებას აწარმოებს კალინინის რაიონის პროკურატურა.

კალინინის რაიონის პროკურატურის გამოძიებელმა მ. სიმონიშვილმა მასალები „ლესბუმსბიტის“ მუშაკების მიმართ 2134 კუბ. მეტრი ხე-ტყის დანაკლისზე 5 თვეს უმოძროდ გააჩერა, შემდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, დაკითხა რამდენიმე მოწმე და საქმე წარმოებით შეაჩერა ექსპერტიზის ჩასატარებლად იმ მოტივით, თითქოს საქართველოში ამ დარგის სპეციალისტები არ იყვნენ.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით განხორცილება შეუძლებელია, თუ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოები შეთანხმებულად არ მუშაობენ, თუ არ ხდება მათი მუშაობის კოორდინირება. იქ, სადაც ეს ორგანოები ახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს, სადაც კარგადაა ორგანიზებული მუშაობა, ბრძოლა დამნაშავეობასთან და სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან წარმოებს დამაკმაყოფილებლად.

ამ ორგანოების კოორდინირებამ კი არ უნდა შეასუსტოს საპროკურორო ზედამხედველობის მნიშვნელობა, არამედ, პირიქით, იგი გულისხმობს მოკვლევის ორგანოებზე საპროკურორო

ზედამხედველობის შემდგომ გაძლიერებას.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტურია, როდესაც მილიციისა და პროკურატურის ორგანოები მოქმედებენ შეერთებული ძალით, ურთიერთკავშირში. ძალების კოორდინირება, გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთ გაზიარება ყოველთვის საჭიროა და უკეთესი შედეგით მთავრდება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანი საშუალება დამნაშავეობასთან ბრძოლისა ვერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული. ადგილი აქვს უწყებრივ მიდგომას, კამპანიურობას, პერიოდულად ხდება ერთიანი ძალით შეტევა ამა თუ იმ საქმეზე, საერთოდ კი იგი არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, ეს კი სწორი არ არის.

სამწუხაროდ, კანონიერების დარღვევას ადგილი აქვს თვით მილიციის მუშაკების მხრივ.

საბჭოთა კავშირის კვ. ცენტრალური კომიტეტისთვის ცნობილი გახდა მილიციი 26 კომისრის სახელობის რაიგანყოფილების და პროკურატურის ზოგიერთი მუშაკის არაკანონიერი მოქმედება არასრულწლოვან კრილოვის საქმის გამოძიების დროს ამ ბოლო დროს გაზიარდა საჩივრები ზოგიერთ მუშაკზე მოქალაქეების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ. სამწუხაროდ, საჩივრები საფუძვლიანია. ასეთ ფაქტზე რეაგირება აუცილებელია. არავითარი ლმობიერება, არავითარი გამონაკლისი მათ მიმართ, ვინაირც დაუდასტურდება ასეთი მოქმედება. ვერავის ვერ მივცემთ უფლებას, რომ თავიანთი არაკეთილსინდისიერი საქციელით ავტორიტეტი შეურყიოს მილიციის ორგანოებს და მის ჯანსაღ კოლექტივს.

დიდია მნიშვნელობა პროკურატურის ზედამხედველობისა სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებაზე. არაკანონიერი, უსა-

ფუძვლო განაჩენის ან დადგენილების გაპროტესტება პროკურატურის ორგანოების მოვალეობაა, იგი ითვალისწინებს საქმეთა განხილვის დროს დაშვებული შეცდომების დროულ გამოსწორებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პროკურატურის ორგანოები ცალმხრივად უდგებიან განაჩენისა და გადაწყვეტილების კანონიერებაზე ზედამხედველობას, შეაქვთ პროტესტი მხოლოდ ამა თუ იმ პირის არასწორად გამართლებაზე ან ლმობიერი სასჯელის გამოტანის თაობაზე და არავითარ რეაგირებას არ ახდენენ იმ ხასიათის შეცდომებზე, როდესაც მსჯავრდებულს დიდი სასჯელი ეფარდება. ამგვარი პრაქტიკა უნდა აღმოიფხვრას. სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელი ზუსტად უნდა შეუფარდოს კანონის შესაბამისად. თუ სასჯელი თავისი სიმძიმით არ შეესაბამება ჩადენილ ქმედობას, შეფარდებულია იგი მსჯავრდებულის პიროვნების გაუთვალისწინებლად, პროკურორი მოვალეა გააკეთოს სათანადო წარდგინება.

ქ. თბილისის სასამართლო ორგანოებში ძირითადად სწორად ტარდება დასჯითი პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ხშირია უკანონო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის ფაქტები, საქმეთა უკანონოდ დაბრუნება დამატებით გამოსაძიებლად, საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურება და სხვ. დავასახელებთ ზოგიერთ ფაქტს:

26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ არაქელოვს და კულულაშვილს ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ, მუშაობდნენ რა სავაჭრო საწარმოო ბაზის № 1 მაღაზიაში, ამ პირებს სისტემატურად უფაქტუროდ დიდი რაოდენობით შეჭკონდათ სახურავი თუნუქი და კრამიტი, ხოლო შემდეგ მომატებულ ფასებში ჰყი-

დნენ. არაქელოვი თანამდებობრივი დანაშაულისათვის ნასამართლვეი იყო.

კალნინის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. ქაჯაიას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მან აეროფლოტის სალაროს შენობაში ჩაიდინა თავაწყვეტილი ხულიგნობა, ხელით შეეხო უცნობ ქალიშვილს, ხოლო როდესაც წესრიგისაკენ მოუწოდა მოქ. როგავამ, ამ უკანასკნელს დანით მიაყენა მძიმე კატეგორიის დაზიანება. ჩვენი წარდგინებით ლმობიერი განაჩენი გაუქმებულია.

ა. ნაზარეტიანს პირველი მისის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა ორი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ასლანიანს კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ ორი წლით პირობითი სასჯელი შეუფარდა, მაშინ როდესაც საქმის მასალებით საფუძველი არ იყო მათი სისხლის სამართლის წესით დასჯისათვის.

პირველი მისის პროკურატურამ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით პასუხისგებაში მისცა მაღაზიის მუშაკები სარქისოვა, ზუციშვილი და სხვები. სასამართლომ ეს საქმე სამჯერ დააბრუნა იმ მოსაზრებით, რომ ბრალდებულთა დანაშაული კვალიფიცირებული ყოფილიყო ვაფლანგვის ბრალდებით. უმაღლესმა სასამართლომ ორჯერ მიიღო პროკურორის პროტესტი ამ საქმეზე. ეს არის მიზეზი, რომ სასამართლოში ხშირად ჭიანჭურდება საქმეების განხილვა.

არანაკლები დარღვევები და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გვაქვს სამოქალაქო საქმეებზე. ბევრჯერ მათი განხილვა წლების განმავლობაში ჭიანჭურდება, არაერთხელ არის გაუქმებული, დაშვებულია კანონსაწინააღმდეგო ქმედობანი. პროკურატურის ორგანოებს დაძაბული შრომა მოელოთ, რათა აღკვეთილ იქნას საპროკურორო ზედამხედველობის საქმეში არსებული დარღვევები. ეჭვი არ არის, რომ პრო-

კურატურის და სასამართლოს მუშაკები ერთიანი ძალით ყველაფერს გააკეთებენ კანონიერების განუხრელად გატარებისათვის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება პროკურატურის ორგანოების მიერ საერთო ზედამხედველობის ხაზით. ვასულ წელს საწარმო-დაწესებულებების შემოწმებით გამოვლინებულ იქნა კანონის დარღვევის შემთხვევები, რის შედეგად კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთისათვის ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში შეტანილია წარდგინებები და პროტესტები.

სისტემატურად მოწმდება მთელ რიგ დაწესებულებებში სოციალისტური ქონების დაცვის, მატერიალურ-საბასუხისმგებლო თანამდებობაზე კადრების შერჩევისა და განწილების, სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებში რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარების, მატერიალურ ფასეულობათა შენახვის, „არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შექმნილი სახლების, აგარაკების და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესრულების მიმდინარეობა და სხვ.

საპროკურორო ზედამხედველობა უნდა იყოს მკაცრი და პრინციპული, უნდა გამორიცხავდეს შემწყნარებლობას იმ პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ კანონიერებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესს.

ჯერ კიდევ საკმარისი ღონისძიება არ არის გატარებული პარაზიტული ელე-

მენტების, ქალაქში ჩაუწერლად მცხოვრები საეჭვო და დამნაშავე პირების წინააღმდეგ.

ზემოთ დასახელებული ფაქტები კანონიერების დარღვევაზე, რასაკვირველია, ტიპური არ არის მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ დანაშაულობასთან ბრძოლაში, მაგრამ კანონიერების დარღვევის ეს ცალკეული შემთხვევებიც კი დაუშვებელია. ჩვენ არ უნდა დაუშვათ ოდნავი გადახრაც კი ჩვენი სახელმწიფოს კანონების მოთხოვნებიდან. სოციალისტური კანონიერების დარღვევის გამოვლენისას უნდა შეიქმნას შეუწყნარებლობის ატმოსფერო კანონის დარღვევთა მიმართ და მკაცრად უნდა დაისაჯონ ისინი.

პროკურატურის ორგანოების მიერ იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის პროგრამიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებიდან, მოითხოვს მუშაობის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას, პროკურატურის საქმიანობაში ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებათა ყოველმხრივ აღმოფხვრას, სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის განუხრელად განმტკიცებას.

ქ. თბილისის ადმინისტრაციული ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ ამ ამოცანათა შესასრულებლად.

გვიანფორმალურ საქართველოში სასამართლოს განაჩენთა დაგვიკისებვის წესის შესახებ

ა. კეკელია

სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენთა¹ დამტკიცების წესი ქართულ სამართალწარმოებაში დღემდე ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა. ეს საკითხი კი მეტად მნიშვნელოვანია.

ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს სასამართლო განაჩენთა დამტკიცების წესის გარკვევა არა მთელ საქართველოში, არამედ მე-18 საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში.

ამ პერიოდის სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენთა დიდი უმრავლესობა დამტკიცებულია: მეფის, დედოფლის, ბატონიშვილების, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ან ცალკეულ მებატონეთა მიერ, ხოლო ზოგჯერ განაჩენს მეფე, მისი ოჯახის მთელი შემადგენლობა (გარდა ქალებისა, გამონაკლისს წარმოადგენს — დედოფალი) და პატრიარქიც კი ამტკიცებს.

როგორც გამოქვეყნებულმა, ისე გამოუქვეყნებელმა სასამართლო საბუთების შესწავლამ და მათმა კლასიფიკაციამ, დაგვარწმუნა, რომ განაჩენთა დამტკიცება არ იყო მომჩივანის (ბრალმდებლის, მაძიებლის) მოპასუხის. (მოადის), ან თვით დამამტკიცებელ პირთა ნებიდან გამომდინარე ამბავი; იგი ემორჩილებოდა გარკვეულ წესს, რაც იმდროინდელ ქართულ სამართალწარმოების მაღალ დონეზე მიუთითებს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ამ წესის შესახებ არაფერია ნათქვამი, უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა სათანადო განჩინება, რომელიც ავსებდა კანონის ამ ხარვეზს, ან ეს საკითხი წესრიგდებოდა ადათობრივი სამართლით. ყოველ შემთხვევაში, საკითხის ამხსნელი რაიმე საბუთი, ჯერჯერობით მიკვლეული არაა. თუ რა განაპირობებდა ცალკეული პირების მიერ განაჩენის დამტკიცებას, ამ საკითხზე დასკვნის გამოტანის ერთადერთი გზაა პირველადი საბუთების გულდასმითი შესწავლა. აქედან ვიღებთ გარკვეულ წესს,² რაც თითქმის ყველა განაჩენზე ვრცელდება.

ირკვევა, რომ როცა მომჩივანი საჩივრით მიმართავს მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს (გარდა ქალებისა, რომლებსაც არასოდეს არ მიმართავენ და არც სასამართლო წარმოებაში ჩანს მათი რაიმე ვვალი), პატრიარქს ან ცალკეულ მებატონეებს და ეს უკანასკნელნი სხვას ავალევენ საქმის გარჩევას, ამ შემთხვევაში მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენი, აუცილებლად უნდა იქნეს დამტკიცებული იმ პირის მიერ, რომელმაც „სამართლის ქმნა“ ბრძანა.

აღნიშნულ წესში, ერთის მხრივ ვხედავთ მომჩივნისათვის კანონიერი სამართლის დადგენის გარანტიას, ხოლო მეორეს მხრივ, ჩანს, რომ მოსამართლეთა

1. როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში, ისე პირველად სასამართლო ხასიათის საბუთებში, სისხლისა თუ სამოქალაქო საქმეებზე მოსამართლეთა მიერ გამოტანილი დასკვნა მოიხსენიება როგორც განაჩენი. ამ ტერმინს ჩვენც ამ მნიშვნელობით ვხმარობთ.

2. იშვიათად თუ შევხვდებით ამ წესიდან გადახვევას.

საქმიანობაზე განაჩენის დამამტკიცებელი პირები ახორციელებენ გარკვეულ კონტროლს.

იმ დროს, როცა მეფე არ იმყოფება ადგილზე, ან ხელს უშლის სხვა რამ გადაუღებელი მიზეზი, მაშინ, მეფის ბრძანებით გარჩეულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენი, შეიძლება დაამტკიცოს დედოფალმა ან ბატონიშვილებმა, რომლებიც ხშირად მიუთითებენ კიდევ, რომ სამართალი მეფეს უბრძანებია, მაგრამ ისინი ამტკიცებენ.¹

მსგავს შემთხვევებს ვხვდებით სხვა პირთა დავალებით გარჩეულ საქმეებზე გამოტანილ განაჩენთა დამტკიცების დროსაც.

აღნიშნული წესი ისე ზუსტად სრულდებოდა, რომ თვით მეფეც კი არ არღვევდა მას და დედოფლის ან ბატონიშვილების „ნაბრძანებ სამართალს“ არ ამტკიცებდა, თუ იგი უკიდურესი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

შედარებით სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა მეფის ბრძანებით საქმეს არჩევს სასულიერო სასამართლო-დიკასტერია. ასეთ შემთხვევაში განაჩენს იშვიათად ამტკიცებს მეფე. საქმე იმაშია, რომ სამღვდლოება სარგებლობს იმუნიტეტით განსაზღვრულ სასამართლო საქმეებში, ამიტომ განაჩენსაც ამტკიცებს სამღვდლოების უფროსი — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

სასამართლოს პირველად საბუთებში, ვერ შევხვდით ისეთ განაჩენს, როცა სასულიერო სასამართლო — დიკასტერია საქმეს არჩევს დედოფლის ან ბატონიშვილების დავალებით. ასევე ვერ ვხვდებით მათ მიერ დამტკიცებულ — დიკასტერიის მიერ გამოტანილ განაჩენებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთის უფლება ზემოდ აღნიშნულ პირთ არც ქონდათ.

გარკვეული გარემოების დროს გამორიცხული იყო განაჩენის დამტკიცებაც იმ პირის მიერ, ვინც მოსამართლეებს საქმის გარჩევა დაავალა. ეს გამოწვეული იყო დავის ობიექტით, ან სასამართლოს მიერ სადაო საკითხის გადაჭრის სრულყოფილობით. სახელდობრ არ იყო აუცილებელი განაჩენების დამტკიცება ისეთ შემთხვევაში:

ა) როცა მოპასუხემ აღიარა დანაშაული, ან სცნო სარჩელი, რაც სათანადოდაა განაჩენში ფიქსირებული.

ბ) როცა ორივე მხარე თანახმაა განაჩენის.

გ) როცა საკითხი არსებითად არ წყდება, ანდა სასამართლომ ფიცის განაჩენი გამოიტანა და დავა ფიცის ცერემონიის ჩატარების შემდეგ უნდა გადაწყდეს.

დ) როცა დავა შეეხება ისეთ ობიექტს, რაზედაც აღსრულება დაუყოვნებლივ შეიძლება მოხდეს (გამომდინარე სადაო საგნის ბუნებიდან). მაგალითად, საკითხი ეხება ფულის ან პირუტყვის ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში გადასვლას. სხვა არის, როცა სადაო ობიექტზე დავა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს (მაგალითად: მიწა, ციხე და სხვა) და მომავალი შთამომავლობისათვისაც კი ისევ სადაო იყოს.

ე) როცა მტკიცებები მომჩივანის სასარგებლოა, განაჩენიც კარგადაა დასაბუთებული და დავის განახლების შემთხვევაში საშიში არაა „სამართლის დაკარგვა“, ასეთ დროსაც განაჩენი შეიძლება არ წარედგინოს დასამტკიცებლად.

მოსამართლენი რომ მეფის, დედოფლის ან პატრიარქის ბრძანებით არჩევენ საქმეს, ამის შესახებ თვითონვე სწერენ ტექსტში. თუ ტექსტში ეს პირდაპირ

მოითხოვთ არ არის, მაშინ დასკვნა უნდა გამოვიტანოთ განაჩენის ბოლოს გამოკეთებული შემდეგი შინაარსის მინაწერებიდან: „ჩვენ ესე განვსაჯეთ და ნება მათის სიმალლისა არისო“¹. სიტყვა „სიმალლის“ ნაცვლად გვხვდება აგრეთვე — „უმაღლესობის“ ან „ხელმწიფის“. სამივე ამ ტერმინში მეფე ან დედოფალი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო როცა ვკითხულობთ: „...ნება მისი განათლებულების არისო“ (იშვიათ გამონაკლისში სიტყვა „სიმალლეშიც“) იგულისხმებიან ბატონიშვილები... „ნება მათის უწმინდესობის არისო“, მხოლოდ პატრიარქზე სწერენ, ე. ი. როცა განაჩენის ბოლოს ასეთ მინაწერს ვხვდებით — ნება მისი „სიმალლის“, „უმაღლესობის“, „ხელმწიფის“, „განათლებულების“ ან „უწმინდესობის“ არისო, უნდა დავასკვნათ, რომ მოსამართლეებს საქმე გაურჩევიათ: მეფის, დედოფლის, ბატონიშვილების ან პატრიარქის ბრძანებით.²

იშვიათი გამონაკლისის სახით ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როცა მეფეს ან სხვა უფლებამოსილ პირს საქმის გარჩევა არ უბრძანებიათ, მაგრამ მოსამართლეები საქმის განხილვისას გებულობენ, რომ სადაო საკითხზე მათ (მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს ან პატრიარქს) ადრე უმსჯელიათ, ან ამ საკითხთან დაკავშირებით სიგელი თუ ოქმი გაუციათ. ასეთ ვითარებაში წესი მოითხოვს, რომ მეფემ, დედოფალმა, ბატონიშვილმა ან პატრიარქმა, რომელმაც საბუთი ვასცა ან ადრე იმსჯელა სადაო საგნის შესახებ, იცოდეს სასამართლოს მიერ ამავე საგანზე ამჟამად „გაჩენილი სამართლის“ შესახებ, რისთვისაც მოსამართლენი სწერენ: ჩვენ ესე განვსაჯეთ და ნება მათის „სიმალლის“, „უმაღლესობის“, „ხელმწიფის“, „განათლებულების“ ან „უწმინდესობის“ არისო. ასეთი განაჩენებიც ზემოხსენებულ პირთ უნდა წარდგენოდათ დასამტკიცებლად.

როგორც ზევით ავღნიშნეთ თითქმის არასოდეს არ ირღვეოდა ის წესი, რომლის მიხედვით პირველად განაჩენი უნდა დაემტკიცებინა იმას, ვისი ბრძანებითაც გაიჩნა საქმე. თუ ეს შეუძლებელი იყო, განაჩენს ამტკიცებს მდგომარეობით მისი მომდევნო პირი. მაგალითად: 1800 წლის 22 დეკემბერს მეფე გიორგი XII-ის ბრძანებით საქმეს არჩევს ბატონიშვილი ბაგრატი, განაჩენი მეფემ უნდა დაამტკიცოს, მაგრამ მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო (იგი მძიმე ავადმყოფობის შედეგად 28 დეკემბერს გარდაიცვალა), ბაგრატი სწერს: „ჩვენ ეს სამართალი მივეცი და ნება ახლა, მემკვიდრის ჩვენის ძმის დავითის არისო.“³ აქ ბატონიშვილი დავითი მეფობის პრეტენდენტად წარმოგვიდგება.

ერთი განაჩენით ირკვევა, რომ მეფე ერეკლე II-ს, საქმის გარჩევა, თავის შვილ იულონისათვის უბრძანებია, ამ უკანასკნელს კი საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებისათვის გადაუდღია იგი⁴. გამოტანილი განაჩენი, პირველად „სამართლის უპირველეს მბრძანებელს“ მეფეს წარედგინება დასამტკიცებლად, ხოლო შემდეგ მას ამტკიცებს მოსამართლეებზე უშუალოდ საქმის გარჩევის დამვალეებელი ბატონიშვილი იულონიც.⁵

სასამართლო საბუთთა დამტკიცება, უბრალოდ რეზოლუციის დადებას როდი ნიშნავდა, საჭირო იყო დამამტკიცებელს გულდასმით წაეკითხა განაჩენი და

1. ან შეიძლება შევხვდეთ სიტყვათა სხვაგვარ წყობას, მაგრამ ყოველთვის ისე, რომ სიტყვა „ნება“ არ იკარგება.

2. „საქართველოს სიძველენი“, ტ. III გ. 218, საქართველოს ცენტრალური არქივი, — ფონდი 1448, საბუთები: 673, 675, 3070, 3666, ფონდი 1449, ს. 958 ფონდი — 1450, დავთარი 11; საბუთი 105.

3 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad ს. 1986.

4 ალბათ რაიმე ვადაუდებელი მიზეზის გამო, იყო ასეთი შემთხვევებიც. იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 495.

5 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1450, დავთარი 48, ს. 39.



დარწმუნებულებით მის კანონიერებაში. ამას ბევრი საბუთი ადასტურებს. მაგალითად, ერთ განაჩენში მოსამართლეები პირდაპირ წერენ, დედოფალმა, განაჩენი იმიტომ არ დამტკიცა, რომ „მისი სიმტკიცე ვერ ეპოვა“-ო.¹

განაჩენის დამტკიცება რომ ფორმალურად არ წარმოებს, ეს კარგად ჩანს ერთ არზაზე დარეჯან დედოფლის მინაწერით, რომელთაც იგი „აყენებს“² რა განაჩენს, სწერს: „...ამისმა მოდავემ, განაჩენი დავამტკიცებინა, ჩვენ ის გაჩხრეკვის და კარგად გასინჯვით ვერ გავსინჯეთ, თორემ არ დავამტკიცებდით, ჩვენი დამტკიცებული ისევ დავგიყენებია“.³

მეფე ერეკლე II ამტკიცებს რა 1797 წელს მდივანბეგის მიერ გამოტანილ განაჩენს, წერს: „ქ. ამას ეს აკლია, რომ რომელმაც ეს დასწერა ამის ბანდები, მდივანბეგისათვისაც უნდა დაებჭდინებინა და მეორეც ეს, რომ ასე გრძლად არ უნდა დაწერილიყო და მოკლეთ უნდა დაეწერათ“.⁴

ვხვდებით ასეთ საბუთსაც: როცა დამტკიცების დროს მეფე ერეკლე II დაეჭვებულა განაჩენის კანონიერებაში, მისი აქტივობა, უფრო შორს წასულა და ასეთი რეზოლუცია დაუდევს — „როდესაც კახეთს გამოვალთ, ამ საქმეს მოვიკითხავთ და სარწმუნოს მოწმეთაგანაც გამოძიებით შევიტყოფთ და ამის სამართალს ჩვენ განვსჯით“.⁵

ისეთი განაჩენებიცაა, როცა საქმის გარჩევა მოსამართლეებისათვის არ დაუვალეობათ მეფეს, დედოფალს ან ბატონიშვილებს, მაგრამ განაჩენს მაინც ისინი ამტკიცებენ. ამას ადგილი ჰქონდა მხოლოდ მაშინ თუ საქმე გარჩეული იყო მეფის მოსამართლეების — მდივანბეგების მიერ. რაც შეეხება სხვა მოსამართლეების მიერ გამოტანილ განაჩენებს მათ მეფე ან მისი ოჯახის წევრები არ ამტკიცებენ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. ასევე, როგორც წესი, ისინი არ ამტკიცებენ როგორც ცალკეული მებატონეების, ისე მათი დავალებთ გარჩეულ საქმეებზე გამოტანილ განაჩენებს,

გარდა მეფის, დედოფლის, ბატონიშვილების, პატრიარქისა და ცალკეული ფეოდალებისა — სხვას უფლება არა აქვს დამტკიცოს განაჩენი.

სისხლისა თუ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ განაჩენების დამტკიცების წესში რაიმე სხვაობას ვერ ვპოულობთ. ვერ ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როცა მდივანბეგს დამტკიცებინოს სხვა მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენები. იშვიათ შემთხვევაში ისინი მხოლოდ „ეთანხმებიან“. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა კომპენტენციის თვალსაზრისით, რომ ღირსია ცალკე იქნას შესწავლილი.

საქართველოს ჩვეულებითი სჯულის 59-ე მუხლში გატარებულია აზრი, რომ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენები შეიძლება ძალაში შევიდეს მეფის დაუმტკიცებლადაც. ეს არ ეწინააღმდეგება განაჩენის დამტკიცების ზემოდ დასაბუთებულ წესებს. უნდა ვივლით სხვათა, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ ისეთ საქმეებზე გამოტანილ განაჩენებზე, რომელთა გარჩევაც მოსამართლეთათვის მეფეს არ დაუვალეობია.⁶

განაჩენთა დამტკიცების წესის შესწავლის საკითხს, იმის აუცილებლობამ

1 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1449, ს. 958.

2 ივულისხმება განაჩენის შეჩერება.

3 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1458, რეგული 13, საბუთი 91.

4 ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 14635.

5 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1449, ს. 2611.

6 „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, 1960 წ. გვ. 72 ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 72.

დისაც მიგვევართ, რათა გარკვეული იქნას ის წესიც, თუ ვინ წარუდგენდა განაჩენს დასამტკიცებლად მეფეს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს.

საბუთების მიხედვით ზოგჯერ მოსამართლეები იყვნენ ვალდებულნი დასამტკიცებლად წარედგინათ განაჩენი სამართლის დამამტკიცებელ პირისათვის. მაგალითად: მეფე გიორგი XII კახეთის მოსამართლეებს უბრძანებს რა საქმის გარჩევას, სწერს: „...განაჩენი მიეცით და ჩვენ დაგვამტკიცებინეთ“.¹

მოსამართლეებს, რომ უნდა წარედგინათ მეფისათვის განაჩენი დასამტკიცებლად, ამაზე მეტყველებს ერთი საბუთიც. დედოფალი არ ამტკიცებს მდივანბეგების მიერ გამოტანილ განაჩენს და სხვა მოტივებთან ერთად უთითებს იმაზედაც, რომ რატომ მდივანბეგებმა განაჩენი მეფეს არ დაამტკიცებინესო.²

ვხვდებით ისეთ საბუთებსაც, როცა განაჩენი მეფესთან დასამტკიცებლად თითონ მომჩივანს მიაქვს. ასე მაგალითად: 1787 წელს მეფე ერეკლე II-სადმი მიერთმეულ არზაში თევდორე ხახანაშვილი წერს: „...ჩემო ხელმწიფე, ჩვენი შეწირულების წიგნი, მდივანბეგების განაჩენი და თქვენი ოქმები მომირთმევა. გვედრებით, მდივანბეგების განაჩენი დაგვიმტკიცოთო“.³

როგორც ვხედავთ განაჩენი დასამტკიცებლად შეიძლება წარადგინონ მოსამართლეებმაც და მომჩრვანმაც, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი უშუალოდ კი არ წარდგებოდნენ მეფის წინაშე დასამტკიცებელი განაჩენით, არამედ ამას აკეთებდა სპეციალური თანამდებობის პირი — მეარზე, რომელსაც ევალებოდა მისთვის განკუთვნილ საათებში წარედგინა მეფისათვის საჩივრები — გადასაწყვეტად და განაჩენები — დასამტკიცებლად. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, იოანე ბატონიშვილის სჯულდებიდანაც სჩანს: „არზის მიმართმეველნი ხომ არიან და ნიშნულნი ქართლიდან და კახეთიდან“.⁴ და იოანე აყენებს საკითხს, რომ ამიერიდან კვირაში ორჯერ, უშუალოდ ხალხისაგან მიიღოს მეფემ საჩივრები, მერსეთუხუცესის თანდასწრებით და მისი ხელით.

პლატონ იოსელიანი აგვიწერს რა მეფე გიორგი XII-ის დღის განაწესს წერს: „თორმეტს საათზე გაბრძანდებოდა და შემოეხვეოდნენ დარბაისელნი, აგრეთვე მეარზენი და საქმობდა სამ საათამდინო“.⁵

ჩვენის აზრით მეარზეც სალთუხუცესის სახელისუფლოში შემავალი მორდალზე უფრო პატარა და მასთან სამსახურებრივ დამოკიდებულებაში მყოფი სახელოს მატარებელი პირი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მხოლოდ ტექნიკური ფუნქციის შესრულება ეკისრებოდა, რაც საჩივართა მიღებასა, სათანადო პირთან წარდგენასა და შემდეგ უკანვე შესაბამის მოხელესა თუ მომჩივანთან კუთვნილებისამებრ დაბრუნება — გადაცემაში გამოიხატებოდა.

ისე როგორც სიტყვა არზას, მეარზესაც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და დასტურლამალი არ იცნობს. ისინი შემდგომი პერიოდის ტერმინებია.

საეჭვოა არაბული სიტყვა არზა, რომ შინაარსობრივად სიტყვა საჩივრის იდენტური იყოს.

მეფეს დასამტკიცებელ განაჩენებს თუ საჩივრებს, რომ სპეციალური პირი მიართმევდა, ამას ადასტურებს ერთ საბუთზე გაკეთებული წარწერაც: „ხელმწი-


1 „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გ. 235.

2 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1449, ს. 958.

3 „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან“, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გ. 139.

4 „იოანე ბატონიშვილის სჯულდება“, ივ. სურგულაძის რედაქციით, 1957 წ. გვ. 50.

5 პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, ავ. ვაწარელის რედაქციით, 1936 წ. გვ. 63.



დის გასასინჯავი“, მეფეს მართლაც „გაუსინჯავს“ ეს საჩივარი და ზედ სათანადო რეზოლუციაც დაუდევს¹. საბუთზე გაკეთებული ეს წარწერა, რომ მეფესთან მისი შეტანის წინაა გაკეთებული, ალბათ, სათანადოდ უფლებამოსილ პირის მიერ, ამას პირველ შეხედვისთანავე დაასკვნის მნახველი, როგორც კალიგრაფიული ნიშნებით, ისე მელნის ფერით.

სასამართლო საბუთების დედნებზე მუშაობისას ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ განაჩენის ტექსტის თავში საკმაოდ დიდი ადგილია დატოვებული, რაც განკუთვნილია დამამტკიცებელი პირის მიერ სათანადო მინაწერის გასაკეთებლად.

გარდა იშვიათი გამონაკლისისა, განაჩენს ტექსტის თავში ამტკიცებდა, უპირველესად ყოვლისა, მეფე, დედოფალი, ან კათალიკოსი; ხოლო როცა განაჩენი სამიგემ უნდა დაამტკიცოს მაშინ მეფეს ენიჭებოდა ეს უპირატესობა, დედოფალი და პატრიარქი მსგავსად ბატონიშვილებისა, განაჩენს ტექსტის ბოლოს ამტკიცებდნენ, ან იშვიათ შემთხვევაში პირველი გვერდის აშიაზე².

სულ სხვა სურათთან გვაქვს საქმე სასულიერო სასამართლოს — დიკასტერიის მიერ გამოტანილ განაჩენთა დამტკიცების გაფორმებისას. თითქმის, როგორც წესი, მას თავში, ყველაზე საპატიო ადგილას ამტკიცებს პატრიარქი. იშვიათ შემთხვევაში აქვე აშიაზე (და არა ბოლოს) მეფე³. ეს ერთის შეხედვით პატარა, თითქოს ტექნიკური დეტალი სასულიერო სასამართლოს განსაკუთრებული უფლებების დამამტკიცებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

ამ გამოკვლევის დროს ჩვენ გვაინტერესებდა მხოლოდ ისეთი განაჩენები, რომელთა დამტკიცება აუცილებელი იყო. შესწავლის საგნად არ ვაგვიხდია, აღნიშნულ პირთა ბრძანების გარეშე გარჩეულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები, რომლებსაც არავინ არ ამტკიცებს. ასევე აქ საგანგებოდ არ შევეხეთ საკითხს, თუ როგორ განაპირობებდა აღსრულებას განაჩენთა დამტკიცება ან დაუმტკიცებლობა. ეს საკითხიც ცალკე შესწავლას იმსახურებს.

ასევე მიზანშეწონილად არ მივიჩნით, ყველა ადგილას, სათანადო შენიშვნა გაგვეკეთებინა, იმაზე რომ ისე, როგორც ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში, საქართველოშიც „კანონიერება“, „სამართლიანობა“ გაგებული უნდა იქნას კლასობრივი თვალსაზრისით. ქართლ-კახეთის სამართალი ისევე, როგორც სახელმწიფო მხოლოდ გაბატონებული უმცირესობის ნებას გამოხატავდა და მათი ინტერესების დაცვის საქმეს ემსახურებოდა.

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd ს. 187.

² საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1448, საბუთები: 457, 872, 4594, 5524, 1282, ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd ს. 3837.

³ საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1448, საბუთები: 3121, 3788, 2323.

საბჭოთა საქართველოს იურიდიული ქალები

ჩვენს ქვეყანაში ქალი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი მოქალაქეა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებლობაში, დიდი ენთუზიაზმით შრომობენ სახალხო მეურნეობაში, მეცნიერების, კულტურის მოზარდი თაობის აღზრდის სარბიელზე.

ნახევარმილიონზე მეტი საბჭოთა ქალი მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაში. ისინი არჩეულნი არიან საბჭოთა კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, სწყვეტენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს.

საბჭოთა ქალები წარმატებით იღწვიან იუსტიციის ორგანოებშიც. ისინი დაუღალავად ემსახურებიან სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, ადამიანის ბედნიერი მომავლის საქმეს.

ქალი — მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, ნოტარიუსი, არბიტრი, იურისკონსულტი — დიდხანია ჩვენში მასიური მოვლენა გახდა. საბჭოთა ხელისუფლების თითოეულ ამ უბანზე ამკარად ჩანს მათი ორგანიზატორული შესაძლებლობანი, ინიციატივა, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი, ადამიანთა მიმართ მათი გულისხმიერება და ყურადღება.

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოებში ამჟამად 900-ზე მეტი ქალი მუშაობს. მათ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს წევრთა შორის ათი ქალია. ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი უმაღლესი სასამართლოს წევრის — ლუბა კობრეიძის სახელი. თავმდაბალი და სათნო ლუბა კობრეიძე, ამავე დროს მკაცრი, მიუკერძოებელი მოსამართლეა. იგი იცავს ადამიანის ღირსებას, უფლებებს, კანონიერ ინტერესებს, მთელი არსებით ეკიდება სასამართლოს მუშაობას, ღირსეულად ასრულებს საბჭოთა მოსამართლის საპატიო მოვალეობას.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს წევრის ნინო მირიანაშვილის საქმიანობის დასახასიათებლად. ნინო მირიანაშვილის მიერ გამოტანილი თითოეული დადგენილება თუ განჩინება საბჭოთა კანონიერების განუხრელად განხორციელების ნიმუშია. იყო კარგი დედა, დიასახლისი, რესპუბლიკის მოწინავე მოსამართლე ადგილი საქმე როდია. ასეთია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრი ადელინა ხონიაკინა. სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს მუდამ ენერგიული და საქმის

მცოდნე ვერა კაჩმაზოვა ხელმძღვანელობს. მის მიერ გამოტანილი თითოეული განაჩენი ზედმიწევნით დასაბუთებული და არგუმენტირებულია.

კარგი მაჩვენებლები აქვთ მუშაობაში უმაღლესი სასამართლოს წევრებს — ელისაბედ ცაბოლავას, ტოსია ჯაფარიძეს, ანა ქუმსიაშვილს, სტატისტიკური განყოფილების უფროს ელენე ქავთარაძეს, უფროს კონსულტანტს ბალსან ნაზარიანს, კონსულტანტ-სტატისტიკოს სოფიო ფოფხაძესა და სხვ.

1960 წლის დეკემბერში 22 ქალი აირჩიეს რაიონის (ქალაქის) სახალხო მოსამართლეებად. 5116 ქალი — მუშა, კოლმეურნე, ინჟინერი, ექიმი და მასწავლებელი არჩეული არიან სახალხო მსაჯულებად. 49 იურისტი ქალი მუშაობს ნოტარიუსად, 119 — ადვოკატად, 32 — პროკურორად და გამომძიებლად.

ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს ხელმძღვანელობს ბარბალე არავიაშვილი. ამ სასამართლოს მიერ განხილული როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეები მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ენერგიული მოსამართლე გამუდმებით ახორციელებს კონტროლს სასამართლოს მიერ წარმოება — დაწესებულებებზე ხელახლა აღსაზრდელად გადაცემულ პირების საქმიანობაზე, მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული თავის ამომრჩევლებთან, რეგულარულად ეწევა საბჭოთა კანონების პროპაგანდას.

მხარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს რიგი წლებია სათავეში უდგას ნინო გობრონიძე. იგი ხალხის რჩეულია, მათი ინტერესების სადარაჯოზე მუდამ ფხიზლად და პირნათლად დგას.

ნინო გობრონიძე რაიონული საბჭოს დეპუტატია, პარტიის რაიკომის წევრია.

დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ ამომრჩევლებში და თავიანთ კოლექტივებში სახალხო მოსამართლეები ლუბა არზიანი, ქეთევან მეგრელიშვილი, ლუბა ბრელიძე, ნათელა წულუკიძე და სხვ.

პროკურორისა და გამომძიებლის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მოვალეობას წარმატებით ართმევენ თავს ჩვენი ქალები. ბევრ მათგანს ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია პროკურატურის ორგანოებში. დიდი ნდობით აღჭურვილნი, ისინი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მაქსიმალურ მოსაზრებულობას და ინიციატივას ავლენენ, ხოლო ზოგჯერ თავგანწირვასაც კი. ამ ბოლო ხანებში ყაზბეგის რაიონის პროკურორის, პირველი კლასის იურისტის ვალენტინა შადურის მიერ ოპერატიულად და საზრიანად გამოძიებულმა ვეტფერშალ ი. ა. ფიცხელაურის მკვლელობის საქმემ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ოპერატიულ მუშაკებში.

თამარა კვარაცხელია საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსია. დიდ ყურადღებას, სიობოს, ენერგიასა და ცოდნას აქსოვს იგი თავის საყვარელ საქმიანობაში. მთელი განცდებით, ფიქრებით ბავშვებთანაა, მათთვის ცხოვრობს. მრავალი გზასაცდენილი არასრულწლოვანი დაუყენებია მას ცხოვრების სწორ გზაზე...

დიდხანია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას ემსახურება კიროვის რაიონის გამომძიებელი ნინო კობრიძე. დაკვირვებული და იურიდიული

ცოდნით შეიარაღებული გამოძიებელი კარგად ართმევს თავს მინდობილ საქმეს. მის მიერ გამოძიებული საქმეები გამოირჩევა ოპერატიულობით, გამოძიების მაღალი ხარისხით.

იურიდიული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწის ელენე აბაშიძის, აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწის თინათინ ხვედელიძის, გურჯაანის რაიპროკურორის გამოძიებლის ლალი დარჩიაშვილისა და სხვათა უმწიკვლო მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში უფროს კონსულტანტად მუშაობს თამარ დადიანი. იგი მაღალკვალიფიციური იურისტი, შესანიშნავი სპეციალისტი, გულისხმიერი და ყურადღებოანი ადამიანია. აქვე საქმიანობენ სახელმწიფო არბიტრები ლამარა ჩორგოლაშვილი, ვერა ქლამაძე და სხვ.


მრავალი ქალი მუშაობს სახელმწიფო სანოტარო კანტორებში. გულმოდგინებითა და სერიოზულობით ეკიდებიან ისინი ნოტარიუსის რთულსა და ფაქიზ სამუშაოს. თინათინ მოდებაძე, მარიამ ძლიერიშვილი, გუგული ხიდურელი, რუსუდან დონჯაშვილი რესპუბლიკის მოწინავე ნოტარიუსები არიან.

საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თანამშრომლები: ეთერი ჩიქვინიძე, ია დილევსკაია. კეთილსინდისიერი მუშაობა, გულისხმიერი დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი, პრინციპულობა და ობიექტურობა — ასეთია იმ დადებითი თვისებების ნაწილი, რომელიც

გააჩნია იურიდიული კომისიის მუშაობის განყოფილების უფროს რევიზორ-ინსპექტორს მედეა ნიკოლაიშვილს.

დიდ მუშაობას ეწევიან ადვოკატი ქალები. ისინი სასამართლოს კეთილსინდისიერი თანაშემწენი არიან, აქტიურად ეწევიან საბჭოთა კანონების პროპაგანდას მოსახლეობაში. ერთ-ერთი მათგანია ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ლეილა ზედგენიძე. უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას იგი ნაყოფიერად იყენებს პრაქტიკაში. მის გამოსვლებში დაცვითი პოზიცია მკაფიოა და გამოკვეთილი. დაცვისათვის გულმოდგინე მომზადებით, სამსჯავრო გამოძიებაში აქტიური მონაწილეობით, გააზრებული და კარგი გამოსვლებით გამოირჩევიან აგრეთვე ადვოკატი ქალები: ქსენია ჯიმშელიაშვილი, მანანა მასხარაშვილი, ნინო ბარამიძე, ტატიანა იაშვილი და სხვები.

ქალები მოღვაწეობენ აგრეთვე სამართლის მეცნიერების დარგში. ჩვენი ქვეყნის ვარეთ არის ცნობილი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თინათინ ვასილის ასულ წერეთლის სახელი. მისი ფუნდამენტალური შრომები — „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ და მრავალი სხვა ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. საბჭოთა იურიდიული მეცნიერება სამართლიანად ამყობს მისი შრომებით. პროფ. თინათინ წერეთელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის უფროსია და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს უზრდის დედა სამშობლოს.



მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწე-
ვიან სამართლის ინსტიტუტის უმცროსი
მეცნიერ-მუშაკი თამარ ცაგურია, იუ-
რიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები
შხია ლეკვეიშვილი, ნანული კორძაია —
სამადაშვილი, სამეცნიერო-კვლევითი
კრიმინალისტური ლაბორატორიის თა-
ნამშრომლები ნონა ლასხიშვილი, დოდო
აბაზაძე და სხვ.

საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს
არ ჩამორჩებიან პენსიაში გასული იუ-
რისტი ქალები. ისინი თავიანთ ცხოვრე-
ბისეულ და პრაქტიკულ გამოცდილებას
უზიარებენ იურიდიულ ორგანოებში
მომუშავე ახალგაზრდა კადრებს. ქართ-

ველ იურისტთა საზოგადოებაში დოდო
სიყვარულით სარგებლობს ნინო მანჯ-
გალაძის, ნატალია ლომთათიძის სახე-
ლები. ისინი პერსონალური პენსიონე-
რები არიან, მხნედ გამოიყურებიან და
შეხარიან სამართლის ორგანოების კანო-
ნიერ და ზუსტ მუშაობას, რომლის და-
ფუძნებაშიც მათ თავიანთი წვლილი შე-
იტანეს.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე-
ნი — საბჭოთა საქართველოს იურისტი
ქალები, მთელ თავიანთ ენერგიას, გა-
მოცდილებას კომუნნიზმის აშენების
ღიად საქმეს სწირავენ.

ლაგარა ისაბაძე

პროფესორ გიორგი აღმაშენებელი და ნანეიშვილის სხოვანება და მოღვაწეობა

გიორგი აღმაშენებელი და ნანეიშვილი დაიბადა 1894 წელს. მამამისი იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე (ნალი). გ. ნანეიშვილმა 1911 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი.



1912 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გ. ა. ნანეიშვილი მუშაობდა პროფ. ტუგან-ბარანოვსკისა და პროფ. პეტრაშვიცის სამეცნიერო წრეებში. 1916 წელს გიორგი ნანეიშვილი არჩეულ იქნა პროფ. პეტრაშვიცის სამართლის ფილოსოფიის კათედრასთან არსებული სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ და უნივერსიტეტის დამთავრებამდე ხელმძღვანელობდა ამ წრის მუშაობას.

1917 წელს გ. ნანეიშვილმა დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა უნივერსიტეტი საპროფესოროდ მოსამზადებლად.

თბილისში უნივერსიტეტის გახსნისთანავე ის ბრუნდება სამშობლოში და იწყებს მუშაობას თბილისის უნივერსიტეტში ასპირანტად. 1919 წელს გ. ნანეიშვილი სწავლის გასაგრძელებლად თბილისის უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ იქნა დასავლეთ ევროპაში.

საზღვარგარეთ მეცნიერული მივლინების პერიოდში ის იმყოფებოდა ფრეიბურგსა, ბერლინსა, დრეზდენსა და პარიზში. 1919 წლიდან 1921 წლამდე ნანეიშვილი ქ. ფრეიბურგში იმდენდა ე. ჰუსერლის ლექციებს ფილოსოფიაში. 1921 წლიდან 1923 წლამდე გ. ნანეიშვილი ბერლინის უნივერსიტეტში უსმენდა რუდოლფ შტამლერს და სხვა ცნობილ იურისტებს. 1923 წლიდან 1926 წლის სექტემბრამდე ნანეიშვილი პარიზში განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას.


1926 წლის დასასრულს გ. ნანეიშვილი დაბრუნდა საქართველოში. ამავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიწვია სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე ბურჟუაზიულ სახელმწიფო წყობილების კურსის წასაკითხად. 1928 წელს მას დაევალა სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის წაკითხვა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ პროფ. გ. ნანეიშვილი უნივერსიტეტში ლექციების კითხვის გარდა, მუშაობდა სახალხო კომისართა საბჭოს იურისკონსულტად (1927 წლიდან 1931 წლამდე).

1927 წლიდან — 1931 წლამდე ის იყო ლექტორი, 1931 — 1932 წლამდე დოცენტი, 1932 წლიდან — პროფესორი.

1933 წელს პროფ. გ. ნანეიშვილი შეთავსებით მუშაობდა ამიერკავკასიის დაუსწრებელ ფინანსურ ინსტიტუტში. ამასთანავე კითხულობდა ლექციებს დაუსწრებელ იურიდიულ ინსტიტუტში.

1930 წლის ბოლოს, როცა იურიდიული ფაკულტეტი დაიხურა და მის საფუძველზე იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და



სამართლის ინსტიტუტი, გიორგი ნანიშვილი მუშაობდა ამ ინსტიტუტში, ხოლო როცა ინსტიტუტი გაუქმდა და აღდგენილ იქნა იურიდიული ფაკულტეტი, პროფ. გ. ნანიშვილი განაგრძობს მუშაობას იურიდიულ ფაკულტეტზე სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგედ.

პროფ. გ. ნანიშვილი იურიდიულ ფაკულტეტზე, საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტსა, ამიერკავკასიის ფინანსურ ინსტიტუტსა და დაუსწრებელ იურიდიულ ინსტიტუტში, სწავლასხვა დროს კითხულობდა შემდეგ საგნებს: სამოქალაქო სამართალს, ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართალს, შრომის სამართალს, სამეურნეო სამართალს, სამოქალაქო სამართლის პროცესს, სამართლის ისტორიასა და სასამართლო წყობილებას.

1929 წელს გამოქვეყნდა გ. ნანიშვილის სადოქტორო შრომა — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“. 1930 წლის 11 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე გ. ნანიშვილმა ამ თემაზე დაიცვა დისერტაცია იურიდიული მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ოპონენტები იყვნენ: პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი და პროფ. ირ. სურგულაძე. ეს მეორე შემთხვევა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე დისერტაციის დაცვისა. (პირველი იყო ირ. სურგულაძის დისერტაცია).

პროფ. გ. ნანიშვილის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კადრების აღზრდის საქმეში. პირველყოვლისა თავისი შრომებით და ლექციებით ის აღრმავებდა ახალგაზრდა იურისტების თეორიულ ცოდნას. ამასთანავე პროფ. გ. ნანიშვილი ეწეოდა პრაქტიკულ მოღვაწეობას, როგორც სასჯომსაბჭოს იურისკონსულტი და მისი ლექციები და სემინარული მუშაობა ყოველთვის მდიდრად იყო ილუსტრირებული პრაქტიკიდან აღებული მაგალითებით.

გ. ნანიშვილის პირველ შრომას, რომელიც 1919 წელს ევროპაში გამგზავრებამდე გამოაქვეყნა, ასეთი სათაური აქვს: „დამოკიდებულება ცენტრისა და ადგილობრივ ორგანოებთან შორის“ (ყურნ. „კავკასიის ქალაქი“, 1919 წ., № 2, გვ. 3-14, № 3, გვ. 3-12, № 4, გვ. 4-15).

ავტორი ამ შრომაში ეხება მმართველობის ორგანიზაციის სისტემის საკითხს. პირველყოვლისა ავტორი იხილავს იმ პრინციპებს, რომ-

ლებიც საფუძვლად უდევს ადგილობრივი მმართველობის სისტემას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ავტორის აზრით, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპენტენციის შესასწავლად მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის საკითხს.

ავტორი ახასიათებს მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას როგორც უაღრესად ბიუროკრატიულს, რომელიც ვერ ითმენდა თვითმმართველი ორგანიზაციების არსებობას.


ავტორის აზრით, ცენტრალური ხელისუფლების ისეთი ფუნქციები როგორც არის სამხედრო, საკანონმდებლო და სხვა, არ შეიძლება თვითმმართველ ორგანოებს გადაეცეს, რადგანაც ისინი მოითხოვენ გადაწყვეტას მთელი სახელმწიფოს მასშტაბით.

ამასთანავე, ავტორის აზრით, არის რიგი საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივი ორგანოების კომპენტენციაში უნდა შედიოდეს. ცენტრალური ხელისუფლება საერთო ხასიათის კონტროლით უნდა დაკმაყოფილდეს და თვითმმართველ ორგანოებს ფართო უფლებები მიანიჭოს. თუ კი ფუნქციების განაწილება საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაეკვემდებარება და სახელმწიფო კი თავის მხრივ კანონებით ინელმძღვანელებს, მაშინ მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ფუნქციების განაწილებისას ადგილი არ ექნება ინტერესთა წინააღმდეგობას.

ავტორი განიხილავს მეფის რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისისა და ევროპის სხვა ქვეყნების ადგილობრივი მმართველობის სისტემებს. გ. ნანიშვილის აზრით, ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი თვალსაზრისით, მმართველობის ადგილობრივი სისტემა ყველაზე უკეთ ინგლისშია მოწყობილი. ინგლისში მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მოქმედებანი პარლამენტის წინაშე ერთი რიგის მოვლენებად ითვლება. პარლამენტი კი ინგლისში ის ცენტრია, რომელშიც თავს იყრის ქვეყნის მმართველობის ყველა ძაფი.

შრომა აგებულია ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ადგილობრივი მმართველობის საფუძვლიან შესწავლაზე. ავტორს ღრმად აქვს შესწავლილი და თავის ნაშრომში გამოყენებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ბურჟუაზიული მკვლევარების შრომები. თავისი მსოფლმხედველობითაც ავტორი ამ ბურჟუაზიული ავტორების თვალსაზრისზე დგას.

აღნიშნული შრომა სახელმწიფო სამართლის სპეციალურ საკითხებს ეხება და ამდენად მას



პროფ. გ. ნანიშვილისათვის, როგორც სამართლის ფილოსოფიის სპეციალისტისათვის (პირველ ხანებში მანც), უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის შემდეგ პერიოდში პროფ. გ. ნანიშვილი, სამართლის თეორიის საკითხების გარდა, სახელმწიფოსა და სამოქალაქო სამართლის საკითხებსაც იკვლევდა.

პროფ. გ. ნანიშვილი მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის აღიარებამდე ერთბაშად არ მისულა. სანამ მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას დაუფუფლებოდა, მანამდე ის ჰუსერლის იდეალისტური ფილოსოფიისა და ამ ფილოსოფიის საფუძველზე წარმოშობილი ფენომენოლოგიური სკოლის ძლიერი გავლენის ქვეშ იყო.

ძირითადი დებულება ჰუსერლის (1859-1938 წწ.) შეხედულებისა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს იდეათა სამყარო, ცნებები, რომლებიც უპირისპირდებიან რეალური სამყაროს საგნებს. ჰუსერლის ფილოსოფიით ყოფიერება ფაქტობრივი მოვლენაა, ფაქტი კი მოკლებულია ნამდვილობას. ხოლო ნამდვილობის ერთადერთი მატარებელი ლოგიკური კატეგორიებია: ფაქტი ისტორიული კატეგორია, ლოგიკა — ზეისტორიული, ისტორიულის, ე. ი. ფაქტის მიზეზი ზეისტორიულია, ე. ი. ლოგიკური; ზეისტორიულის ნამდვილობა ერთადერთი რეალური ნამდვილობაა. ე. ჰუსერლის ფილოსოფიას მრავალი მომხრე უავს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა შორის. ყოველი სახის იდეალიზმი თავისი შინაარსით რეაქციულია. ჰუსერლის იდეალისტური ფილოსოფია ასრულებს ბურჟუაზიის დაკვეთას იმპერიალიზმის დაცვის საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისში ჰუსერლის ფილოსოფიის საფუძველზე ავსტრიასა და გერმანიაში წარმოიშვა სამართლის ფენომენოლოგიური სკოლა, რომელმაც ფართო გავრცელება მიიღო აგრეთვე სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ამ სკოლას სამართლის ნამდვილობა ესმის ორი გავებით: ემპირიულითა და ლოგიკურით. პირველი შემთხვევითია (პოზიტიური სამართალი), მეორე აუცილებელია, მუდმივი; აპრიორული. ეს ორი რიგის მოვლენებია, რომლებიც სხვადასხვა კანონზომიერებას უნდა ემორჩილებოდნენ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გ. ნანიშვილი სამართლის ფსიქოლოგიური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის პროფ. პეტრაუციკის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე იყო. ამასთანავე უფრო გვიან, საზღვარგარეთ ყოფნისას გ. ნანიშვილი ისმენდა ე. ჰუსერლის ლექციებს და ეცნობოდა სამართლის ფენომენოლო-

გიური სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობას. ქველა ამ გარემოებამ გავლენა იქონია გ. ნანიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაზე და ეს გავლენა იმაში გამოიხატა, რომ საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პირველი მისი შრომები „იურიდიული სუბიექტი“, „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“ და „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასახუტებისა“, რომლებიც დროის პატარა მონაკვეთში, (1928-1929 წლებში) გამოქვეყნდა, იდეალისტური მსოფლმხედველობისაა.

პროფ. გ. ნანიშვილი თვითონვე აღნიშნავდა, რომ მისი ეს შრომა არ არის დაწერილი მარქსისტის მიერ. ამ პერიოდის შემდეგ პროფ. გ. ნანიშვილის გამოქვეყნებული შრომები, მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიით არის დაწერილი.

პროფ. გ. ნანიშვილის ეს სამი შრომა, აგრეთვე მისი შემდგომი შრომები გამოქვეყნებულია და მასხადამე, ხელმისაწვდომია მკითხველისათვის. ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ მათ.

1928 წელს პროფ. გ. ნანიშვილმა გამოქვეყნა შრომა „იურიდიული სუბიექტი“ (თბილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, 1928 წ. გვ. 337-400).

ავტორის აზრით ყოველ ეპოქას თავისი სამართალი აქვს. როგორც ვხედავთ პროფ. გ. ნანიშვილი მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს, რამდენადაც სამართალი ეპოქების მიხედვით ცვალებადობას განიცდის. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორს საბოლოოდ სამართლის შინაარსი მარადიულ კატეგორიად აქვს წარმოდგენილი. ავტორის აზრით რომელი სამართლის ნორმაც უნდა ავიღოთ, მის „შინაარსს ჩვენ ყოველთვის ერთისა და იმავე ლოგიკური სტრუქტურით ვითვისებთ“.

ავტორის აზრით, რადგანაც სამართლის ყოველი ნორმა შეიცავს მსჯელობას იმის შესახებ, რაც უნდა იყოს, ამიტომ ობიექტი ასეთი მსჯელობისა არც არსებობს, ის მხოლოდ მომავალშია მოსალოდნელი. თვით „JohHein“-ის („უნდა იყოს“) მსჯელობაში „ის, რაც აუცილებელია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს“. მასხადამე, ამ მსჯელობაში მოცემულია ერთგვარი იძულება, „მოთხოვნა იმის განხორციელებისა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს“.

ავტორის აზრით „ნორმის შეთვისებაში ჩვენ ლოგიკურად ვიღებთ ნორმისათვის დამახასიათებელ ბუნებას“. ამ დებულებათა მიხედვით არჩევს ავტორი სამართლის სუბიექტის ცნე-

ბას, ფიზიკურისა და იურიდიული პირის საკითხს და სხვა.

მის ამ სტატიაში გატარებულ იდეალისტურ კონცეფციას ეწინააღმდეგება ამავე წერილში გამოთქმული ჭეშმარიტი აზრი იმის შესახებ, რომ სამართალი ისტორიულად ცვალებადია.

1928 წელსვე გამოქვეყნდა პროფ. გ. ნანიშვილის წერილი სათაურით „ერთი წიგნის მეტოლოლოგიისათვის“ (ყურნ. „მნათობი“, 1928 წელი № 3, გვ. 205—218). წერილი თავისი შინაარსით წარმოადგენს რეცენზიას პროფ. ი. სურგულაძის წიგნზე „Gewalt und Recht“ („ხელისუფლება და სამართალი“).

პროფ. გ. ნანიშვილის დაკვირვებით, პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებულ შრომაში გატარებულია ის აზრი, რომ სახელმწიფო, როგორც ერთი საგანი, ერთი მთლიანობა შეიცავს ორს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და ერთმანეთისაგან განსხვავებულ შინაარსს — სოციალურსა და სამართლებრივს. სოციალოლოგიისა და სახელმწიფო სამართლის განსხვავებაც ამაზეა დამოკიდებული, ამ მხრივ სოციალური და სამართლებრივი ერთმანეთს უპირისპირდება. სახელმწიფო სამართლის საგნობრივი შინაარსი, პროფ. გ. ნანიშვილის აზრით, პროფ. ირ. სურგულაძის გაგებული აქვს, როგორც სამართლის შემცველი სპეციალური სინამდვილე; ის წინააღმდეგობა, რომელიც სახელმწიფოს სოციალურსა და სამართლებრივ შინაარსს შორის არსებობს, შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებით. სოციალურისა და სამართლებრივის ურთიერთობით იქმნება სახელმწიფო.

პროფ. გ. ნანიშვილის აზრით, სახელმწიფოს თუ კი იგი იურიდიული გაგების საგნად იქნება აღიარებული, არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი მხარე, რაც სამართლის შესწავლის საგანს არ წარმოადგენს. რამდენადაც პროფ. გ. ნანიშვილის აზრით, პროფ. ირ. სურგულაძე სახელმწიფოში როგორც მთლიანობაში უშვებს ორ მხარეს — სოციალურსა და სამართლებრივს. ამდენად ის უარყოფს სახელმწიფო სამართლის მიერ სახელმწიფოს შესწავლას. ასეთი უარყოფა იქიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, რომელიც მხოლოდ სამართლის სისტემას იკვლევს, არ შეუძლია ისეთი მოვლენები შეისწავლოს, რომელთა ბუნება მთლიანად არ არის ამოწურული სამართლებრივი შინაარსით.

პროფ. გ. ნანიშვილი მართებულად გადმოგვცემს პროფ. ირ. სურგულაძის შეხედულებას სოციალურისა და სამართლებრივის დაპირისპირების შესახებ. მაგრამ უარყოფითი


მხარე პროფ. გ. ნანიშვილის ამ შრომისა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი სახელობით იდეალისტურ პოზიციაზე დგას და სოციალურისა და სამართლებრივის ერთმანეთისაგან მოწყვეტა კანონზომიერად მიაჩნია.

1929 წელს პროფ. გ. ნანიშვილმა გამოაქვეყნა სადოქტორო შრომა: „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“. ავტორი მიზნად ისახავს „ფაქტურის ნორმატიული ძალის“ პრობლემა ამოხსნას. პირველყოფისა, ამ შრომაში გ. ნანიშვილი აყენებს საკითხს ფაქტისა და ჯერარსის ურთიერთობის შესახებ. ამ საკითხს ავტორი შემდეგნაირად წყვეტს: ფაქტი, როგორც მომხდარი ისტორიული მოვლენა, მიზეზ-შედეგის კანონს ემორჩილება, ამიტომ ფაქტს ისეთივე ნამდვილობა ახასიათებს, როგორც ფიზიკურ-ფსიქოლოგიური კატეგორიის მოვლენებს. ასეთივე კატეგორიის მოვლენას წარმოადგენს, გ. ნანიშვილის აზრით, პოზიტიური სამართლის ნორმაც, რომელიც ხდება, ე. ი. დროში წარმოიშობა, მოქმედებს და ისპობა. წინააღმდეგ ამისა, სამართალი, როგორც სამართლის აზრი, ლოგიკურ კატეგორიას წარმოადგენს. სამართლის აზრი მუდმივო კატეგორიაა. ამ იდეალისტურ შეხედულებასთან ერთად ავტორი იმასაც სწერს, რომ სამართლის ნორმა, რამდენადაც იგი ფაქტის სფეროში ძევს, კონკრეტულია და დეტერმინირებული.

როგორც ესთეტიკური იდეა განსახიერებას პოულუმს მხატვრის ნაწარმოებში, ისე სამართლის აზრი ამა თუ იმ სახით გვევლინება პოზიტიურ სამართალში. პოზიტიური სამართალი, რომელიც ისტორიულია, შეიძლება არ ყოფილიყო, ანდა შეიძლება არც ყოფილიყო ანდა შეიძლება არც ყოფილიყო, ვიდრე იგი არის. ამგვარად პოზიტიური სამართალი ყოველთვის შემთხვევითია.

პროფ. გ. ნანიშვილი ლოგიკურში ეძებს შემთხვევითის აბსოლუტურ საფუძველს; მისი აზრით ლოგიკური აღიარება სამართლისა გადააქცევს უკანასკნელს სინამდვილედ.

ლოგიკურის და ფაქტურის დაპირისპირებით პროფ. გ. ნანიშვილი აზროვნების ფორმებსა და კანონებს განიხილავს ობიექტურ სამყაროსაგან დამოუკიდებლად. მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით კი ლოგიკამ უნდა განიხილოს აზროვნების ფორმები და კანონები როგორც ობიექტური სინამდვილის გამოსახულება. ლოგიკური აუცილებლობა, მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, არის ადამიანის აზროვნების ფორმებში გამოსახული სინამდვილის ობიექტური აუცილებლობა, ე. ი. ბუ-



ნებაში არსებული აუცილებლობა, მოცემული ლოგიკურ ფორმებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, ლოგიკური კატეგორია აზროვნების საშუალებაა, პროფ. გ. ნანეიშვილის მსოფლმხედველობით კი ლოგიკური კატეგორია თავისთავად არსებული, ზეისტორიული მოვლენაა, რომელიც არსაიდან დასაბამს არ ღებულობს, მაგრამ თვითონ ამღვეს დასაბამს ფაქტს, კონკრეტულ მოვლენას, ამდენად ნამდვილობა ლოგიკურ მოვლენებს ეკუთვნის და არა ფაქტიურს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ განსხვავებით სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის სხვა წარმომადგენლებისა, პროფ. გ. ნანეიშვილის თავის სადოქტორო შრომაში გამოთქმული აქვს სწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ პოზიტიური სამართალი განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიური პირობებით. ეს მართებული დებულება საერთოდ ეწინააღმდეგება შრომაში გატარებულ იდეალისტურ კონცეფციას, მაგრამ მას მაინც დადებითი მნიშვნელობა აქვს პროფ. გ. ნანეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათებისათვის, რამდენადაც გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდის შრომებშიც მოიპოვება მართებული დებულება, რომლის გაღრმავება-განვითარების შედეგად ავტორი მომდევნო პერიოდში საბოლოოდ დაეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას.

პროფ. გ. ნანეიშვილი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ პოზიტიური სამართალი, ერთის მხრივ დაკავშირებულია სამართლის აზრთან, ხოლო მეორეს მხრივ კი სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებთან. პოზიტიური სამართალი, როგორც შედნაშენი, სოციალურ ეკონომიური პირობებით არის დეტერმინებული. „მარქსისტული ფორმულა“, წერს იგი, რომ „სამართალი შედნაშენია, შეიცავს ღრმა ჰუმანიტებას: ამ დებულებას ამართლებს ყველა ერისა და ყველა ხალხის უფლებბრივი ცხოვრების ისტორია“ (გვ. 19). მაგრამ ამასთანავე პროფ. გ. ნანეიშვილი პოზიტიურ სამართალში ხედავს იმ უფლებბრივი აზრის ნამდვილობას, „რომელიც არ წარმოიშობა, არ ჩნდება და არ ხდება“ (გვ. 22). და ის რაც „არ წარმოიშობა, არ ჩნდება და არ ხდება“, ე. ი. სამართლის იდეა, სამართლის აზრი აშკარადდება სამართლის ლოგიკური აღიარების აქტში. ამაშია გ. ნანეიშვილის აზრით, ნამდვილობა პოზიტიური სამართლისა. ლოგიკური აღიარების აქტი ისახება განხორციელების მუდმივ პრეტენზიაში და ასეთი აღიარება გულისხმობს ისეთ სუბიექტს, რომელსაც „ახსიათებს უნარი ლოგიკურ აღიარებისა“ (გვ. 115).

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პროფ. გ. ნანეიშვილმა თავის სადოქტორო შრომაში, რომელშიც ჩამოყალიბებული აქვს თავისი შეხედულება სამართლის არსის შესახებ, გააკრიტიკა გამოჩენილი ფილოსოფოსებისა და იურისტების შრომები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. გ. ნანეიშვილის მიერ ბერკლის, კელზენის, პეტრაჟიციის და სხვების შეხედულებათა კრიტიკა.

პროფ. ლ. პეტრაჟიციის შეხედულების კრიტიკის შესახებ, რომელიც მოცემულია პროფ. გ. ნანეიშვილის შრომაში, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი. ლ. პეტრაჟიცი პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილია, როგორც სამართლის ფსიქოლოგიური სკოლის დიდი წარმომადგენელი. პროფ. გ. ნანეიშვილის შრომაში მოცემულია ფსიქოლოგიური სკოლის კრიტიკა. სამართალი, პეტრაჟიციის აზრით, არ არის ობიექტურად არსებული სოციალური მოვლენა, არამედ ის წმინდა ფსიქიკური ფენომენია.

პროფ. გ. ნანეიშვილის აზრით პეტრაჟიციისა და საერთოდ ფსიქოლოგიური სკოლის შეხედულების მცდარი საფუძველი განსაკუთრებით იმაში ჩანს, რომ ფსიქოლოგიური სკოლა ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან მსჯელობის აქტს იმ შინაარსისაგან, რომელიც ამ ფაქტში არის საგულისხმებელი: თავისი შინაარსით ლოგიკური კანონები ობიექტურია და მათი რეალიზაცია სრულებით არ არის დამოკიდებული ფსიქოლოგიური პირობებისაგან, როგორც ეს ფსიქოლოგიურ სკოლას ჰგონია.

პროფ. გ. ნანეიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ თუ სამართალი მხოლოდ ფსიქოლოგიური განცდაა, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა პოზიტიური სამართლის არსებობაც კი. ამ შემთხვევაში ლ. პეტრაჟიციის კონცეფციის კრიტიკა პროფ. გ. ნანეიშვილის მიერ მოცემული სწორია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მართებულად გაკრიტიკებული ფსიქოლოგიზმის ნაცვლად ის გვთავაზობს მეორე სახის იდეალისტურ შეხედულებას.

სამართლის ფილოსოფიის ურთულესი საკითხები გ. ნანეიშვილის შრომებში გადმოცემულია იშვიათი სისადავით, უბრალოდ. ყველასათვის გასაგებად, რაც იმას მოწმობს, რომ შრომის ავტორი ღრმად და შედმიწვებით ფლობს სამართლის ფილოსოფიის იმ კატეგორიებს, რომლებსაც ეხება.

პროფ. გ. ნანეიშვილის მიერ ხსენებული სამი შრომის შემდგომ გამოქვეყნებული შრომები მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიის საფუძველზეა აგებული.

1936 წელს პროფ. გ. ნანიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი შემდეგი სათაურით: „ახალი კონსტიტუციის პროექტი და სასამართლო“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, 1936 წელი, № V, 324—346). ამ ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს დაახასიათოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით. პირველ ყოვლისა, ავტორი ეხება ამ საკითხის ისტორიას ბურჟუაზიულ იურადიულ ლიტერატურაში და განიხილავს მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

პროფ. გ. ნანიშვილს დასაბუთებული აქვს დებულება, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხს — აყენებდნენ და სწყვეტდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი კლასობრივი ამოცანები იდგა მათ წინაშე. მონტესკიეს თეორია ბურჟუაზიის იდეოლოგებმა აღერ უარყვეს და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ საჭიროა მოსამართლეს მიეცეს კანონის შეცვლების უფლება ე. ი. საკანონმდებლო ფუნქცია. ასეთ მოსაზრებას ის საფუძველი ედო, რომ იმპერიალიზმის უკანასკნელ სტადიაში ბურჟუაზიისათვის აღარ იყო ხელსაყრელი საკანონმდებლო ფუნქციის საკანონმდებლო ორგანოების მონაპოვად გამოცხადება, რადგანაც საკანონმდებლო ორგანოების მუშაობა ხორციელდება სახლთა მასების წინაშე აშკარად და მისი ყოველი ნაკლი ადვილად შესამჩნევია ხდება. ასეთ ვითარებაში საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის კრიტიკა საერთოდ ბურჟუაზიული კლასის საკანონმდებლო პოლიტიკის ძირითადი საფუძველების კრიტიკად გადაიქცევა.

ამისათვის ბურჟუაზიის იდეოლოგებმა წამოაყენეს დებულება იმის შესახებ, რომ მოსამართლეს უნდა მიეცეს საკანონმდებლო ფუნქცია და იმავე დროს კოდექსები ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მათი ნორმები მოსამართლეს ხელს უხსნიდეს საკანონმდებლო შემოქმედებისათვის. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის შეხედულების მიხედვით სამოსამართლო საქმის გადაწყვეტა უზრუნველყოფს ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დაცვას.

პროფ. გ. ნანიშვილს განხილული აქვს აგრეთვე მაკიაველის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ხალხის მორჩილებისათვის საჭიროა უდანაშაულო ადამიანთა დასჯაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მხოლოდ დამნაშავე იქნება დასჯილი, მაშინ უდანაშაულო აღარ დაშინდება.

საბჭოთა საზოგადოებისათვის სრულებით

არ არის საჭირო ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თვალთმაქცობა. საბჭოთა კანონებში, წერს პროფ. გ. ნანიშვილი, აღბეჭდილია სოციალისტური სახელმწიფოს მიღწევები, რომელშიაც ასახულია მშრომელი ხალხის სურვილები და ინტერესები. ამ კანონების განხორციელებით ერთიანად არის დაინტერესებული მთელი მშრომელი ხალხი, მისი ხელისუფლება და მისი მოსამართლეები.


იმავე დროს საჯარო პრინციპი, რომელზედაც აგებულია საბჭოთა სასამართლო პროცესი, სიტყვის ის თავისუფლება, რომელიც უზრუნველყოფილია საბჭოთა კონსტიტუციით, სახალხო მსაჯულნი, რომლებიც ცოცხალ კავშირში იმყოფებიან მოსამართლესა და მის ამომრჩეველთა შორის „შესაძლებლობას მისცემს მოსახლეობას თვალყურად ადევნოს თავიანთ მოსამართლეთა ყოველდღიურ მუშაობას და ამ გზით აწარმოოს იმ მუშაობის შეფასება, რომელზედაც საბოლოო პასუხს მოსახლეობა მოსამართლეებს ახალი არჩევნების დროს გასცემს“.

როდესაც ჩვენ ამ შრომას ვაფასებთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რომ მის ავტორს ღრმად აქვს შესწავლილი საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა. ავტორმა ძლიერ კარგად იცის სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო წყობილება. ამასთანავე, შრომა აგებულია სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე.

1937 წელს პროფ. გ. ნანიშვილმა გამოაქვეყნა შრომა შემდეგი სათაურით „ბურჟუაზიული კონსტიტუციები და ჩვენი ახალი კონსტიტუცია“ (ურთ. „კომუნისტური აღზრდისათვის. 1937 წ., № 3 გვ. 54—80).

შრომაში დახასიათებულია სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბჭოთა კონსტიტუცია პირველად მსოფლიო ისტორიაში აღიარებს ადამიანის ნამდვილ უფლებებს, რომლებიც დამყარებულია თავისუფლების პრინციპზე. იმისათვის, რომ უკეთ იქნეს წარმოდგენილი 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციის უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში, ავტორი ახასიათებს კაპიტალისტური ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიის სახელმწიფოთა კონსტიტუციებს და აღნიშნავს, რომ ამ კონსტიტუციებში მხოლოდ ფორმალურად არის აღიარებული ადამიანის ზოგიერთი უფლება.

ამასთანავე, ავტორი საგანგებოდ ახასიათებს გერმანიისა და იტალიის ფაშისტურ სახელმწიფოებს. გარდა ამისა, ავტორს მოყვავს სა-



თანადო დასაბუთება იმისა, რომ გერმანიისა და იტალიის ვარდა, სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოებიც თანდათანობით მმართველობის ფაშისტურ მეთოდებზე გადადიან.

პროფ. გ. ნანეიშვილს განხილული აქვს სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის საარჩევნო სისტემა, შედარებული აქვს ის საბჭოთა საარჩევნო სისტემასთან და ნაჩვენები აქვს ამ უკანასკნელის უპირატესობა.

ავტორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სახელმწიფოში 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით ლოგიკურ დაბოლოებამდეა მიყვანილი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპები და ამის საფუძველზე საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვს ყველას განურჩევლად რასიული და ეროვნული ნიშნისა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, სოციალური წარმოშობისა, ბინადრობისა და ქონებრივი მდგომარეობისა.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია და სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად 1936 წლის კონსტიტუციამ უზრუნველყო საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია და შემოიღო საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით; თვითეულ ამ საკითხს (საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული) პროფ. გ. ნანეიშვილის შრომაში ცალ-ცალკე პარაგრაფი აქვს მიძღვნილი.

საერთოდ გ. ნანეიშვილის შრომების მტკიცე მეცნიერული თხრობა განათებულია მაძიებლური გონების მაღალი ნიჭითა და დაუსცრომელი შემოქმედებით.

გარდა ამ შრომებისა, პროფ. გ. ნანეიშვილს გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი სტატიები უფრო ადრეულ წლებში. ამასთანავე მრავალი შრომა მას გამზადებული ჰქონდა გამოსაქვეყნებლად. 1936—1937 წლებში განზრახული იყო ენციკლოპედიის შედგენა ქართულ ენაზე. სამართლის განყოფილების ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა გ. ნანეიშვილს. ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. ნანეიშვილი ვაცხოველებულ მუშაობას ეწეოდა და მის მიერ დამზადებული იყო მრავალი შრომა, რომელთაგან ზოგიერთი გადაცემული იყო დასაბეჭდად. მოგვყავს ამ შრომების არასრული სია: 1. აღმენტიები, 2. ავტორის უფლება, 3. ადვოკატურა, 4. აღნაგობა, 5. ანალოგია, 6. ფსიქოლოგიური თეორიის ემოციონალურ-აპრიორული საფუძვლები, 7. ხალხის ცნება ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიაში, 8. სახელმწიფოს იდენტობის და რევოლუციის პრობლემა ნეოკანტიანელთა ფილოსოფიაში, 9. მოსამართლეთა თავისუფალი

უფლებრივი მოქმედების პრობლემა ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიაში, 10. ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის აპრიორული საფუძვლები (რეინახის სამართლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით), 11. ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები (ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ეთიკური გამართლების ხერხები). 12. დოგმატური მიმართულება იურიპრუდენციაში, 13. სამართლის პოზიტიურობის შესახებ, 14. კერძო და საჯარო სამართლის შესახებ, 15. საკუთრების უზენდისათვის, 16. ფსიქოლოგიაში და იდეოლოგიაში სამოქალაქო სამართლის თეორიაში, 17. „თავისუფალ უფლებრივ შემოქმედების“ შესახებ, 18. ორი კანონზომიერებისა და მისგან გამომდინარე სამართლის „სუვერენიტეტის“ კონცეფციის შესახებ და სხვა.

პროფ. გ. ნანეიშვილის პირად საქმეში არის რეცენზიები ზოგიერთ გამოქვეყნებულ შრომაზე. პროფ. გ. ნანეიშვილს ერთ-ერთ გამოქვეყნებულ შრომაზე სათაურით — „ემოციონალური აპრიორიზმი და სოციალური თანხმობის იდეა ბურჟუაზიულ სამართლის თეორიაში“. რეცენზია დაუწერია პროფ. მ. გოგიბერიძეს. ამ რეცენზიაში ვკითხულობთ: „პროფ. ნანეიშვილს მიზნად აქვს დასახული მოგვცეს სახეებით ახალი, თავისებური და ორიგინალური ინტერპრეტაცია“ და „ჩემი აზრით“; განაგრძობს რეცენზენტი, „მან ცალ სახეებით გაამართლა და მოგვცა პირველი ცდა სამართლის ფილოსოფიის ლიტერატურაში პეტრაჟიციკის თეორიის სახეებით ახალი ინტერპრეტაციისა. ამით მან გასაგები გახადა ბევრი რამ, რაც პეტრაჟიციკის ძნელად და გაუგებრად მიჩნდა“. პროფ. გ. ნანეიშვილის აზრით, წერს პროფ. მ. გოგიბერიძე, პეტრაჟიციკი არ არის „სუბიექტივისტი ემპირიზმის თვალსაზრისით. ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რომ სწორედ ამ ადგილზე პროფ. ნანეიშვილი პეტრაჟიციკის თეორიას უეცრად სოლიპისმს უწოდებს. შეიძლება ვინმემ, ვინც ფენომენოლოგიურ იდეალიზმს ზერეალად იცნობს, აქ გაკვირვება გამოთქვას და სოლიპისმი და აპრიორიზმი (თუ გინდ ემოციონალური) ვერ მოარიგოს. მაგრამ პროფ. ნანეიშვილის ანალიზი სწორედ აქ აღწევს სრულს სიმწიფესა და სიღრმეს“.

პროფ. გ. ნანეიშვილის ერთ-ერთ გამოქვეყნებულ შრომაზე („ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ეთიკური დასაბუთება ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიაში“) არის პროფ. ი. ბოქორიშვილის რეცენზია. ამ რეცენზიაში პროფ. გ. ნანეიშვილის შრომას მეტად მაღალი შეფასება აქვს მიცემული.

პროფ. გ. ნანიევილი მუშაობდა სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოზე და დასაბეჭდაც ჰქონდა გამზადებული. პროფ. გ. ნანიევილმა დიდი ხნის მუშაობის შედეგად მოამზადა გამოსაცემად შრომები: „ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებანი“ და „შოთა რუსთაველის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე“. ფრიალ სამუხაროა, რომ ეს შრომები დაიკარგა და მხოლოდ მათი სათაურები შემოგვინახა არქივში. ვინ იცის კიდევ რამდენი ჩანაფიქრი წაიღო საფლავში უდროოდ დაკარგულმა ზეცნიერმა. ის დაღუბა 48 წლის ასაკში, პიროვნების კულტით გამოწვეული სოციალისტური კანონიერების დარღვევის შედეგად.

მისი უდროოდ დაკარგვა აუნაწაურებელი დანაკლისია ჩვენი მეცნიერებისათვის.

გ. ნანიევილი საერთოდ ფართო ჰორიზონტისა და დიდი ერულიციის ადამიანი იყო.

გარდა იურიდიული მეცნიერებისა, ის დაუფლებული იყო ფილოსოფიას, ისტორიას, ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ გ. ნანიევილი საუკეთესო მეგობარი იყო ა. ახმეტელის, ლ. გუდიაშვილის, ს. კლდიაშვილის, პაოლო იაშვილის, ტიცვან ტაბიძისა და სხვების.

გ. ნანიევილი პათოსუნებისა და სათნოების განსახიერება იყო. მისი გული ღია იყო მეგობრებისათვის, სინარულსა და მწუხარებაში გ. ნანიევილის ჰქონდა შთაგონების დიდი უნარი და ის ხიბლავდა ადამიანს თვისი ნიჭით და პათოსუნებით.

გ. ნანიევილი წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი. ის ვინც იცნობდა გ. ნანიევილს, ვისაც მისთვის მოუსმენია დაუფიქვარია მისი პიროვნება: ის თავდავიწყებით უყვარდათ ამხანაგებს, სტუდენტებს და ყველას ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია.

ქართული ენის ისტორიაში გ. ნანიევილი ერთ-ერთი უმთავრესი მოღვაწეა. მისი შრომები, რომლებიც დღემდე არის დაცული, უმეტესად ენის ისტორიას ეხება. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ქართული ენის ისტორია“, „ქართული ენის ფონეტიკა“, „ქართული ენის გრამატიკა“, „ქართული ენის სინტაქსი“, „ქართული ენის ლექსიკონი“.

იურიდიული მეცნიერება

გ. ნანიევილი იურიდიული მეცნიერების დარგშიც მუშაობდა. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებანი“ და „შოთა რუსთაველის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე“. მისი შრომები უმეტესად იურიდიული მეცნიერების დარგშია მიძღვნილი. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებანი“ და „შოთა რუსთაველის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე“.

გ. ნანიევილი იურიდიული მეცნიერების დარგშიც მუშაობდა. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებანი“ და „შოთა რუსთაველის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე“. მისი შრომები უმეტესად იურიდიული მეცნიერების დარგშია მიძღვნილი. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებანი“ და „შოთა რუსთაველის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე“.



გაქვეყნების სათავეებთან

ამიერკავკასიელი ახალგაზრდები 60-70-იანი წლების რევოლუციონერთა პროცესებში

დოქ. ზ. შველიძე

1825 წელს პეტერბურგში სენატის მოედანზე თოფ-ზარბაზნების გრიალმა ქვეყანას ამცნო, რომ რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში დასაბამი მიეცა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ძალთა გამუდმებული იერიშის ერას. შვირყა მშრომელთა უმანკო სისხლით მრავალგზის შედებილი ტახტი ევროპის ჟანდარმისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ფეხქვეშ თელავდა მშრომელთა ადამიანურ უფლებებს. 1825 წლის 14 დეკემბერს რუსეთმა პირველად ნახა რევოლუციური ხალხი, რომელიც „კარგი“ მფისათვის კი არ იბრძოდა, არამედ ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილების დამსობასა და სამეფო გვარის ამოუღებელს მოითხოვდა.

ნიკოლოზ პირველმა ქვეყნებში დაუშინა დეკაბრისტებს, სისხლმა შეღება თოვლიანი პეტერბურგის ქუჩებში. მიწაც არ აღირსეს დახოცილ დეკაბრისტთა გვამებს. ისინი ბალტიის ზღვის უფსკრულს მიაბარა ნევის ტალღებმა.

ცარიზმი გამარჯვებას ზეიმიობდა. რუსეთის ხალხების საუკეთესო შვილები მეფის სისხლიანი მეთოდის — ჩამოხრჩობის, კატორღა-გადასახლების, შპრიცრუტენის მსხვერპლნი გახდნენ. მოპკლეს პუშკინი, უდროოდ ჩააქრეს ლერმონტოვის სიცოცხლე, თვითონვე სისხლით გაგიჟებულმა ცარიზმის დამჩაშებმა შემოიღო გამოაცხადეს ჩადაევი, უნიჭობის საბაზით უნივერსიტეტიდან გარიცხეს რუსეთის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოღვაწე ბესარიონ ბელინსკი, მკაცრად გაუსწორდნენ პეტრაშეველებს.

ფრთხილი გაშალა ორთავიანმა არწივმა. ევროპის ჟანდარმის ხელი დასავლეთსაც გადასწვდა. მეფის რუსეთის ჯარებმა სისხლში ჩაახრჩვეს უნგრეთის რევოლუცია. გამძვინვარდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა. არნახული სახე მიიღო პოლონელი, ქართველი, ბალტიისპირელი და სხვა არარუსი ეროვნების ხალხების ეროვნულმა ჩაგვრამ.

მაგრამ ნაადრევი იყო რეაქციის ზეიმი. ცარიზმის სისხლიან რეჟიმს არ შეეძლო ჩაეკლა რევოლუციური ძალები. დაცემული რევოლუციონერები ახლებმა შეცვალეს, რომლებმაც უფრო მაღლა ააფრიალეს თავისუფლების დროშა. „დეკაბრისტებმა

გამოადვიქეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, განამტკიცეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინელებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლია“ გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მეზობლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს.“¹

ტამბოვსა და პოლტავაში, უკრაინასა და საქართველოში, ბალტიისპირეთსა და ბაშკირეთში გაჩაღებულ გლეხთა აჯანყებებს ტონს აძლევდა რევოლუციური ინტელიგენცია. საბრძოლო მოწოდებად იქცა გერცენის „კოლოკოლისა“ და ჩერნიშევსკის „სოვრემენიკის“ ცეცხლოვანი სიტყვები — „ძირს თვითმპყრობელთა!“ მღელვარე გლეხთა იარაღის ჟღარუნში მტკიცედ გაისმოდა მათი მოთხოვნა — „მიწა და თავისუფლება“. რევოლუციური დარტყმების ქვეშ ირყეოდა რომანოვთა ტახტი.

ორთავიან არწივზე მონადირენი

მეფემ და გაბატონებულმა კლასებმა სცადეს აეცილებინათ დემოკრატიული ძალების რისხვა. მათ ზვიდან გააუქმეს ბატონყმობა, არ დაელოდნენ სანამ აჯანყებული გლეხები თვითონვე გაითავისუფლებდნენ თავს ქვევიდან. გატარდა „ყბადღებული საგლეხო რეფორმა“, რომელმაც ყოვლად უსინდისოდ გააძრვავა გლეხობა: ისინი ფაქტიურად მიწისაგან იქნენ გათავისუფლებულნი.

რუსეთის მოწინავე რაზნოჩინელებმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა ხელში აეღო მეფის მანიფესტით მოტყუებული გლეხობის დაცვის საქმე, სათავეში ჩადგომოდა მშრომელი ხალხის ბრძოლას მიწისა და ნამდვილი თავისუფლების მოპოვებისათვის. რა ესაჭიროება ხელმწიფეს მიერ „გათავისუფლებულ“ ხალხს? აყენებდა კითხვას გერცენის „კოლოკოლი“ და თვითონვე პასუხობდა — „ხალხს ესაჭიროება მიწა და თავისუფლება“.

სწორედ ამ ღოჭუნებით — „ზემლია ი ვოლია“ გააჩაღეს ბრძოლა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული თაობის წარმომადგენლებმა — ხალხსენებმა, რომლებიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გამოვიდნენ საზოგადოებრივ

ბრძოლის ასპარეზზე! ამ ბრძოლის მედროშენი იყვნენ გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ბაკუნინი, ლავროვი და რუსეთში გლეხთა დემოკრატიის სხვა წარმომადგენლები. რევოლუციის შემდეგი დროის რუსეთის რახნოზინელმა რევოლუციონერებმა ნამდვილი ნადირობა გაუშარტეს ორთავიან არწივს, რომელსაც თავისი ბრჭყალით ღრმად ჰქონდა ჩასობილი მშრომელი ხალხის ზურგში.

ცარიზმთან და გაბატონებულ კლასებთან სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ეცემოდნენ რუსეთის გამორჩენილი ადამიანები. ჩერნიშევსკი, მიხაილოვი, სერნო-სოლოვიოვიჩი, ნალბანდიანი და მშრომელი ხალხისათვის სხვა თავდადებული მებრძოლი ცოცხლად დაასამარეს ცარიზმის საკატორლო ციხეთა ჯურღმულებში. მაგრამ სიმართლისათვის წამებულთა ადგილს სხვები იკავებდნენ. ისინი უფრო ამჭიდროვებდნენ თავიანთ რიგებს. ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლთ ვერ აშინებდა ცარიზმის რეაქცია.

«За тобой

Сомкнется грозно юный строй

Не побоялся палачей

Ни тюрьем, ни ссылки

Ни смертей».

წერდა კატორღამისჯილ მ. მიხაილოვს ციხეში რევოლუციონერი ნ. უტინი. ამ სიტყვებში რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის სულისკვეთება იყო ჩაქსოვილი.

რუს რევოლუციონერებს ბრძოლაში ხალხისათვის „მიწისა და თავისუფლების“ მოსაპოვებლად. მხარს უმხვენებდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. ისინი რუს მოძიებთან ერთად აქტიურად გამოდიოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ სამკვედრო-სასიცოცხლო შერკინებაში. ისინი ამის გამო არა ერთხელ მოხვდნენ პოლიტიკური საქმეებისათვის შექმნილი უმაღლესი საგამომძიებლო კომისიისა და მეფის სასამართლოს კლანჭებში.

1861 წელს იფეთქა სტუდენტთა გრანდიოზულმა რევოლუციურმა მღელვარებამ პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. ორივე ქალაქში ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებებს, რომლებშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმაც. რუს სტუდენტებთან ერთად ხელისუფლებამ დააპატიმრა ამიერკავკასიელი სტუდენტებიც. რამდენიმე თვე გაატარეს მათ პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეების ნესტიან კაზნებებში. ისტორიამ 22 მათგანის გვარი შემოგვინახა. მათ შორის ქართველი იყო თორმეტი (ნ. ნიკოლაძე, გ. ჯერემელი, ნ. მისხიშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, დ. აბდუშელიშვილი, ი. წერ-

თელი, ვ. საგანელი, ბესარიონ და ღამით დღით ბერიძეები, გ. ჯავახიშვილი, ა. ლორთქიფანიძე, ვ. ალხაიშვილი), სომეხი — ცხრა (აბელ და ნიკოლოზ შანშიანები, ვ. თუმანოვი, მ. ავატისონი, ბოვი, მანასაროვი), აზერბაიჯანელი — ერთი (ბამახიშვილი).


50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დამდეგს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიდან, რომლებსაც ცარიზმი სასტიკად გაუსწორდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სომეხი ხალხის სახელოვანი შვილი მ ი ქ ა ე ლ ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი.

— „ნალბანდიანი თქროს სულის ადამიანია“, „რევოლუციის საქმისათვის უანგაროდ თავდადებულია“, ასე ახასიათებდნენ მას, საერთოდ, ახალგაზრდა რევოლუციონერთა შექებაში ფრიად სიტყვა ძუნწი გერცენი - და ოგარიოვი.

მ. ნალბანდიანმა მთელი თავისი ბოძოქარი სიცოცხლე ამიერკავკასიისა და რუსი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა. გერცენის, ჩერნიშევსკის, ოგარიოვის თანამებრძოლი მ. ნალბანდიანი კავკასიის გზით საზღვარგარეთიდან „აკრძალული საქონლის“ ე. ი. რევოლუციური ლიტერატურისა და იარაღის შემოტანის უშუალო ორგანიზატორი იყო. მას კავშირი ჰქონდა თბილისის მრავალეროვან რევოლუციურ ინტელიგენციასთან, ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას და ა. შ.

მ. ნალბანდიანის აქტიური რევოლუციური საქმიანობა ხელისუფლების აგენტებს არ გამოპარვიათ მხედველობიდან. ჟანდარმერიამ შეიტყო მისი ურთიერთობის შესახებ „ლონდონელ პროპაგანდისტებთან“. ნ. გ. ჩერნიშევსკის დაპატიმრებიდან მე-7 დღეს — 1862 წლის 14 ივლისს მ. ნალბანდიანიც გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. მისი საქმის გამოძიებას უმაღლესი საგამომძიებლო კომისია შეუდგა. მ. ნალბანდიანს, ისე როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკის, ბრალად ედებოდა „ლონდონელ პროპაგანდისტებთან“ კავშირი და იმპერიიში არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დამხობის ცდა. იგი გაასამართლა სენატის განსაკუთრებულმა სამსჯავრომ. მ. ნალბანდიანს სასჯელში ჩავთვალა გამოძიების პედიოდში ორ წლამდე საპატიმროში ყოფნა და დამატებით მიესჯა ციხიბრში სამუდამო გადასახლება. ციხეგადასახლებაში იგი დაავადდა ტუბერკულოზით და 1866 წელს გარდაიცვალა ქ. კამიშინოში, სადაც იმ დროისათვის სასჯელს იხდიდა.

მ. ნალბანდიანი შეეწირა რევოლუციის საქმეს, რომლის გამარჯვებაშიც მტკიცედ იყო დარწმუნებული. მას სწამდა, რომ რევოლუციონერები ბოლოს მოუღებდნენ ცარიზმს, რაც სხვა ხალხებთან ერთად



თავისუფლებას მოუტანდა ამიერკავკასიის მშრომელებსაც.

პირველი ბასროლა

რუსეთში კომუნისმის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა გაბატონებულ კლასებსა და მის დამცველს-თვითმპყრობელურ სახელმწიფოს. ბრძოლა ცარიზმთან ახალი ძალით ჩაღებდა. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები“¹ დაბლა არ ხრიან რევოლუციური ბრძოლის დროსა. ახალი თაობა ეძებდა გზებს მშრომელების გათავისუფლებისათვის. იყო შეცდომები, არასწორი ნაბიჯები, მაგრამ მათ ბრძოლას ყოველთვის კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა. რაზნოჩინელ ახალგაზრდებს მტკიცედ სწამდათ თავიანთი ბრძოლის სამართლიანობა, ამიტომ მიდიოდნენ წარბშეუსრულად სიცოცხლისათვის სარისკო საქმეებზე.

1864 წელს პეტერბურგსა და მოსკოვში ამოქმედდა იშუტინ-კარაკოზოვის რევოლუციურ-ხალხსენური ორგანიზაცია. მალე გაიშვა მეფე ალექსანდრე მეორის მოსაკლავად გამიზნული პირველი ბასროლა. კარაკოზოვის რევოლუციონერ ხმა ცარიზმზე ახალი იერიშის სიგნალი გახდა.

იშუტინელთა რევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ქართველი სტუდენტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. იგი პირადად იშუტინმა შეიყვანა თავის ორგანიზაციაში. ვ. ჩერქეზიშვილი მიწვეულ იქნა მასწავლებლად ორგანიზაციის მიერ მუსკატოვსკის სახელზე გახსნილ სკოლაში, რომლის დანიშნულებასაც ახალგაზრდობისაგან რევოლუციონერთა ახალი კადრების აღზრდა შეადგენდა. რევოლუციონერი მასწავლებლები, არსებული სასოფაოდებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საწინააღმდეგო აზრებს უნერგავდნენ თავიანთ მოსწავლეებს. მაგალითად, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, ვ. ჩერქეზიშვილის ასლი მეგობარი, რევოლუციონერი ერმოლოვი ერთ-ერთ გაკვეთილზე ახასიათებდა რა არწივს, ამბობდა: „ეს ფრინველი სისხლის მსმელია. იგი შეუბრალებლად სჭამს უდანაშაულო ცხოველებს, როგორცაა ბაჭები, ბატკნები და ა. შ. რუსეთის მთავრობას, რომელიც ასევე უწყალოდ ჭყვლტებს და სისხლს სწოვს უდანაშაული ადამიანებს, ამიტომ ჰყავს იგი გამოსახული თავის ღერბზე“.

1866 წლის 4 აპრილს ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დიმიტრი კარაკოზოვმა რევოლუციური დაახალა. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მეფე შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. იქვე მდგომმა ავანტიურისტმა კომისაროვმა სწორედ გასართლის მიმენტში აუკრა ხელი რევოლუციურ ეკ.

რაკოვოს. ტყვიამ თავზე გადაუარა იმპერატორს შეპყრობილ კარაკოვოს, როდესაც იმპერატორი შეეკითხა — რატომ გინდოდა ჩემი მოკვლა, მან ასე უპასუხა: „შენ შეპირდი ხალხს მიწას, მაგრამ მოატყუეო“. კარაკოვოვის ამ სიტყვებში რევოლუციონერი რაზნოჩინელების საერთო აზრი იყო ჩაქსოვილი.

კარაკოვოვი ჩამოახრჩვეს. დაიწყო მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრებანი. ცარიზმის ქოფაკები გაფაცვიცებით დაეძებდნენ კარაკოვოვის თანამებრძოლთ. ჟანდარმერიამ მიაგნო ვ. ჩერქეზიშვილის რევოლუციური საქმიანობის კვალსაც. უმაღლესი საგამომიხილველ კომისიის თავმჯდომარის გრაფი მურავიოვის (მეტსახელად ჩამომხრჩობის) მოთხოვნით, 1866 წლის 28 აპრილს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს მოსკოვში მყოფი ვ. ჩერქეზიშვილი. იგი ჯერ მოსკოვის ციხეში ჩასვეს, სოლო სამი თვის შემდეგ პეტერბურგის საპყრობილეში გადაიყვანეს.

ვ. ჩერქეზიშვილი, სხვა იშუტინელებთან ერთად გაასამართლა სენატის განსაკუთრებულმა სამსჯავრომ. მისი ბრალდება ასე იქნა ფორმულირებული: „მონაწილეობდა ფარულ სასოფაოდებაში, რომელიც მიზნად ისახავდა კანონიერი ხელისუფლებისა და წესწყობილების დამხობას“. სასამართლოს განაჩენით ვ. ჩერქეზიშვილს მიესაჯა 8 თვით პატიმრობა.

კარაკოვოვის გასროლასთან დაკავშირებით სხვა ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც დააპატიმრეს. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია იაკობ ისარლოვი. დაპატიმრებისას მას აღმოაჩნდა გერცენისა და ოგარიოვის სურათები. აგრეთვე „საეჭვო“ ხასიათის სხვა მასალაც. საბრალდებო სკამისაგან ისარლოვი იხსნა მისმა მოფიქრებულმა პასუხებმა. გამოძიებამ ვერ შეძლო მის მიმართ საკამო რაოდენობით მასალების შეგროვება და ჟანდარმერიაც იძულებული გახდა გაეღო მისთვის ციხის კარები. მოსკოვში დააპატიმრეს აგრეთვე სტუდენტი გრიგოლ ჩერქეზიანიც, მაგრამ ბრალდების უქონლობის გამო მეორე დღესვე გაათავისუფლეს. სხვადასხვა დროს გაჩხრიკეს და კვლევად-ძიება დაიწვეს. სავანელი, ი. ყანჩაშკოვის, ნ. ყიფიანის, ნ. კანანოვის, კ. ალიხანოვის, ტ. შერმაზანიანის, ისაკიანის და სხვა ამიერკავკასიელ სტუდენტთა მიმართაც. ბრალდების სიმცირის გამო ისინიც გადაურჩნენ გასამართლებას, მაგრამ ადმინისტრაციული წესით კი დაისაჯნენ.

1868-1869 წლებში ყოფილი იშუტინელი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც მეფის მინიფისტით 1867 წელს გადაზე აღრე იქნა გათავისუფლებული, სტუდენტ დ. ვოსკრესენსკისთან ერთად აარსებს ფარულ ორგანიზაციას „რევოლუ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 18, გვ. 19.

ციურ კომუნას“. ეს იყო მრავალრიცხოვანი არალე-
გალური საზოგადოება, რომელიც აგრძელებდა იმუ-
ტინელთა რევოლუციური ბრძოლის სახს. იგი წა-
რმოადგენდა შემაერთებელ რტოლს იმუტინისა და
ნენაევის რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის.

„კომუნის“ ხელმძღვანელები და პირადად ვ. ჩერ-
ქეზიშვილი დაკავშირებული იყო მისკოვისა და
პეტერბურგის სტუდენტთა იმ მღელვარებებთან,
რომლებშიც აქტიურ როლს ასრულებდნენ კ. ბაქ-
რაძე, ი. თარხნიშვილი, პ. იშმაილოვი
ლ. მღებრიშვილი, ს. ზარაფოვი,
დ. სულხანიშვილი და სხვ. ამიერკავკა-
სიელი ასალგაზრდები.

მასალის ადასტურებენ, რომ 60-იანი წლების
მეორე ნახევარში რუსეთის რევოლუციურ მოძრა-
ობაში მონაწილეობისათვის 48-ზე მეტი ამიერკავ-
კასიელი ასალგაზრდა იყო მიცემული პასუხისგე-
ბაში. ამათგან ქართველი იყო 24, სომეხი-16, აზერ-
ბაიჯანელი-1.

60-იანი წლების მთელ მანძილზე ქართველი,
სომეხი, აზერბაიჯანელი ასალგაზრდები რუს რა-
ზნოზინელებთან ერთად ვაჟაკური შემართებით
იბრძოდნენ ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზი-
ული წყობილების წინააღმდეგ. ისინი რუსეთის
რევოლუციაში შედარდნენ სოციალური და ეროვ-
ნული ჩაგვრის უღლისაგან თავიანთი მრავალტან-
ჯული მშობლიური ხალხის გათავისუფლების გა-
რანტისა. 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი
წლების დამდგვისათვის ბრძოლამ კიდევ უფრო აქ-
ტიური სახე მიიღო.

„სახალხო შურისძიება“

მშრომელი ხალხის სიყვარულით აღსავსე ახალ-
გაზრდობის რევოლუციურ აღტყინებას ვერ ას-
შობდა უმაღლესი საგამომძიებლო კომისიისა და
პოლიცია-ჟანდარმერიის მძიმე დარტყმები. და-
ცემულ მებრძოლთა რიგებს რევოლუციონერთა ასა-
ლი კადრები ავსებდნენ. ისინი არ ზოგავდნენ თავს
ხალხის დასაცავად, გააფორმებთ ცდილობდნენ
დაღუპული და კატორდა-გადასახლებებში ცოცხლად
დამარხული ამხანაგების სისხლის აღებას.

სწორედ ამიტომ უწოდეს „სახალხო შურისძიე-
ბა“ („ნაროდნაია რასპარავა“) 1868—1869 წლებ-
ში შექმნილ ახალ რევოლუციურ ორგანიზაციას
მისმა ფუნქციონებებმა ს. ნეჩაევმა და პ.
ტკაჩევმა.

ნეჩაეველები იუმიტინ-კარაკოზოველთა პირდაპირ
რევოლუციურ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ. რე-
ვოლუციურ პროპაგანდაში ისინიც ძირითად
როლს „ინტელიგენტურ ასალგაზრდობას“ აკუთვ-

ნებდნენ. ისინი, ისე როგორც თავის დროს რევოლუ-
ციონელები, ჩერნიშევსკის მიერ დღის წესრიგში დას-
მული გლესთა რევოლუციის პოზიციებზე იდგნენ.
ორგანიზაციის საპროგრამო წერილში, რომელიც
პ. ტკაჩევმა და ს. ნეჩაევმა შეიმუშავეს, პირდაპირ
აა ნათქვამი, რომ „ჩვენ გვინდა სახალხო, გლე-
ხური რევოლუციაო“.¹


ნეჩაევის ორგანიზაციამ თავის დროს პროგრე-
სული როლი შეასრულა. მან ხელი შეუწყო მოწი-
ნავე ინტელიგენტიაში რევოლუციური სულისკვე-
თების ამაღლებას, ბრძოლისათვის გამოაცოცხლა
ხალხთა მასები.

1869 წლის სტუდენტთა მღელვარების ურგე-
ლივ ჩატარებული გამოძიების შედეგად ხელისუფ-
ლებამ მიაკვლია ნეჩაევის რევოლუციურ-ხალხოს-
ნურ ორგანიზაციას. დაიწყო მასობრივი დაპატიმ-
რებანი. მართალია, ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმა-
რებით თვითონ ნეჩაევმა მოახერხა სახლგარე-
რეთ გაქცევა, მაგრამ მისი ორგანიზაციის წევრები,
თითქმის ყველანი დააპატიმრეს. უმაღლესი საგა-
მომძიებლო კომისია და ჟანდარმერია შეუდგნენ ნე-
ჩაეველთა საქმის გამოძიებას.

ნეჩაეველთა საქმესთან დაკავშირებით სხვებთან
ერთად ამიერკავკასიელი ასალგაზრდებიც დააპატიმ-
რეს. ესენი იყვნენ: ყოფილი იმუტინელი, „რევო-
ლუციური კომუნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 23
წლის ვარლამ ჩერქეზიშვილი, „გუმბერ-
ნსკი სეკრატარის“ შვილი—23 წლის ჯავად იშ-
ხანოვი, თბილისის გიმნაზიის მუსლიმანური
ღვთისმეტყველების მასწავლებლის შვილი — 21
წლის იბრაჰიმ რაჰიმოვი, მაიორის შვი-
ლი 20 წლის ამიდ ჰაჯიბეკოვი, აზნა-
ური იაკობ სარიბეკოვი — 23 წლის,
პოდპოლკოვნიკის შვილი ინდრის შახა-
ევი — 22 წლის თეოდორე რიჰმანი (ზოგ
საბუთში მოხსენებულთა რიგშიანად) — 23 წლის
სტეფანე მუტაფოვი (მუტაფიანი) —
ასალციხის მასრიდან. ესენი ყველანი მიცე-
მული იყვნენ სასამართლო პასუხისგებაში,
მათი საქმე სენატის განსაკუთრებულმა სამსჯავრომ
განიხილა.

ჟანდარმერიისა და საგამომძიებლო კომისიის მა-
სალებში, კერძოდ კი სასამართლო სხდომების ოქ-
მებში მრავალი ფაქტობრივი მასალა დატული, რომ-
ლებიც საშუალებას გვაძლევენ მკითხველებს და-
ვანახთ თუ როგორ ხელისუფლებული და თავ-
დაღებით იბრძოდნენ ქართველი, სომეხი და
აზერბაიჯანელი ხალხის სახელგანანი წინაპრები,
ყველასათვის საძულველი ცარიზმისა და რუსეთში
არსებული მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების
წინააღმდეგ.

¹ ვ. ლ. ბურცევი, ას წელიწადში ლონდონი, 1897 წ., გვ. 90-91 (რუსულ ენაზე).



რევოლუციის დაუღალავი ჯარისკაცი

შეუძლებელია ილაპარაკო 60—70-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-ხალხისნურ მოძრაობაზე და თვალწინ არ წარმოვიდგეთ გახსნებულ პალტოში ჩაცმული, ოდნავ ბეჭებში მოხრილი, ფერმკრთალი სტუდენტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. იგი იყო პროფსინთანული რევოლუციონერი-რანონინელი, რომელიც მთელი შემართებით ემსახურებოდა გლეხთა რევოლუციის საქმეს. იმუტინელები, „რევოლუციური კომუნა“, სტუდენტთა რევოლუციური მღვდლგარებაში მონაწილეობა, ნენაევლები — ასეთია მისი, როგორც რევოლუციის ჯარისკაცის საბრძოლო გზა. ვ. ჩერქეზიშვილი რუსი რევოლუციონერი ხალხსნების ღირსეული თანამებრძოლი იყო მათი მოძრაობის ყველაზე სახელფან პერიოდში.

რევოლუციურ-ხალხისნურ მოძრაობაში მონაწილე ამირკავკასიელი ახალგაზრდებიდან იგი ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. მასალებში მითითებულია, რომ იგი ნენაევის ორგანიზაციის უბრალო მონაწილე კი არ ყოფილა, არამედ მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. ვ. ჩერქეზიშვილი ადრევე იცნობდა ს. ნენაევსა და პ. ტკაჩევს და მათთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა.

ნენაევილ ალექსანდრე კუხნეცოვის მეშვეობით, 1869 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ვ. ჩერქეზიშვილი ჩაება რევოლუციური საზოგადოების საქმიანობაში და მალე მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი და ხელმძღვანელთაგანი გახდა. იგი დაწვერილებით იცნობდა „ნაროდნაია რასპრავას“ პროგრამას და საჯაროთა იზიარებდა მასში წამოყენებულ ხალხისნურ იდეას — „სახალხო, გლეხური რევოლუციის შესახებ“.

ორგანიზაციული თვალსაზრისით ვ. ჩერქეზიშვილი შედიოდა ა. კუხნეცოვის წრეში. ირიცხებოდა 52-ე ნომრად ე. ი. წრის წევრებს შორის რიგით მეორე ნომერი იყო.¹

„ნაროდნაია რასპრავას“ მოსკოვის წრეში შესვლისთანავე, ვ. ჩერქეზიშვილი მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. იგი თავის უკანასკნელ კაპიკებსაც კი არ ზოგავდა ორგანიზაციის საქმიანობისათვის. ამ მიზნით ჯერ კიდევ წრეში შესვლისთანავე ა. კუხნეცოვს 125 მანეთი გადასცა. იგი შემდგომც სისტემატურად ესმარებოდა, როგორც ცალკეულ წევრებს, ასევე საერთოდ ორგანიზაციას. ასე, მაგალითად, ორგანიზაციის სალაროში მან შეიტანა საკმაოდ დიდი თანხა—200 მანეთის ოდენობით. როგორც მა-

ტერიალურად, ასევე ჟანდარმერიის კლანკებისაგან თავის დაღწევის თვალსაზრისით ვ. ჩერქეზიშვილმა განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია პირადად ს. გ. ნენაევს, როდესაც იგი იძულებული იყო საზღვარგარეთ გაქცევით ეშველა თავისათვის.

ს. ნენაევის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, პირველ დაპატიმრებას გადარჩენილი ვ. ჩერქეზიშვილი ფაქტიურად „ნაროდნაია რასპრავას“ ხელმძღვანელი გამხდარა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ გასვლის შემდეგ, 1869 წლის 21 დეკემბერს ს. ნენაევმა ქ. კენისბურგიდან სწორედ ვ. ჩერქეზიშვილს გამოუგზავნა დამოფრული დეპეშა საზღვარზე მშვიდობიანად გადასვლის შესახებ. ამასთან გადმოუგზავნა, „სია ტულის გუბერნიის გლეხებისა და სხვა პირებისა, რომლებიც მზად იყვნენ შეეთვისებინათ რევოლუციური იდეები“. თავის მხრივ ვ. ჩერქეზიშვილსაც მიუღია აქტიური ღონისძიებები საზღვარგარეთ მყოფ ს. ნენაევთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებისა და სათანადო ინსტრუქციების მიღების თვალსაზრისით. ამ მიზნით იგი ეთათბირა მოსკოვის წრის წევრებს დეტეილისსა და იულია ბობორკოვას. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში აცნობა მათ ს. ნენაევის საზღვარგარეთ გაქცევის ამბავი. „ამასთან ბობორკოვას გადასცა შენევაში ოგარიოვის მისამართი და თხოვა, რათა დაუყოვნებლივ გამგზავნებულიყო იქ, თანაზ ნენაევი და გადაეცა მისთვის წერილი“. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ნენაევის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ ვ. ჩერქეზიშვილის ხელში გადასულა საზღვარგარეთთან კავშირის დამყარების საქმე, რაც ორგანიზაციაში მისი ხელმძღვანელი როლის მაჩვენებელია.

„ნაროდნაია რასპრავაში“ შესვლის პირველ დღიდანვე ვ. ჩერქეზიშვილმა თვალსაჩინო რევოლუციურ-ხალხისნური პროპაგანდა გააჩაღა, როგორც სტუდენტ ახალგაზრდობაში, ასევე საზოგადოების სხვა ფენებშიც. 1869 წლის შემოდგომაზე მოსკოველ სტუდენტთა მღვდლგარების პერიოდში „ის ესწრებოდა მოსკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტების ფარულ კრებებს“, შვრებილთ უკითხავდა რევოლუციურ პროკლამაციებს, მოუწოდებდა თავიანთი რიგების შვკავშირებისაკენ და ა. შ.

სტუდენტებს შორის მუშაობის შესახებ იგი წერილობით ანგარიშს აბარებდა „ნაროდნაია რასპრავას“ ხელმძღვანელობას. ამის შესახებ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „კასპარის ბინაში ჩატარებული კრებისა და სხვადასხვა პირებთან მისი ურთიერთობის შესახებ კუხნეცოვის თხოვნით ვ. ჩერქეზიშვილმა გააკეთა წერილობითი განცხადება, რომელშიც ცალ-ცალკე გამოსცა ბუტურლინის, სმირ-

¹ ნენაეველთა წრეებში წევრთა აღრიცხვა ასეთნაირად ხდებოდა: ხელმძღვანელის განსაკუთრებულ ნომერს რიგითი ნომერი ემატებოდა. მაგ. კუხნეცოვი იყო № 5, ჩერქეზიშვილი კი, რომელიც წევრებს შორის მეორე ნომრად ეწერა ითვლებოდა 5 და 2, ე. ი. 52 ნომრად.

საქართველო
საბჭოთაო

ნოვის, პირამიდოვის, იშხანოვისა და პეტროვსკის
დახასიათებები, როგორც განათლებული ადამიანე-
ბისა, რომლებიც თანაუგრძნობენ ხალხის უბედუ-
რებასო¹.

ვ. ჩერქეზიშვილის რევოლუციური აგიტაციის
შედეგად, გარდა ჩამოთვლილი სტუდენტებისა ორ-
განიზაციაში ჩაებნენ აგრეთვე გარშემო პი-
რები: ტუქნიკოსი ივანე პაჟონ-დემანი,
პორუჩიკი ბობორეკოვი, ალექსი დეტე-
ილისი, ვორონცოვი, იულია ბობო-
რეკოვა და ვარვარა ალექსანდროვს-
კაია.

ისე როგორც „ნაროდნაია რასპრავას“ სხვა
წევრები, ვ. ჩერქეზიშვილიც ყველაფერს აკეთებდა
იმისათვის, რომ მოემზადებია რევოლუციური კად-
რები სახალხო აჯანყებისათვის, რომლის დაწყებაც
1870 წლის გაზაფხულზე პქონდათ გათვალისწი-
ნებული. მაგრამ ნეჩაევლებს არ დასცალდათ თავი-
ანთი მიზნის განხორციელება—ხელისუფლებამ მიავ-
ნო მათ კვალს. დაპატიმრებულ იქნენ ორგანიზაციის
მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო წევრები. 1869 წლის
28—29 დეკემბრის დამით ვ. ჩერქეზიშვილიც და-
აპატიმრეს მოსკოვში თავის ბინაზე. მისი საქმე გა-
დაეცა უმაღლეს საგამომძიებლო კომისიას. მას ბრა-
ლად ედებოდა ის, რომ იყო „ერთ-ერთი ყველაზე
თვალსაჩინო წევრი ფარული საზოგადოებისა, რომ-
ლის მიზანს შეადგენდა მმართველობის არსებული
სისტემის დამსობა“.

მოკმეთა მხარლამხარ

ვ. ჩერქეზიშვილთან ერთად ბევრი ამიერკავკა-
სიელი ახალგაზრდა იბრძოდა ნეჩაევლთან რიგებში.
მათი საქმეც სენატის განსაკუთრებულმა სამსჯავ-
რომ განიხილა. ესენი იყვნენ: ჯავად იშხან-
ოვი, იბრაჰიმ რაჰიმოვი, სტეფანე
მუტაფოვი, ამიდ პაჯიბეკოვი, ია-
კობ სარიბეკოვი, ინდრის შანა-
ევი და თევდორე რიჰმანი. ყველა
ისინი აქტიურად ასრულებდნენ ორგანიზა-
ციის ხელმძღვანელობის დავალებებს. აღსანიშ-
ნავია, რომ ამ ახალგაზრდებიდან ჯავად იშხანოვი
და თევდორე რიჰმანი „ნაროდნაია რასპრავას“ მხო-
ლოდ რიგითი წევრები კი არ ყოფილან, არამედ
ცნობილი რევოლუციონერების ბელიაევის, პრიჟო-
ვის, უსპენსკის, კუზნეცოვისა და სხვების მსგავსად
ცალკე ნეჩაევურ წრეებს უდგნენ სათავეში. მათ ირ-
გვლივ ძირითადად კავკასიელი ახალგაზრდები იყ-
ვნენ შემოკრებილნი.

კომისიის მიერ ჩატარებული წინასწარი გამო-

ძიებით და სამსჯავრო სხდომაზეც დადასტურდა,
რომ ჯ. იშხანოვმა თავის გარშემო შემოიკრიბა
ი. რაჰიმოვი, ა. ჰაჯიბეკოვი, ი. სარიბეკოვი, ი. შა-
ნაევი, ოლდა ვეშნიაკოვა და სხვ. შექმნა მათგან
ნეჩაევური წრე, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათა-
ვეში.

ჯ. იშხანოვი დაკითხვისას მეტად დაკვირვებულ
პასუხებს იძლეოდა. ცდილობდა თვალები აეხვია
სასამართლოსათვის. მაგალითად, ერთ-ერთ დაკითხ-
ვაზე მან განაცხადა, რომ „თუმცა შეადგინა წრე
თავისი ამხანაგებისაგან..., მაგრამ მხოლოდ იმ მიზ-
ნით, რომ სტუდენტები დაახლოვებოდნენ ერთსა-
ნეთს და გაეზიარებიათ ერთმანეთის ჭირ-ვარამი“.

ე. ი. უარყოფდა მისი წრის რევოლუციურობას. ეს
იყო ჩერნიშევსკისებური კონსპირაციულობა. რო-
გორც ცნობილია ჩერნიშევსკი წინააღმდეგი იყო
სასამართლოზე გულახდილობის გამოჩენისა, რომ
ამით რევოლუციონერს თვითონ არ ჩაეგდო საკუ-
თარი თავი ხელისუფლების კლანჭებში.

ჯ. იშხანოვის პასუხების მიუხედავად, წრის სხვა
წევრების დაკითხვის შედეგად სასამართლომ დაამ-
ტკიცა, რომ წრის მთავარი ამოცანა იყო არა სტუ-
დენტების ურთიერთ დაახლოვება, არამედ „დაბალი
კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობე-
ლება პოლიტიკური გადატრიალებისა და საყოველ-
რაო თანასწორობის დამყარების გზით“, რომ იშხან-
ოვის წრის, „იდელს წარმოადგენდა რევოლუციის,
მოსდენა“ და „გაჭირვებაში მყოფი ხალხის მხარ-
ში ამოღება“.

საყურადღებო ფაქტი იყო ის, რომ იშხანოვის
წრეს სათანადო ნაბიჯი გადაუდგამს საიდუმლო
სტამბის დაარსებისთვისაც. ამ მიზნით ი. რაჰი-
მოს, ა. ჰაჯიბეკოვთან ერთად „უცნობი პირისა-
გან“ მიუღია „სტამბის ასოები“ და უნივერსიტე-
ტის ლაბორატორიაში დაუმალა. ჩხრეკისას ჟანდარ-
მერიამ მართლაც იპოვა ნ გირვანქამდე „შრიფ-
ტი“.

„ნაროდნაია რასპრავას“ თვალსაჩინო წევრები
იყვნენ თევდორე რიჰმანი და სტეფანე
მუტაფოვი. 1869 წლის სექტემბრის დამ-
დგეს თ. რიჰმანი პირადად გაეცნო ს. ნეჩაევს სტუ-
დენტ ივანოვის ბინაზე ჩატარებულ შეკრების
დროს. მან თანხმობა განაცხადა რევოლუციურ ორ-
განიზაციაში შესვლაზე. მას რეკომენდაცია გაუწი-
ეს თვით ნეჩაევმა, დოღოვმა და კუზნეცოვმა. იგი
ჩარიტეს პრიჟოვის წრეში, რომლის უშუალო ამო-
ცანასაც მოსახლეობის დაბალ ფენებში რევოლუ-
ციური მუშაობის გაშლა შეადგენდა.

ვ. ჩერქეზიშვილის მსგავსად თ. რიჰმანმაც რე-
ვოლუციური ორგანიზაციის საქმიანობაში არა ერთი

1 ესენი იყვნენ მოსკოველი სტუდენტები, რომლებიც ვ. ჩერქეზიშვილმა ჩააბა ნეჩაევლ-
თა ორგანიზაციაში.



„ოსრანკის“ კლანდულური

რუსი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდა ჩაბაბ. პირადად რიჰმანს ორგანიზაციის მუშაობაში ჩაუბამს სტუდენტი პირამიდოვი და მუტაფოვი. ამ ახალგაზრდებთან ერთად მალე მას შეუქმნია საკუთარი წრეც, რომელიც პრიჰოვის წრის ფილიალს შეადგენდა. გამოძიებამ ვერ შეძლო მთლიანად გაერკვია თ. რიჰმანის წრის საქმიანობა, რამაც გარკვეულად განაპირობა მისი წევრების ვადარჩენა მკაცრი სასჯელებისაგან. გამოძიებას საქმეს ურთულებდა ის გარემოება, რომ პატიმრები ძლიერ ფრთხილ და მოფიქრებულ ჩვენებებს იძლეოდნენ, აჭიანურებდნენ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემას და ა. შ. მაგალითად, თ. რიჰმანი თავის ერთ-ერთ მორიგ ჩვენებას დილის ათი საათიდან დამის თორმეტ საათამდე წერდა. მიუხედავად ამისა ამ ჩვენებაში, რომელიც სულ რამდენიმე გვერდისაგან შედგებოდა არც ერთ კითხვაზე არ იყო გაცემული პირდაპირი პასუხი. ამის გამო ჟანდარმთა შეფი თავის დადგენილებაში წერდა, რომ რიჰმანის ჩვენება არ გამოირჩევა „სრული გულწრფელობით“, ამიტომ აუცილებლად საჭიროებს სასამართლო სსდომასზე „დამატებითი გამოძიებით შევსებას“.

მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ნეჩაევის ორგანიზაციის ცალკეულ წრეებში რუს მოძმეთა მხარდამხარ ამიერკავკასიელთა მუშაობა მრავალფეროვანი იყო. ვ. ჩერქეზიშვილი, კუზნეცოვის წრის სხვა წევრებთან ერთად, იბრძოდა ახალგაზრდებისაგან პროპაგანდისტ რევოლუციონერთა კადრების მომზადებისათვის. ჯ. იშხანოვის წრეკი, რომელიც ძირითადად ამიერკავკასიელებისაგან შედგებოდა, ბაკუნინისებურ „ბუნტარული“ პოზიციებისაკენ ისრებოდა. ისინი მსჯელობდნენ სამხედრო იარაღების საწყობის ხელში ჩაგდებასა და რევოლუციონერთა შეიარაღებაზე. სოლო თ. რიჰმანისა და ს. მუტაფოვის წრე მოსახლეობის დაბალ ფენებში ხანგრძლივი რევოლუციური პროპაგანდის გაერცელების საქმეს ემსახურებოდა ე. ი. მის საქმიანობას ლავროვის თვალსაზრისის გავლენა ეტყობოდა. საერთოდ კი ყველა წრე ერთ მიზანს-გლახთა რევოლუციის მომზადებას ემსახურებოდა. რევოლუციას უნდა მოესპო „მოზეიმე, მუქთაზროთა უმცირესობა“. ნეჩაევის ორგანიზაციაში მომუშავე ამიერკავკასიელი ახალგაზრდები საგსებით უჭერდნენ მხარს გაზ. „ნაროდნაია რასპრავას“ პირველი ნომრის საპროგრამო წერილზე წამდგარებულ ეპიგრამის მოწოდებას:

Вставай же Русь в поход на подвиг славы,
 Борьба велика и свята
 Возьми свое святое право
 У подлых рыцарей кнута».¹

ცარიზმთან ორთაბრძოლაში კიდევ ერთი მძიმე დარტყმა განიცადეს რევოლუციონერმა რაზნოჩინელებმა. ნეჩაეველები ვერ ისხნა ჩავარდნებისაგან კონსპირაციულობამ და კარგმა ორგანიზაციულობამ. რუს რევოლუციონერებთან ერთად ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც დააპატიმრეს. ვ. ჩერქეზიშვილის დაპატიმრების შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიელი ახალგაზრდების ჩხრეკა-დაპატიმრება რაც 1870 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ ჩერქეზიშვილის შემდეგ დაპატიმრებული ამერკავკასიელი რევოლუციონერების განხრეკისას ჟანდარმერიამ ვერ ჩაიგდო საკმაო რაოდენობით მათი მამხილებელი მასალა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ვ. ჩერქეზიშვილისა და სხვათა დაპატიმრებისთანავე მათ გაწმინდეს თავიანთი ბინები პოლიტიკურად საეჭვო ლიტერატურისაგან.

როდესაც კვლევა-ძიების მსვლელობაში ჟანდარმერიამ დააგროვა ამიერკავკასიელი რევოლუციონერთა დაპატიმრებისათვის იურიდიული თვალსაზრისით საკმაო მასალა და შეუდგა მათ შეპყრობას აღმოჩნდა, რომ ზოგ მათგანს უკვე მოესწრო პეტრებურჯიდან და მოსკოვიდან მიმალვა. მათი დაპატიმრებაც ვაჭიანურდა. მაგ. მხოლოდ 1870 წლის გაზაფხულზე მიაგნეს თბილისში წასულ ა. ჰაბიბეოვისა და ს. მუტაფოვის კვალს. ისინი შეიპყრეს, პეტრებურჯს ჩაიყვანეს და იმავე წლის ივნისის დამდეგს ჩასვეს პეტრე-პავლეს ციხეში. 1870 წლის ზაფხულისათვის დაუპატიმრებიათ აგრეთვე ი. რაპიშვი, ი. შანავეი და ი. სარიბეკოვი.

1871 წლის ივნისის ბოლომდე გაგრძელდა მათი საქმის გამოძიება. დაიწერა 12 საბრალდებო დასკვნა პატიმართა ცალკეული ჯგუფების მიმართ. იმ ჯგუფის გასამართლებას, რომელშიც ამიერკავკასიელი ახალგაზრდები შედიოდნენ, 1871 წლის 11 ივლისს შეუდგა სენატის განსაკუთრებული სამსჯავრო, სენატორ ლიუბიშოვის თავჯდომარეობით. ბრალდებულებს ჰყავდათ დამცველები. ს. მუტაფოვის იცავდა გამოჩენილი ადვოკატი სპასოვიჩი, რომელმაც ცოტა გვიან „50-თა“ პრეტესუვ კვლავ გამოიჩინა თავი ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა დაცვით. ჩერქეზიშვილის დამცველი იყო ტანევი, რიჰმანისა და შანავეისა — ორდინი, იშხანოვისა — ურუსოვი და ა. შ.

საბრალდებო დასკვნითა და უშუალოდ სამსჯავრო სსდომასზე ჩატარებული გამოძიების შედეგად ამიერკავკასიელი ახალგაზრდების ბრალდება შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: თ ე ვ დ ო რ ე რ ი ჰ მ ა ნ ი — „გაეცნო რა ნეჩაევის 1869 წლის სექტემ-

1 ბ. ბ. გლინსკი, რუსეთის ისტორიის რევოლუციური პერიოდი ნაწ. I, 1913 წ. გვ. 414.

ბერში, ირიცხებოდა მოსკოვში ჩამოყალიბებული პირველი წრის წევრად. შემდეგ გადაყვანილ იქნა პრიჟოვის წრეში, რომლის საქმიანობაშიც ის უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამ წრეს ჰქონდა სპეციალური დანიშნულება მჭიდრო კავშირი დაემყარებინა საზოგადოების დაბალ კლასთან, რათა მასში გაეგრძელებია ის იდეები, რომლებიც საფუძვლად ედო ფარულ საზოგადოებას — პოლიტიკური გადატრიალების მოხდენა რევოლუციის გზით, სახელმწიფოში არსებული მთავრობის დამხობა და წესწყობილების შეცვლა“.

ვ. ჩერქეზიშვილი „იყო ერთ-ერთი ენერგიული მოქმედი წევრი საზოგადოების საქმიანობაში. ასე, მაგ. საზოგადოების სასარგებლოდ მას სალაროში შეჰქონდა ფული, ფინანსურად ამარაგებდა აგრეთვე საზოგადოების ორგანიზატორს ნეჩაევს, ხელს უწყობდა მას საზღვარგარეთ წასვლის საქმეში, ამავე დროს მან იცოდა ნეჩაევის საზღვარგარეთ წასვლის ფარული, მთავრობის საწინააღმდეგო მიზნები. ჩერქეზიშვილი ავრცელებდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს და ცალკეულ პირებს ურჩევდა ჩარიცხულიყვნენ საზოგადოების წევრად. ის აწყობდა თავშესაფრებს საზოგადოების წევრებისათვის. დადიოდა პეტერბურგსა და ტულაში კავშირის დასამყარებლად. სხვადასხვა პირებთან, ვინც მონაწილეობდა საზოგადოების საქმიანობაში. ჩერქეზიშვილი ეკუთვნოდა შეთქმულთა საზოგადოებას, რომელიც შექმნილი იყო სხენებული მიზნით“.

სტეფანე მუტაფოვი — „ეკუთვნოდა ფარულ საზოგადოებას, რომლის მიზანი იყო რევოლუციის მოხდენა“. ჯაჟად იშხანოვს ბრალი ედებოდა „სტუდენტი ასალგაზრდობისაგან ფარული წრის შედგენაში, რომელიც მიზნად ისახავდა დაბალი კლასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საყოველთაო თანასწორობის დამყარებას, პოლიტიკურ გადატრიალებას“.

იბრაჰიმ რაჰიმოვს, ამიდ ჰაჯიბეკოვს, იაკობ სარიბეკოვს, ინდრის შანაევს — ბრალი ედებოდათ, იმაში, რომ შედიოდნენ იშხანოვის წრეში, „მონაწილეობდნენ კრებებში, სადაც გაეცნენ ორგანიზაციის წესდებას“, მონაწილეობდნენ მსჯელობაში „იარაღის ხელში ჩაგდებას შესახებ“. საცვებით იზიარებდნენ საზოგადოების მიზნებს „მთავრობის დამხობისა და მმართველობის არსებული წესების შეცვლის შესახებ“.

1871 წლის 6 აგვისტოს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც სხვებზე მკაცრად დაისაჯა „გამოუსწორებელი რევოლუციონერი“ ვ. ჩერქეზიშვილი. მას სასჯელში ჩათვალეს გამოძიების პერიოდში 18 თვეზე მეტსანს ციხეში ჯდომა, ჩამოართვეს თავადის წოდება, გადაასახლეს ტომსკის გუბერნიაში.

გამოძიების პერიოდში პატიმრობის ჩათვლის შემდეგ მისაჯათ პატიმრობა: თ. რიჰმანს — 1 წლით, ჯ. იშხანოვს — 4 თვით, ს. მუტაფოვს — 2 თვით. ამას გარდა ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ყოველი მათგანი დატოვებულ იქნებოდნენ პოლიციის მეთვალყურეობაში 5—5 წლით.

ი. რაჰიმოვს — ჩათვალა 1 წლამდე წინასწარი პატიმრობა, დამატებით კი 3 კვირის ციხე და 5 წლით პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა მიესაჯა.

ა. ჰაჯიბეკოვს, ი. სარიბეკოვს, ი. შანაევს — სასჯელად აკმარეს თითო წლით წინასწარი პატიმრობა და ცნობილ იქნენ „სასამართლოს მიერ გათავისუფლებულად“.

ერთი შეხედვით განაჩენი თითქოს მკაცრი არ იყო. სინამდვილეში კი, მეფის რუსეთში არსებული კანონებით პოლიტიკურ საქმეზე არ არსებობდა მძიმე და იოლი სასჯელი. ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა სასამართლოსაგან გათავისუფლებული ან სასჯელმოსილი პირი აღმინისტრაციული წესით გადასახლება ციმბირში, ამასთან სისტემატურად გაეგრძელებინა გადასახლებისა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის ვადა, გაეტარებია დისკრიმინაციის სხვა ღონისძიებანი და ა. შ. ხელისუფლებამ არ დააყოვნა ასეთი უფლებების გამოყენება ნეჩაეველთა მიმართაც, მაგ. ჯ. იშხანოვი ციხიდან გათავისუფლებისთანავე გადასახლებულ იქნა ვიატიკის გუბერნიაში. ჰაჯიბეკოვი, სარიბეკოვი და შანაევი გაირიცხენ უმაღლეს სასწავლებლიდან შემდეგში სწავლის გაგრძელებისა და მასწავლებლობის უფლების აკრძალვით. ამასთან გაასახლეს ისინი დედაქალაქებიდან და დაუქვემდებარეს პოლიციის მეთვალყურეობას. მსგავსი აღმინისტრაციული ღონისძიებები იქნა გატარებული სხვების მიმართაც.

რაც შეეხება ვ. ჩერქეზიშვილს მან გამოცდილებით იცოდა, რომ მეფის რუსეთში იგი ვერასოდეს დაიხსნიდა თავს ციხე-გადასახლებებიდან. ამიტომ 1876 წლის ზამთარში გამოიპარა გადასახლების ადგილიდან და საზღვარგარეთ წავიდა.

* * *

ნეჩაეველთა საქმეში გადიოდნენ ამიერკავკასიელი სხვა ასალგაზრდებიც, რომლებიც სასამართლომდე სხვადასხვა მიზეზების გამო აღარ მისულან. თუმცა ზოგი მათგანი გამოძიების პერიოდში საკმაო ხანს იჯდა ციხეში.

1869 წლის 2 დეკემბერს გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა სტუდენტი სტეფანე ამირხანოვი, იგი ჩასვეს ნარვის მხარის საპატიმროში. იმავე სანებში გაჩხრეკეს და დაკითხეს სტუდენტი ტალაატ ხალილოვი; დეკემბრის შუა რიცხვებში მოსკოვში გაჩხრეკეს სამართ-

ლის კანდიდატი მიხეილ ტერ-ავეტისოვი-28 წლის. ჟანდარმერიის მიერ შეგროვილ მასალებში იგი დასახელებულია ნენავეელთა აქტიურ თანამგრძობად. გამოძიებამ ტერ-ავეტისოვის პატიმრობაში აყენა გადაწყვიტა, მაგრამ მან მოსკოვიდან მიმალვა მოასწორო. 1869 წლის 8 დეკემბერს მოსკოვში გაჩხრიკეს ვ. ჩერქეზიშვილთან ერთ სახლში მცხოვრები სტუდენტი სერონ არუთინოვი. მას ბრალი ედებოდა ჩერქეზიშვილთან კავშირ-ურთიერთობაში. იგი არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ პოლიციის ზედამხედველობას კი დაუმორჩილეს.

უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის მიერ გამოძახებული და დაკითხული იქნა სტუდენტთა მღელვარების აქტიური მონაწილე ალექსანდრე ბაქრაძე. კომისია ფიქრობდა, რომ ნენავეელებს მისი საშუალებითაც ჰქონდათ კავშირი სტუდენტთა მღელვარებასთან. ალ. ბაქრაძემ უარყო წყენებულ ბრალდებას. იგი გადაურჩა დაპატიმრებას. იმავე წლის შემოდგომაზე მესამე განყოფილება შეუდგა მასალების შეგროვებას 150-ე ქვეითი პოლკის პოდპოლკოვნიკის არსენ ლომიძის მიმართ. მაგრამ ნენავეელებთან მისი კავშირის აშკარა დამადასტურებელი საბუთის ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს, ამიტომ ლომიძეც გადაურჩა გასამართლებას, თუმცა ძლიერ ეჭვის ქვეშე დააყენეს. ნ. ნენავეთან ახლო ურთიერთობისა და ნენავეელ ორღოვსკისათვის საზღვარგარეთ გაქცევაში ხელშეწყობის გამო გამოძიება დაიწყო ძმების ველამიძე და ივანე ავეტისოვიძის მიმართაც. მაგრამ ბრალდასადგენი მასალების სიმცირის გამო არც ისინი მიუციათ გასამართლო პასუხისმგებლობა.

ნენავეის ორგანიზაციის განადგურების შემდეგაც არასოდეს აუღიათ ხელი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე რუსეთში მოსწავლე ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს. ისინი ყოველთვის მტკიცედ იდგნენ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან რევოლუციური თანამეგობრობის პოზიციებზე.

საუკუნოდ რუს ხალხთან ერთად

— თქვენ... ქართველები მონაწილეობას იღებთ რუსულ მოძრაობაში, რა თქმა უნდა, არა როგორც სოციალისტი-რევოლუციონერები, არამედ როგორც

ქართველი სეპერატისტები? — ასეთი კითხვა დაუსვა დამცველმა სპასოვიჩმა ი. ჯაბადარს.

„არც ერთი ჩემი თანამემამულე, რომლებიც მონაწილეობენ ჩვენს პროცესში (ლაპარაკია 50-თა პროცესზე, ზ. შ.), სეპერატიზმის შესახებ არც კი ფიქრობდა, არამედ მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის, რადგანაც გვწამს, რომ მხოლოდ ის მოუტანს თავისუფლებას რუსეთის ყველა ხალხს და მათ შორის ჩვენც, ქართველებსაც.“¹ — ასე უპასუხა დამცველის ამ კითხვას ი. ჯაბადარმა, თუმცა იცოდა, რომ მისი სიტყვები გასცდებოდნენ კამერის კედლებს და „ოსრანის“ ყურამდე მივიდოდნენ.

ივანე ჯაბადარი იყო ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციისა“, რომელმაც გასული საუკუნის 70-იან წლებში (1874-1876) მაღლა აღმართა რევოლუციური ბრძოლის დროშა. ანთიმოზ გამყრელიძესთან, სტეფანე კარტაშიანთან და სხვა ამიერკავკასიელ ახალგაზრდებთან ერთად იგი გასამართლებულ იქნა ცნობილ „50-თა“ პროცესზე.

„სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ ანუ როგორც ხშირად უწოდებენ „მოსკოველთა“ ორგანიზაციის მონაწილე ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდები მტკიცედ იდგნენ ინტერნაციონალურ პოზიციებზე, ისინი ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ერების ხსნას ხედავდნენ რუსეთში სოციალური რევოლუციის გამარჯვებაში. ამიტომ ყოველგვარი სეპარატიზმის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. მათ სერიოზული წვლილი შეიტანეს რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან ქართველი და ამიერკავკასიელი ხალხის რევოლუციური თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში. ისინი ქართველი და კავკასიელი ხალხის მომავალს რუსი ხალხის ცხოვრებასთან მტკიცე კავშირში განიხილავდნენ. „კავკასია ისტორიულად შეკავშირებულია რუსეთთან და მასთან ერთად უნდა იბრძოლოს თავისი თავისუფლების მოპოვებისთვისო“² — აი მათი ბრძოლის მიზანი. საუკუნოდ რუს ხალხთან ერთად „— ასეთი იყო „მოსკოველთა“ ორგანიზაციაში მონაწილე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების საბრძოლო დევიზი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

1 „ბილოე“, 1907 წ., № 8.

2 „ბილოე“, 1907 წ., № 9.

თეილა ჭიშპაჩივარ ბრეა

ეს ამბავი ნაცისტების მიერ ჩადენილი ბარბარო-სული დანაშაულის, დასავლეთ გერმანიის იუსტიციის ინტორის ერთ-ერთი დანაშაულებრივი ფურცელია.

ჯერ თვით დანაშაულზე. ჰიტლერის მითითებით 1940-41 წლებში გერმანიაში მოკლული იქნა ორასი ათასი სულით ავადმყოფი.

სიმკაცრით და მოცულობით ეს სასწაულებრივი აქცია ჩაფიქრებული იქნა ჰიტლერის მიერ ხელი-სუფლების დაპყრობისთანავე.

პროცედურა დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. ფიურერი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდა მის განსახორციელებლად.

1939 წლის 1 სექტემბერი. გერმანიამ დაიწყო შორე მსოფლიო ომი, დაძრა ჯარები პოლონეთის წინააღმდეგ,

იმავ დღითაა დათარიღებული ჰიტლერის განკარგულება — მისი კანცელარის შეფმა და პირადმა ექიმმა უსრუნველყო მესამე რეისის ექიმების მიერ ბრძანების შესრულება სულით ავადმყოფებისაგან განათავისუფლების შესახებ მათი განადგურების გზით.

ფიურერის განკარგულების შესრულების მიზნით ჩამოყალიბდა სპეციალური ორგანიზაცია გულბრ-ფვილო სახელწოდებით: „თავშესაფარ დაწესებუ-ლებათა სამკურნალო საიმპერიო საზოგადოება“.

შემდეგში ყველა ოპერაციას, რომელიც აქედან გა-ჰომდინარობდა ეწოდა „T-4“.

ორგანიზაცია „T-4“-ის მთავარი ექსპერტი და ხელმძღვანელი იყო 37 წლის პროფესორი ვერნერ ხედე.

სულით ავადმყოფთა განადგურებაში მისმა „დაშ-სახურება“ იმდენად მძალად დონეს მიაღწია, რომ 1941 წელს მან მიიღო CC-შტურმბანფიურერის, ხოლო 1945 წელს — CC-შტანდარტენფიურერის წოდება.

„თავშესაფარ დაწესებულებათა სამკურნალო საიმ-პერიო საზოგადოება“ აქტიურად მოქმედებდა. ხეი-ეს ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწი-ლეობით შედგენილ იქნა ანექტა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყოველ ავად-მყოფზე უნდა შეესრულებოდა.

ანექტაში მთავარი კითხვა იყო: — „რამდენად შრომისუნარიანია ავადმყოფი“. მალე ფოსტით ხეი-დეს საუწყებოში გაიგზავნა 300 ათასამდე შეესრუ-ლი ანექტა.

ფორმალურად შემოღებულ იქნა შემდეგი წესი. სამი ექიმი-ექსპერტი სწავლობდა ავადმყოფის ის-ტორიას და გამოთქვამდა თავის მოსაზრებას განი-კურნებოდა თუ არა ავადმყოფი.

გადაწყვეტილების მიღებისათვის ექიმისაგან არ ითხოვდნენ არავითარ დასაბუთებას. ანექტაში შესა-ბამის გრაფაზე, სპეციალურ კვადრატში ისმებოდა ნიშნები: ბულის წითელი ფანქრით ნიშნავდა — „არ განიკურნება“, მინუსი ლურჯი ფანქრით — „განი-კურნება“.

საბოლოოდ ანექტები ეგზავნებოდა მთავარ ექს-პერტს, პროფესორ ხეიდე, რომელსაც გამოჰქონდა გადაწყვეტილება.

არც მთავარი ექსპერტი, არც სხვა ექსპერტები — არ წვდებოდნენ მედიცინის დეტალსა და ნიუან-სებს. ამისათვის უბრალო დროც კი არ ჰქონ-დათ. დღეში ისინი რამდენიმე ასეულ ანექტას „ამუშავებდნენ“.

ავადმყოფების განადგურების მიზნით ფსიქიატ-რიულ დაწესებულებებთან შექმნეს დიდი გამტარ-უნარიანობის სპეციალური განყოფილებები — კრე-მატორიები.

განწირულებს კლავდნენ ინექციებით, ხოცავდნენ შიმშილით, უმრავლეს შემთხვევაში კი წამლავდნენ გაზით. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში შეიქმნა სპეციალური „გაზის ოთახები“.

1941 წელს „საიმპერიო საზოგადოება“ ლიკვი-დირებულ იქნა. ვერნერ ხეიდე კი როგორც „მთა-ვარი ექსპერტი“ მიღგავიწოდა დახაუს, ბუნენვალ-დის, მიიდანეის და სხვ. საკონცენტრაციო ბანაკებ-ში.

ომის დასასრულს ხეიდე ხელმძღვანელობდა ესე-სელების სპეციალურ ჰოსპიტალს, სადაც მკურნა-ლობდნენ თავში დაჭრილებს. ჰიტლერის იმპერიის კრახის დასაწყისში ეს ჰოსპიტალი ვურტემბერგიდან ევაკუირებულ იქნა დანიაში. 1945 წელს იქ მოხდა ხეიდეს ინტერნირება, ხოლო წელიწადნახევრის შემ-დეგ იგი გადაიყვანეს ფრანკფურტის ციხეში.

1947 წლის ზაფხულში ნიურნბერგში გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც გერმანელ ექიმებს ბრალი ედებოდათ ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარებასა და საკონცენტრაციო ბანაკებში მრავალ-ათასეულ ტყვეთა გაჟლეტაში.

გაურკვეველი მიზეზების გამო ხეიდე პროცესზე გამოდიოდა როგორც მოწმე.

1947 წლის 25 ივლისს, როდესაც მოწმეებით დატვირთული ამერიკული მანქანა დროებით ვურტ-ბერგში ცოტახნით გაჩერდა ხეიდე უკვალოდ გაქრა

იგი ჩრდილოეთში გაიქცა. დასავლეთ გერმანიის შლეზვიგ — გოლშტეინის მიწებზე რამდენიმე ხანს მებადლე მუშაობდა, შეიძინა ყალბი დოკუმენტები ექიმ ფრიც ზავადეს სახელზე. ხეიდეს ცხოვრებამ კვლავ დაიწყო გაფურჩქნა. ვურტემბერგში მან შეი-

ძინა საკუთარი სახლი და ავტომანქანა. მისი ცოლი კი ცხოვრობდა მიუნხენში, როგორც პროფესორ ვერნერ ხეიდეს ქვრივი და იღებდა დიდ პენსიას.

ყველაზე სამარცხვინო ფაქტი დასავლეთ გერმანიის თემიდას მსახურთა მოქმედებაში შემდეგია: ოფიციალურ ინსტანციებში ხშირად შედიოდა ცნობები, იმის შესახებ, რომ ექიმი ზავადე და დამნაშავე პროფესორი ხეიდე ერთი და იგივე პიროვნება იყო. რეაქცია ამაზე — სიჩუმე.

1959 წელს პროფესორ ხეიდეს დაპატიმრება ოფიციალურ ხელისუფალთა ინიციატივით არ მომხდარა, ერთ-ერთი პროფესორი აღშფოთდა იმის გამო, რომ ექიმი ზავადე უპატივცემულად გამოეხმაურა მის სამედიცინო — სასამართლო დასკვნას. პროფესორმა დამნაშავეს ნამდვილი გვარი დაასახელა და მოითხოვა იგი წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე.

დაიწყო დიდი სკანდალი. შლეზვიგ-გოლშტეინის მიწის პარლამენტმა საქმის გამოსაკვლევად შექმნა სპეციალური კომისია.

კომისიამ დაადგინა, რომ შლეზვიგ-გოლშტეინის მიწის მაღალ პოსტებზე მყოფმა პირებმა იცოდნენ ხეიდეს ვინაობა, იცოდნენ და სდუმდნენ.

ეს ამბავი გამოქვეყნდა გაზეთ „ფრანკფურტ რუნდშაუს“ ფურცლებზე. სტატიის ავტორი ვარაუდობდა, რომ პარლამენტის კომისიისათვის ცნობილ პირთა შორის, რომელთაც იცოდნენ ხეიდეს ვინაობა და სდუმდნენ ამის შესახებ, იყო გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი.

სამსჯავროს წინაშე არ წამდგარა არც ერთი პირი, ვინც მაღავდა ხეიდეს დანაშაულებრივ წარსულს. ბრალდებულის სკამზე ექვსი თვე იჯდა მხოლოდ „ფრანკფურტ რუნდშაუს“ კორესპონდენტი „პოლიტიკური ჭორების გავრცელებისათვის“, რომელიც ორი ათასი მარკით დააჯარიმეს.

ჰესემის პროკურატურა ერთდროულად აწარმოებდა გამოძიებას იმ პირთა მიმართაც, რომელნიც

„T-4“-ის ოპერაციების განხორციელებაში მონაწილეობას. მზადდებოდა საბრალდებო დასკვნები „T-4“-ის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელის ფრიდრიხ ტილმანისა, ამ უწყების პირველი შეფის ბერნგრად ბონეს, ფიურერის კანცლერის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელის პანს ხეფელმანის წინააღმდეგ.

ამ ოთხი დამნაშავეს სასამართლო პროცესი უნდა დაწყებულიყო 1964 წლის 18 თებერვალს ლიმბურგში, მაგრამ დამნაშავეთა კვალი თანდათან ქრებოდა. სამხრეთ ამერიკაში 1963 წლის ზაფხულში გაიქცა ბერნგრად ბონე, 12 თებერვალს მერვე სართულიდან გადმოხტა და თავი მოიკლა ფრიდრიხ ტილმანმა, 13 თებერვალს კამერაში თავი ჩამოიხრჩო ვერნერ ხეიდე.

ჰესენის მიწის მთავარი პროკურორი ფრიტც ბაუერი, საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე, მეტად გულმოდგინედ ამზადებდა ზემოაღნიშნულ სასამართლო პროცესს. სასამართლო აქტები 80.000 გვერდზე მეტს აღწევდა. მარტო საბრალდებო დასკვნას, სადაც ჩამოყალიბებულია ხეიდესა და მის თანამონაწილეთა დანაშაულობანი 900 მეტი გვერდი უკავია. პროცესზე დასაკითხად გამოქაზებული იყო სამასზე მეტი მოწმე.

როცა ცნობილი გახდა, რომ ბრალდებულებმა ტილმანმა და ხეიდე თავი მოიკლეს, პროკურორმა ბაუერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეჭვი აქვს ჯგუფის ან ორგანიზაციის არსებობაში, რომელიც ყოველმხრივ უშლის ხელს ხეიდესა და მის თანამონაწილეთა პროცესის ჩატარებას.

უბოროტესი აქციის — „სიკვდილი ლმობიერების მიზნით“ განხორციელებაში მონაწილეობა მიიღო ასობით დამნაშავემ. მათ შორის უმრავლესობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საპატიო პოსტები უკავიათ.

მათ გამოაშკარავების ეშინიათ და არავითარ საშუალებებს არ ერიდებიან რათა თავიდან ჩამოიშორონ საშიში მოწმეები.

თარგმანი ლ. ჰანტშერიანსი

სამედიცინო სასამართლოს სჯიჯიჯი და უფლებამოსილება

ჟურნალის მკითხველი ლ. კ. ფირცხალავა (ქ. სამტრედია) გვთხოვს გავაცნოთ სამედიცინო სასამართლოს სტრუქტურა და ფუნქციები. ვაქვეყნებთ კონსულტაციას ამ საკითხზე. კონსულტაცია მოამზადა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ჯაფარიძემ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის შესაბამისად სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით სასამართლოს, არბიტრაჟის ან სამედიცინო სასამართლოს მიერ, შემდეგი საშუალებებით: ამ უფლებათა აღიარებით, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით; ვალდებულების ნატურით შესრულებით, უფლებრივი ურთიერთობის შეცვლით ან მოსპობით, უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის გადახდევინებით, ხოლო კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გადახდევინებით, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით.

თხოვნას დარღვეული უფლების დაცვის შესახებ სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიცინო სასამართლო განსახილველად მიიღებს მიუხედავად სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლისა. თუ სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიცინო სასამართლო საპატიო მიზეზად ცნობს სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გაშვებას, დარღვეული უფლება დაცული უნდა იქნეს (სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის მეორე ნაწილი).

დავის მონაწილე მხარეებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლიათ მოითხოვონ მათ შორის აღ-

რული დავის სამედიცინო სასამართლოსათვის გადაცემა.

მხარეთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მათ შორის აღძრული დავა გადაეცეს სამედიცინო სასამართლოს გადაწყვეტისათვის ბათილობის რიდით წერილობით უნდა იქნეს დადებული და შემოწმებისათვის წარედგინოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაზრო ან რაიონულ საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო სასამართლოს ან ნოტარიუსს. ამასთან თუ სახალხო სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარეები შეთანხმდნენ სამედიცინო სასამართლოსთვის საქმის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ და ასეთი შეთანხმება სასამართლომ მიიღო, ამ შემთხვევაში საჭირო არ არის მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების დადება.

სამედიცინო სასამართლო მოეწყობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დავის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით, ერთი ან რამოდენიმე მოსამართლის შემადგენლობით. თუ სასამართლო რამოდენიმე მოსამართლისაგან შედგება, მხარეები მოსამართლეებს აირჩევენ თანაბარი რიცხვით. თავის მხრივ მოსამართლეები აირჩევენ სასამართლოს თავმჯდომარეს.

სამედიცინო სასამართლოს წევრად არ შეიძლება იყოს: პირი, რომელსაც სრულწლოვანებისათვის არ მიუღწევია, პირი, რომელიც მეურვეობასა და მზრუნველობაშია; პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით აქვს ასა-

მართლოს და პროკურატურის ორგანოებში თანამდებობის დაკავების ან აღვოკატად მუშაობის უფლება—განაჩენში აღნიშნული ვადის განმავლობაში და პირი, რომელიც მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მხარეთა წერილობითი შეთანხმება სამედიატორო სასამართლოსათვის დავის განსახილველად გადაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს: დავის მონაწილეთა დასახელებას და მისამართს; არჩეულ მოსამართლეთა დასახელებას; სასამართლოში გადასაწყვეტი დავის საგანს, დავის განხილვის ვადას; შეთანხმების დროს და ადგილს. შეთანხმებას ხელს აწერენ დავის ყველა მონაწილე და სასამართლოს შემადგენლობა. საქმის დამთავრებამდე მოსამართლეთა შეცვლა არ შეიძლება. ერთ-ერთი მოსამართლის გარდაცვალების, წასვლის ან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ ურთიერთ შეთანხმებით დავის გადაწყვეტა მიანდონ სასამართლოს დანარჩენ შემადგენლობას ან აირჩიონ ახალი მოსამართლე, რის შესახებაც შეთანხმებას ხელს აწერენ მხარეები და მოსამართლენი.

დავის მონაწილეს უფლება აქვს უარი განაცხადოს შეთანხმებაზე, თუ დამტკიცებს, რომ რომელიმე მოსამართლე დაინტერესებულია საქმის შედეგით და ეს გარემოება მისთვის ცნობილი არ იყო შეთანხმების გაფორმების დროს.

სახალხო სასამართლო არ მიიღებს სასარჩელო განცხადებას განხილვისათვის თუ მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს (სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 31-მუხლის მე-6 პუნქტი).

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კანონის თანახმად სამედიატორო

სასამართლოს არ შეიძლება გადაეცეს გადასაწყვეტად: დავა, რომელიც აღიძვრის შრომითი და საოჯახო ურთიერთობის საფუძველზე; დავა მიწით სარგებლობის უფლების შესახებ; სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს, საზოგადოებრივ და კოოპერაციული ორგანიზაციებს შორის აღძრული დავა და აგრეთვე დავა, რომელიც ამხანაგურმა სასამართლომ უნდა განიხილოს.

სამედიატორო სასამართლო არ არის შეზღუდული პროცესუალური კანონდებლობით დადგენილი საქმის წარმოების წესებით, მაგრამ მას არ შეუძლია გადაწყვიტოს საქმე მხარეთა გამოწვევისა და ახსნა განმარტების მოუსმენლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და ახსნა-განმარტების მიცემას.

სამედიატორო სასამართლოს უფლება არ აქვს განიხილოს საქმე შემდეგ შემთხვევებში: თუ გასულია მხარეთა შეთანხმებაში აღნიშნული ვადა; თუ რომელიმე მოსამართლე წასულია ან ჩამოცილებულია; თუ საქმის წარმოების დროს აღმოჩნდება ისეთი გარემოება, რომლის გამო რომელიმე მხარის მიმართ უნდა აღიძვას სისხლის სამართლის დევნა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე ან თუ ერთ-ერთი მხარე გარდაიცვალა.

სამედიატორო სასამართლოს საქმის განხილვის შედეგად წერილობითი ფორმით და ხმების უმრავლესობით გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს: გადაწყვეტილების დადგენის დრო და ადგილი; სასამართლოს შემადგენლობა; მხარეთა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამედიატორო სასამართლო მოქმედებს; დავის ყველა მონაწილე; დავის საგანი; მოსაზრებანი, რომელთა გამო სასამართლომ გამოიტანა თავისი დასკვნები და სამედიატორო სასამართლოს გა-

დაწყვეტილების შინაარსი. გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა მოსამართლე. რომელიმე მოსამართლის უარი ხელისმოწერაზე ან განსაკუთრებული აზრი აღინიშნება გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილება გამოეცხადება მხარეებს, რომლებიც ხელს მოაწერენ გადაწყვეტილებაზე. თუ მხარე უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ან არასაპატიო მიზეზით სასამართლოს სხდომაზე არ გამოეცხადდება, გადაწყვეტილება ითვლება მისთვის გამოეცხადებულად, რის შესახებაც სასამართლოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებაზე აკეთებს სათანადო წარწერას.

საქმე, რომელიც სამედიატორო სასამართლომ განიხილა უნდა წარედგინოს იმ სახალხო სასამართლოს, რომლის სამოქმედო რაიონში შედგა სამედიატორო სასამართლო. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, შეიძლება მოყვანილი იქნეს სისრულეში სასამართლოს მიერ გაცემული აღსრულების ფურცლის საფუძველზე. ამასთან აღსრულების ფურცლის გაცემამდე სახალხო სასამართლო ამოწმებს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას და დასაბუთებულობას. თუ შემოწმების შედეგად სახალხო სასამართლო დარწმუნ-

დება, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში გასცემს აღსრულების ფურცელს გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულებისათვის.

სახალხო სასამართლოს განჩინებაზე აღსრულების ფურცლის გაუცემლობის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს ზემდგომ სასამართლოში კერძო საჩივარი ან პროტესტი ხუთი დღის განმავლობაში აღსრულების ფურცლის გაცემაზე უარის თქმის დღიდან.

თუ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სახალხო სასამართლოს და მოითხოვოს დავის არსებითად განხილვას საერთო საფუძველზე.


სამედიატორო სასამართლოში საქმეთა განხილვა წარმოებს საქმის წარმოების ხარჯებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების გარეშე.

სამოქალაქო საქმეებით სახალხო სასამართლოების განტვირთვის მიზნით ყოველ მხრივ უნდა იქნეს გაუმჯობესებული საზოგადოებრივ საწყისებზე სამედიატორო სასამართლოების მუშაობა.

ალექსანდრე ფილიპოვ კე კლეინმანი

(დაბადებიდან 70 წლისთვის გამო)

რუსსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ა. ფ. კლეინმანი დაიბადა 1889 წ. 2 აპრილს ქ. კიშინიოვში. 1910



წ. დაამთავრა ნოვოროსიისკის (ოდესა) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას რუსეთის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში.


ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა ადვოკატთა კოლეგიის წევრად, იურისკონსულტად და კონსულტანტად.

1922 წლიდან იწყებს მეცნიერულ-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას უმაღლეს

სასწავლო დაწესებულებებში: ირკუტსკის უნივერსიტეტში, საბჭოთა სამართლის ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო კადრების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, იურიდიულ ინსტიტუტში, სამხედრო იურიდიულ აკადემიაში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და კვლევით ინსტიტუტებში. 1944 წლიდან დღემდე მუშაობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად და სამოქალაქო სამართლის პროცესის კათედრის გამგედ.

ა. ფ. კლეინმანი ერთ-ერთმა პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის დარგში.

ა. ფ. კლეინმანი არის საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი არის ავტორი მთელი რიგი მეცნიერული შრომებისა. მის კალამს ეკუთვნის სამოქალაქო სამართლის პროცესის პირველი სახელმძღვანელოები. ა. ფ. კლეინმანის თეორიული გამოკვლევები მიძღვნილია სამოქალაქო პროცესულური სამართლის ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, როგორცაა: მესამე პირების მონაწილეობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის პრინციპები, სამოქალაქო პროცესის საგანი და სისტემა, მტკიცება და მტკიცებულებათა თეორია სამოქალაქო სამართლის პროცესში, პროცესულური კანონმდებლობის კოდიფიკაცია, მოძღვრება სარჩელის შესახებ და ა. შ. ა. ფ. კლეინმანი არის აგრეთვე ავტორი მთელი რიგი დამხმარე სახელმძღვანელოებისა. მათ შორის



აღსანიშნავია ახლახან გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო: „ვეროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამოქალაქო პროცესუალური სამართალი“. ეს ნაშრომი მოწმობს ავტორის დიდ ერუდიციას, მის უნარს განაზოგადოს სახალხო დემოკრატიული ქვეყნების პროცესუალური კანონმდებლობა. პროფ. ა. ფ. კლემინიანის ეს ნაშრომი დადებითად იქნა შეფასებული პროფესორების ბოურას, შტაიერის (ჩეხოსლოვაკია), სტაცევის (ბულგარეთი) და ლასლო ნევაის (უნგრეთი) მიერ.

პროფ. ა. ფ. კლემინიანის შრომები დაწერილია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მარქსისტული-ლენინური მოძღვრებისა და სასამართლოს, პროკურატურისა და არბიტრაჟის პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. ისინი გამოირჩევიან მეცნიერული კლავის სიღრმითა და ორიგინალობით. პროცესუალური ინსტიტუტების განხილვა დაკავშირებულია სოციალისტური მართლმსაჯულების ამოცანებთან; გადმოცემის სისტემა ნათელი და თანმიმდევრულია, საკითხები გაშუქებულია ნათლად და მკაფიო ენით.

ამ შრომებმა დიდი როლი ითამაშა იურისტების მომზადებისა და პრაქტიკული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

თავის მეცნიერულ პედაგოგიურ საქმიანობას პროფ. ა. ფ. კლემინიანი მჭიდროდ უკავშირებს პრაქტიკას. აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო და სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის მომზადების მთავრობის კომისიებში, არის სსრ კავშირის პროკურატურის მეთოდური საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ა. ფ. კლემინიანი არის შესანიშნავი ლექტორი და აღმზრდელი. მისი ლექციები საინიშნავია. მან მოამზადა მრავალი მეცნიერმუშაკი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის დარგში. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. დ. ი. პოლუმორდენოვი, დოცენტები ა. ა. დობროვოლსკი, ე. ი. პესნი, ე. ნ. კოვალევა, აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების მთელი პლეადა.

ა. ფ. კლემინიანი არის არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ, ამავე დროს უადრესად კეთილშობილი, მიმზიდველი, გულისხმიერი და მაღალი კულტურის ადამიანი, რომელიც მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს მომავალი იურისტების აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

თითქოს ყველ ასათვის ცნობილია, რომ შინაური ცხოველები მხოლოდ უწყინარი შინაური ცხოველები არიან. მაგრამ ყველა როდი ფიქრობს ასე. მაგალითად, ამ საკითხზე სხვა აზრისაა ბრიტანეთის მართლმსაჯულება.




ფიტჩერის — მკვლელობის გამო. ჩვენ არ ვიცით. გაცოფებულმა თუთიყუშმა თავი რატომ გაუხვრიტა ნისკარტით თავის კეთილისმყოფელს. როგორც ჩანს, ეს არ იცოდა არც ლონდონის სასამართლომ. მიუხედავად ამისა მან თუთიყუში კოკი დამნაშავედ ჩათვალა მკვლელობაში.

ეს შემთხვევა ერთადერთი არ არის და იგი უნდა აიხსნას იმით, რომ ინგლისელებს უყვართ უცნაური ტრადიციების დაცვა.

ცნობილია მთელი რიგი სასამართლო პროცესებისა, რომლებზედაც შუა საუკუნეებში ცხოველებს ასამართლებდნენ. ცრუმორწმუნე ხალხს ეგონა მაშინ, რომ ცხოველებს სწორი გზიდან აცდენს ეშმაკი. აი რამდენიმე ასეთი კურობული პროცესი.



1120 წელს ლაონელმა ეპისკოპოსმა ეკლესიისაგან განკვეთა მუხლუხები და მინდვრის თავგები. ხოლო 1121 წელს იმავე ეპისკოპოსმა ეკლესიისაგან განკვეთა ბუზები, რომლებიც შეიჭრნენ მისი სააბატოს ეკლესიაში.



მეცამეტე საუკუნეში სასამართლოს წინაშე წარსდგა ღორი. მას ბრალი დასდეს იმაში, რომ მან შეჭამა თავისი საკუთარი ნაშენი, და სიკვდილი გადაუწყვიტეს. ტრადიცია მოითხოვდა, რომ სიკვდილიმისჯილი განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს ჩაცმული ყოფილიყო. ამიტომ ღორი გამოაწყვეს კურტკაში, წინა ფეხებზე წამოაცვეს თეთრი ხელთათმანები, ხოლო უკანა ფეხებზე — შარვალი ჩააცვეს. ასე შეხვდა ღორი სიკვდილს.

ერთხელ, ეს იყო 1314 წელს, მუასიში (საფრანგეთი) გახელებული ხარი თავს დაესხა ადამიანს. ცხოველი დააბატიმრეს და ციხეში მოათავსეს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად. სასამართლომ ხარს მიუსაჯა ჩამოხრჩობა.

1112 წელს ციურისის სამაზრო მოედანზე იუსტიციის სასახლის პირდაპირ სპეციალურად აგებულ ფიცარნაგზე სასამართლო პროცესს ატარებდა შავ მანტიამი გამოწყობილი ქალაქის რამდენიმე მოსამართლე. ისინი ასამართლებდ-

ნენ მგელს, რომელიც მოედანზე გალიით მოეყვანათ. ამ მგელმა დაგლიჯა და შეჭამა ორი გოგონა. გენერალურმა ბრალმდებელმა წარმოთქვა ჩვეულებრივი საბრალდებო სიტყვა. ვეჭილი ყოველნაირად ცდილობდა თავისი მარწმუნებლის დაცვას. გამოვიდნენ მოწმეები. მგელს მიუყენეს შესაბამისი მუხლი კანონთა კოდექსიდან, ჩათვალეს დამნაშავედ და მიუსაჯეს ჩამოხრჩობა.



ავგისტო, 1474 წელი. ბაზელში სიკვდილი მიუსაჯეს მამალს, რომელსაც ბრალად ედებოდა კვერცხის დაღება. „დამნაშავე“ დაწვეს კვერცხთან ერთად ბრბოს წინაშე, რომელიც შეყრილიყო სეირის საყურებლად. იმ დროს ეგონათ, რომ თუ მამალი კვერცხს დაღებდა, კუდიანებთან ჰქონდა კავშირი.

ინგლისის მეფე ჰენრი მეშვიდემ ბრძანა ოთხი ძაღლის ჩამოხრჩობა, რომლებმაც ლომი დაგლიჯეს, რადგანაც მან უღირს საქციელად ჩასთვალა, რომ ცხოველთა მეფეს თავს დაესხნენ უფრო დაბალი რანგის ცხოველები. ამავე მიზეზით მანვე ბრძანა ერთ-ერთი თავისი ხაყვარელი შევარდენის სიკვდილით დასჯა, რომელმაც გაიმარჯვა არწივთან ორთაბრძოლაში.



1499 წელს ფორე-ნიუარის მიდამოებში დათვმა დაარბია რამდენიმე სოფელი. იგი დაიჭირეს. ვეჭილმა, რომელმაც იკისრა მისი დაცვა, გადაქექა სასამართლო კოდექსი და გამოძებნა მუხლი, რომელიც მარწმუნებულს აძლევდა უფლებას მოეთხოვა, რომ იგი გაესამართლებია თავისსავე თანამემამულეებს და სასამართლომ მთელი კვირა მონადღომა იმის დადგენას, რომ შეიძლებოდა თუ არა ამ მუხლის მიყენება დათვისათვის.

XV საუკუნეში სასამართლოს წინაშე წარსდგა ახლადგახდენილი ცხენი, რომელსაც ბრალად ედებოდა სიზარმაცე და მეტისმეტი სიფიცხე. სასამართლომ დაადგინა, რომ მასში დაისადგურა ორმა ბოროტმა სულმა: სიზარმაცის სულმა და სიბრაზის სულმა. ცხენს მიუსაჯეს სიკვდილი და კეტის დარტყმით მოკლეს. უსაქმურთა ბრბო, რომელიც აქ შეყრილიყო სეირის საყურებლად, გუნდურად მღეროდა სასულიერო ჰიმნებს.

1584 და 1585 წელს ვალენსიას შეესია მუხლუხების მთელი ურდოები. მათი რიცხვი ისე დიდი იყო, რომ ძოაააააააააა იძულებული იყო დაეკეტა სახლის ფანჯრები და კარები, დაეცო ღუმელის მიღები. ვალენსიის დიდმა ვიკარიუსმა¹ მიუსაჯა მუხლუხებს საეპარქიოდან განდევნა. ამბობენ, მუხლუხები არ დაემორჩილნენო: ვიკარიუსის გასაკვირად ადამიანური მართლმსაჯულება არ გავრცელდა ამ „ღვთის ქმნილებებზე“.



XVIII საუკუნეში ბრაზილიის მღვდლებმა პიედადე-ნო-მარანიას პროვინციიდან სასამართლო საქმე აღძრეს ჭიანჭველების წინააღმდეგ, რომლებმაც

¹ ეპისკოპოსის თანაშემწე.

გაუნიავეს ფქვილი და გამოხრეს ხის დგარები მათ სარდაფებში. ჭიანჭველებს დამცველმა თავის სიტყვაში მოიყვანა ზოგიერთი ციტატი ეკლესიის მამათა



წიგნებიდან და საღვთო წერილიდან, რომლებიც მფარველობდნენ ჭიანჭველებს, რამეთუ ჭიანჭველები არიან ისეთივე ღვთის ქმნილებანი, როგორც ბერები, რომელთაც მოისურვეს მათთვის მსჯავრის დადება, და რომელნიც ბერების მსგავსად ემსახურებიან ღმერთს, რომლის გზები გამოუცნობია.

სასამართლომ გამოიტანა დადგენილება. ჭიანჭველებს თავის განკარგულებაში გადაეცათ საკმაოდ დიდი მინდორი, სადაც შეეძლოთ დასახლება. ჭიანჭველები თავის მხრივ ვალდებული იყვნენ დაეტო-

ვებიან მონასტრის კედლები, უკიდურეს შემთხვევაში მათ მოელოდათ ეკლესიიდან განკვეთა.

1713 წლის 17 ივნისს სასამართლოს განაჩენი ჭიანჭველებს წაუკითხეს.

მუშაობის გზა

კლიენტი იურისტს: „მითხარით, რა არის უმაღლესი სასჯელი ორცოლიანობისათვის?“

იურისტი:—„ორი სიდედრი“

* * *

მოსამართლე პატიმარს—„რა ხელობისა ხართ?“

პატიმარი—მე აკრობატი ვარ.“

მოსამართლე—„დარაჯო! სასწრაფოდ დახურეთ ფანჯარა“.

* * *

პროკურორი მოწმეს:

ოთხი თვის წინ, 10 თებერვალს საღამოს 9 საათზე ბრალდებული ტელეფონთან გამოიძახა ქალმა. რა უთხრა ამ ქალმა მას?

ბრალდებული დამცველი:

— ასეთი შეკითხვა არამართებულია. შეუძლებელია, რომ მოწმემ შესძლოს ზუსტად აღადგინოს ოთხი თვის წინანდელი საუბარი.

დაიწყო დისკუსია. ბოლოს სასამართლომ მისცა პროკურორს ამ შეკითხვის დასმის უფლება.


— ამგვარად გთხოვთ, ზუსტად გაიმეოროთ, რა უთხრა ქალმა ბრალდებულს?—თქვა საზეიმო ტონით პროკურორმა.

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?

— ბატონი მაშინ სახლში არ იყო.

* * *

მოსამართლე ბრალდებულს: 

— რატომ არ იხდი ალიმენტს?

— იმიტომ რომ ჩემს მეორე ცოლს მუშაობა არ უნდა.

* * *

ადვოკატს ერთმა კლიენტმა მიმართა კომპენსაციის საკითხზე.

— ეს საქმე კარგად არ დამთავრდება არც თქვენთვის და არც ჩემთვის, უხსნის ადვოკატი.

— რატომ?

— იმიტომ რომ თუ არ მოვიგებ ამ საქმეს, მაშინ ცოტა მხვდება, ხოლო თუ მოვიგებ მაშინ კანონს სულ არაფერი შეხვდება.

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ



* * *


— ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩემი თავი, ციხის უფროსი გახლავართ...
 — ეჰ, რა მოსაწყენი თანამდებობაა! თქვენ, ალბათ, დაწინაურება პატიმარობიდან დაიწყეთ.

* * *

— ერთმა ქალმა ადვოკატს შესჩივლა, ქმარი მეზიზღებო.
 — მერე და გასცილდი, — უთხრა ადვოკატმა.
 — როგორ! ოცი წელია მტანჯავს და თქვენ ახლა მირჩევთ ის გავაბედნიერო?!

* * *

სასამართლოში ირჩეოდა განქორწინების საქმე. მოსამართლე შეეკითხა ქმარს:



— რა არის მიზეზი თქვენი განქორწინებისა?
 — ხასიათის მსგავსება, — უპასუხა ქმარმა.
 — თქვენ ალბათ გინდოდათ გეტყვათ ხასიათის სხვადასხვაობა, არა?
 — არა, სწორედ, რომ ხასიათის მსგავსების გამო ვცილდებით ჩვენ ერთმანეთს.
 — მაშინ მოსამართლემ ქმარს სთხოვა განმარტება მიეცა საქმის ვითარების შესახებ.
 — ქმარმა მას ასეთი განმარტება მისცა:
 — მე თამბაქოს ვეწევი, ესეც ეწევა...
 — მე შარვალს ვიცვამ, ესეც იცვამს... მე ღვინოს ვსვამ, ესეც სვამს... მე გვიან ვბრუნდები სახლში, ესეც ასე იქცევა... განა ეს ყველაფერი ხასიათის მსგავსება არ არის?

ყასაბი და ვეჟილი

ერთ ყასაბს ძაღლმა ხორცის დიდი ნაჭერი მოსტაცა. ყასაბმა იცოდა რომ ის ძაღლი ვეჟილის იყო. იგი მაშინვე გაემართა ვეჟილისაკენ და უთხრა:

— ბატონო ვეჟილო, მე მოვედი თქვენთან ერთი პატარა რჩევისათვის; ერთმა ძაღლმა დუქნიდან ხორცის დიდი ნაჭერი მომტაცა, მაქვს თუ არა უფლება ძაღლის პატრონს ხორცის საფასური გადავახდევინო?

— რასაკვირველია — უპასუხა ვეჟილმა.

— მაშ, ბოდიში ბატონო ვეჟილო, მაგრამ ის ძაღლი თქვენი გახლდათ, ხორცი, რომელიც თქვენმა ძაღლმა მოიტაცა, იწონიდა სამ კილოს და თქვენ უნდა მომცეთ ოთხი ფრანკი.

ვეჟილმა უყოყმანოდ გადაიხადა ხორცის საფასური. ყასაბი კმაყოფილი დაბრუნდა. 15 წუთის შემდეგ მან მიიღო ბარათი.



„დუქანი № . . . ყასაბ ლ — . . .

გთხოვთ იურიდიული კონსულტაციისათვის ვადაიხადოთ 10 ფრანკი.
ვეჟილი № . . .“

ინფორმაცია



სასამართლო და პროკურატურის მუშაობა რესპუბლიკური თათბირი

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 12 მარტს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ინაუტრა, საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგემ ზ. რატიანმა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ო. ქავთარაძემ, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. გურგენიძემ, სსრ კავშირის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების პროკურორმა ტ. დოჭენკომ, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების პროკურორებმა, მოსამართლეებმა და სხვ.

მოსხენებით — „პროკურატურის ორგანოების ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის“ გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი.

— პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანადაა დასმული — უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა; აღმოიფხვრას მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები, ლიკვიდირებულ იქნას დანაშაული და მისი წარმოშობი მიზეზები. ამ ამოცანის გადაწყვეტაში მეტად დიდია როლი სასამართლო — პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებული არიან არა მარტო დასაჯონ დამნაშავენი, არამედ გამოასწორონ, აღზარდონ ისინი, დაუბრუნონ პატიოსან ცხოვრებას.

1963 წელს პროკურატურის ორგანოებმა განახორციელეს სერიოზული ღონისძიებანი ნაყოფანებათა აღმოსაფხვრელად დანაშაულბათა და კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სისხლის სამართლის პასუხისგებაში 1963 წელს 10 პროცენტით ნაკლები პირია მიცემული წინა წელთან შედარებით. საგრძნობლად შემცირდა ხულოვანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების, სპეკულაციის, მყიდველთა მოტყუების, სხეულის განზრახ დაზიანების შემთხვევები და

სხვ. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა როდია ყველგან. გაუპატიურების, ძარცვის, ქურდობის შემთხვევები კვლავ საგრძნობია. შრომის დისციპლინის დარღვევის ბევრ ფაქტს ვხვდებით ავტოტრანსპორტზე, რასაც შედეგად ავარიები და დაზარალებულთა სიკვდილი მოსდევს. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევები რესპუბლიკაში არცთუ იშვიათია.

შემდეგ მომხსენებელმა ღრმა ანალიზი გაუკეთა ცალკეული საქალაქო და რაიონული პროკურატურის ორგანოების მუშაობას 1963 წელს. მომხსენებელმა დადებითად შეაფასა ქ. თბილისის, ქ. ჭიათურის, სამტრედიის, თელავის, თეთრიწყაროს, დუშეთის, ახალციხის, ყვარლის, სიღნაღის რაიონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, წყალტუბოს და ქობულეთის სარაიონთაშორისო პროკურატურების საქმიანობა.

ჭიათურის პროკურორს ამხ. მიროტაძის წარდგინებით პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქალაქში შემოიღო პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკების მორიგეობა. ამან ხელი შეუწყო ქალაქში წესრიგის დამყარებას. იშვიათია ხულოვანობის, ლოთობის შემთხვევები და ა. შ.

პროკურატურის მნიშვნელოვანი ამოცანაა დანაშაულის მიზეზისა და პირობების შესწავლა, მათი აღმოფხვრა. ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაციის საქმეში ეფექტურ შედეგს იძლევა.

საერთო ზედამხედველობის ხაზით პროკურატურის ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტების შესრულებას სამრეწველო, სოფლის მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში. შემოწმების შედეგად შეტანილია 816 წარდგინება და 415 პროტესტი. შემოწმების შედეგებს პროკურორები მუშათა და მოსამსახურეთა კრებების მსჯელობის საგნად აქცევენ.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა საბჭოთა კანონების პროპაგანდის მნიშვნელობაზე, ილაპარაკა ამ მიმართულებით ჩატარებულ ნაყოფიერ მუშაობაზე.

პროკურატურის ორგანოების მუშაობის ანალიზმა, — ამბობს პ. ბერძენიშვილი, გვიჩვენა,

რომ გასულ წელს მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მუშაობის მაჩვენებლები დადებითია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისეთ მნიშვნელოვან უბნებზე, როგორცაა დანაშაულის გახსნა, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის საფუძვლიანობა, პირის პასუხისგებაში მიცემა და სხვა. ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ბევრი პროკურორი და გამომძიებელი საქმეს ზერელედ და უხარისხოდ იძიებს, დაუსაბუთებლად მოითხოვს გამოძიების ვადების გაგრძელებას. ზოგჯერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ უდანაშაულო მოქალაქეებს. აუცილებელია ყოველ საქმეზე დაცული იქნეს ობიექტური ჭეშმარიტება. ეს საბჭოთა მართლმსაჯულების ელემენტარული მოთხოვნაა. მისი შეუსრულებლობა კანონიერების უხეშ დარღვევას ნიშნავს.

— პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, — ამბობს დასასრულს ამხ. პ. ბერძენიშვილი, — პროკურატურის ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

მოხსენება — „სასამართლო ორგანოების მუშაობის შედეგები 1963 წელს“ — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარე ვ. მაისურაძემ.

მომხსენებელმა გაანალიზა სასამართლო ორგანოების საქმიანობა, აღნიშნა, რომ სასამართლო ორგანოები მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საპატიო მოვალეობას, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით იხილავენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.

ამასთან ერთად, სასამართლო ორგანოების საქმიანობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ზოგიერთი მუშაკი არ დგას მოწოდებების სიმაღლეზე. ხშირია დაუსაბუთებლად გამამტყუებელი და გამამართლებელი განაჩენების გამოტანის შემთხვევები.

სასამართლო ორგანოების მუშაობის ღონის ამაღლებისათვის, პირველ რიგში საჭიროა სწორად წყდებოდეს ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხი და სასამართლო სტადიისათვის მოსამზადებელი მოქმედებანი. ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სტადია სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ ბევრ მოსამართლეს ამ მხრივ დარღვევები აქვს. არის შემთხვევები, როდესაც უხარისხოდ გამოძიებულ საქმეებზე გამოაქვთ უსაფუძვლო განაჩენები.

საბრალდებო დასკვნით სოფელ ხეთას კოლ-

მეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს კოლხას ამავე კოლმეურნეობის ბუღალტერ ლატარიას და მოლარე ბერიშვილს ბრალი ედებოდათ მასში, რომ ბოროტად იყენებდნენ რა თავიანთ თანადებობებს, 1962-63 წლებში კოლმეურნეობას სერიოზული ზიანი მიაყენეს. ფულად ოპერაციებს ბანკის გარეშე აწარმოებდნენ. დახარჯული აღმოჩნდა 165.665 მანეთი. უკანონოდ იქნა ჩამოწერილი 28.375 მანეთი. ანგარიშსწორება ქაოსურ მდგომარეობაში იყო. არ სრულდებოდა საწარმოო გეგმები.


სასაზღვო სასამართლო საქმე შეწყვიტა განმწესრიგებულ სხდომაზე და დადგენილებაში მიუთითა: „გამოძიების მიმდინარეობისას გატაცება არ დამტკიცდა, ბრალდებულები არ ფლობენ არავითარ თანხას, ისინი განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. ლატარია და ბერიშვილი განსაზღვრული დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ პატიმრობაში, ამიტომ მათი პასუხისგებაში მიცემა არ არის მიზანშეწონილი“. გარდა ამისა დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „არასწორი საკრედიტო ოპერაციების ჩატარებაში ბრალი მიუძღვით, აგრეთვე, ბანკის თანამშრომლებს. ამიტომ გამოძიებას ამ გარემოებისათვის ყურადღება უნდა მიექცია“. დადგენილებას შინაარსი ნათელყოფს თუ რამდენად არასერიოზულად მოექცია მოსამართლე საქმის განხილვას, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ დადგენილება გააუქმა და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად სამართალში მიცემის სტადიიდან.

მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, როდესაც სასამართლოების მიერ დარღვეულია სისხლის სამართლის პროცესის ნორმების მოთხოვნები.

იგი ვრცლად ჩერდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოების მიერ კერძო გადაწყვეტილებების გამოტანას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით სასამართლოებმა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა. ასე მაგალითად, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ თუ 1962 წელს გამოტანილი იქნა 145 კერძო განჩინება, დანაშაულის ხელშეწყობი პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრის შესახებ, 1963 წელს კერძო განჩინებათა რიცხვმა 338-მდე მიაღწია.

მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა აფთაქის გამგე ა. ბანკოვსკაიას, რომელმაც 1958-62



წლებში 260.000 მანეთის მატერიალური ფასეულობა გაფლანგა. დადგინდა, რომ გატაცებას ხელს უწყობდა ჩატარებული რევიზიის ცუდი ხარისხი. უმაღლესმა სასამართლომ ამ საქმეზე გამოიტანა კერძო განჩინება, მიუთითა პირობებზე, რომელიც ხელს უწყობდნენ გაფლანგვა-გატაცებას და დააყენა იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც უშუალოდ აგებდნენ პასუხს რევიზიის ჩატარების ხარისხზე. ეს პირები განთავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სააფთიაქო სამმართველოს აფხაზეთის განყოფილების ხელმძღვანელობამ განაჩენი და კერძო განჩინება განიხილეს აფთიაქის თანამშრომელთა რესპუბლიკურ თათბირზე. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ახლა ყოველ კვარტალურად ტარდება თათბირები სააფთიაქო დაწესებულებათა ინვენტარიზაციის წესრიგში მოყვანის შესახებ.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი. ქ. თბილისის პროკურორმა ა. ტაკიძემ აღნიშნა, რომ პროკურატურის მუშაკების მიერ შემოწმებულ იქნა წარმოება-დაწესებულებებში სოციალისტური ქონების დაცვის, მატერიალურ-საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კადრების შერჩევისა და განაწილების, სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებში რევიზიებისა და ინვენტარიზაციის ჩატარების, არაშრომითი შემოსავლით აშენებულ ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დასახულია ღონისძიებანი პროკურატურის ორგანოების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ორგანოების მუშაობაზე ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. კაჩმაზოვამ. მან თქვა, რომ ადგილობრივ პრესაში ხშირად ქვეყნდება კორესპონდენციები სასამართლო პროცესების მიმდინარეობის შესახებ. დაწესებულებების, საწარმოების და კოლმეურნეობების საერთო კრებების მსჯელობის საგანს წარმოადგენს სასამართლო ორგანოების განაჩენები და გადაწყვეტილებები, რასაც დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურორი აშხ. მ. არგუნი შეჩერდა აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საქმიანობაზე.

— თითქმის ყველა საქმე სოციალისტური ქონების გატაცებისა და სპეკულაციის შესახებ, — აღნიშნავს ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართ-

ლოს თავმჯდომარე ა. წიქორიძე, — ეხებება ღია სამსჯავრო სხდომებზე იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ჩადენილია დანაშაული. საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი ბრალმდებლები და საზოგადოებრივი დამცველები. საქმის განხილვის შემდეგ განაჩენის შინაარსი ამავე წარმოება-დაწესებულებებში გადაიცემა ადგილობრივი რადიო-კვანძის საშუალებით.


სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ლ. ზაიჩიკი, საქართველოს სსრ რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს წევრი ა. ლულუნიშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე უ. ობოლძე და სხვ.

* * *

13 მარტს მოხსენებით — „არასრულწლოვანთა დამნაშაევობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე.

მიუხედავად იმისა, — აღნიშნავს მომხსენებელი — რომ რესპუბლიკაში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით და დანმარებით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ჩატარებული გარკვეული მუშაობა არასრულწლოვანთა დამნაშაევობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ჯერ კიდევ გვხვდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევები. არიან ისეთი არასრულწლოვანები, მათ შორის კომკავშირელებიც, რომლებიც ხულიგნობენ, ქურდობენ, ჩადიან ისეთი საშიში ხასიათის დანაშაულს, როგორცაა მკვლელობა, სხულის მძიმე დაზიანება, გაუბატურება და სხვ. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი სპეციფიკურია. ამიტომ გაცილებით მეტი შრომა და სიფრთხილე საჭირო არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების დროს. კანონის თანახმად რაიონის და ქალაქის პროკურორებს ეკრძალებათ არასრულწლოვანთა პატიმრობაზე სანქციის გაცემა რესპუბლიკის პროკურატურის თანხმობის გარეშე. ეს წესი იმიტოა განპირობებული, რომ აღკვეთილი იქნეს არასრულწლოვანთა უსაფუძვლოდ დაპატიმრების და პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები.

ასევე უხეშად ირღვევა კანონი მოზარდთა საქმეების გამოძიების დროს. გასული წლის დეკემბერში ოქტომბრის რაიონის მილიციაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვანების — სეთაშვილის, ბასიაშვილის და სხვათა მიმართ. გარკვეული საგამომძიებლო



მოქმედების შემდეგ მილიციამ საქმე გადაუგზავნა რაიონის პროკურატურას; რაიონის პროკურატურამ (პროკურორის თანაშემწე ამხ. ვ. მასურაშვილი) განმეორებით გამოიტანა დადგენილება საქმის აღძვრის შესახებ. საქმე გამოსაძიებლად რაიპროკურორის ამხ. მ. მახაშვილის რეზოლუციით გადაეცა გამომძიებელ ჯ. ლარცულაიანს, რომელმაც საქმეში გამოავალ პირებს წინასწარი პატიმრობა აურჩია, ისე, რომ დადგენილებით საქმე წარმოებაში არ მიუღია. ამხ. ლარცულაიანს სხვა სახის საგამომძიებლო მოქმედება არ უწარმოებია შევებულებაში წასვლის გამო. შემდგომში გამოძიების წარმოება ამხ. მ. მახაშვილის რეზოლუციით სტაჟიორ გამომძიებელს დაევალა. გამოძიება ჩატარდა უხარისხოდ. სასამართლომ (მოსამართლე ამხ. შ. გაბიტაშვილი) საქმე განიხილა ზერელედ და სამართალში მიცემულებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსჯა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის განჩინებით მსჯავრდებულებს პატიმრობა პირობითი მსჯავრით შეეცვალათ. ამრიგად, სამი არასრულწლოვანი უკანონოდ იმყოფებოდა პატიმრობაში საქმის უხარისხოდ გამოძიების გამო.

არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანთა საქმეებზე წარმოებს მოკვლევა და არა წინასწარი გამოძიება, რაც კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ვხვდებით არასრულწლოვანთა მიმართ უმნიშვნელო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრისა და სამართალში მიცემის ფაქტებს.

მოხსენების დასასრულს ამხ. გ. ბიწაძემ ხაზი გაუსვა არასრულწლოვანთა მართლწესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის მიზეზებს და ვრცლად შეჩერდა სასამართლო ორგანოებზე ზედამხედველობის საკითხზე.

თანამოსხენებით ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია. ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკაში ყოველწლიურად მცირდება არასრულწლოვანთა შორის მართლწესრიგის დარღვევები, აგრეთვე მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა.

რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით მსხვილი რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოებში გამოყოფილი არიან სპეციალური გამომძიებლები და მოსამართლეები, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართ-

ლოში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც იხილავს აღნიშნული კატეგორიის საქმეებს სასამართლოს თავმჯდომარის ან მოადგილის თავმჯდომარეობით.

სამწუხაროდ ყველა სასამართლო როდი უდგება მთელი გულისყურით არასრულწლოვანთა საქმეების განხილვას.

თუ როგორ ზერელედ ეკიდება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვას ზოგიერთი მოსამართლე შემდეგი ფაქტიდან ჩანს: თიანეთის რაიონის პროკურატურის მიერ სიმონიშვილისა და ბათხოშვილის საქმეზე არასრულწლოვანთა დაკითხვები ჩატარდა პედაგოგებისა და მშობლების გარეშე. ადვოკატი კი საქმეში ჩაება გამოძიების დამთავრების შემდეგ.

გამომძიებისა და სასამართლოს მიერ არ იყო შესწავლილი ბრალდებულთა პიროვნებები. სასამართლომ განაჩენში ორჭოფულად უჩვენა „თავის განცხადებით მუშაობს მშენებლობაზე“. გამოძიებამ ბრალდებულ ირაკლი ბათხოშვილს არ წაუყენა საქართველოს სსკ 236 მუხლი მცირეწლოვან ივანე ბათხოშვილის დანაშაულში წაქეზებისათვის. უხარისხოდ გამოძიებული საქმე მიიღო წარმოებაში და განიხილა თიანეთის სახალხო მოსამართლემ ამხ. შ. როყვამ.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ხშირად ირღვევა გამოძიებისა და განხილვის ვადები. დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლოებს იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებანი.

პირობით მსჯავრდებულებს არ გადასცემენ მშრომელთა კოლექტივებს ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

მოხსენების დასასრულს ამხ. ს. ქაჯაია შეეხო არასრულწლოვანთა რეჟიმის განსაზღვრისა და პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხს.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი. მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის პროკურორის მოადგილემ გ. როინიშვილმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ღვინჯილიამ, ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარემ ა. ჭაბუქიანმა, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების პროკურორებმა და მოსამართლეებმა.

ა. კახელი,
ლ. ჩოჩიათელი



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმი

1963 წლის 29 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პირველ საკითხზე ინფორმაციით — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1963 წლის 12 — 18 დეკემბრის პლენუმის შედეგები, — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, ამბობს ამხ. ვ. მაისურაძე, მიიღო დადგენილება მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში სასამართლოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად და დროულად იხილავენ მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს, იღებენ ზომებს საბჭოთა ადამიანების შელახული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამასთანავე პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაპყრო ამ საქმეში დაშვებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე.

მიღებულ დადგენილებაში მითითებულია, რომ აუცილებელია გაძლიერდეს კონტროლი საჩივრებისა და განცხადებების გულმოდგინედ განხილვისადმი, სასამართლოებს დაევალოთ გულმოდგინედ შეამოწმონ საზოგადოებრიობისა და პრესის ცნობები სასამართლო ორგანოების საქმიანობაში კანონიერების დარღვევის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების შესახებ და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

პლენუმმა განიხილა მარცვლეულისა და პურპროდუქტების გატაცებისა და განიავების ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო ორგანოების ამოცანები. პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამ საშიშ დანაშაულთან ბრძოლაში წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს, პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მოქმედების კოორდინაციაზე.

პლენუმმა სასამართლოებს წინადადება მისცა იმ საქმეების გარჩევის დროს, რომელიც შეეხება მარცვლეულისა და პურის პროდუქტების

დანაკლისით ან გაფუჭებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, გულმოდგინედ გამოიძიონ ზარალის ნამდვილი მიზეზები და ამ საქმეში დამნაშავე პირები მისცენ სასტიკ პასუხისგებაში.

მოხსენებით „მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე.


მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯია, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები — გ. დედარიანი და ი. გოგაშვილი, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. იობიძე, ქ. ტყიბულის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ობოლაძე.

პლენუმმა მოისმინა ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ა. იობიძის მოხსენება ქუთაისის სახალხო სასამართლოს მიერ გამსვლელი სესიების ჩატარების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ყაველაშვილი, ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ობოლაძე, ფოთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. გვილაგა, ახალციხის სახალხო სასამართლო ა. ცხადაძე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ცეტიშვილი, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯია. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

პლენუმმა მოისმინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ვ. კაჩმაზოვას მოხსენება — 1963 წლის 9 თვეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილე გ.



გაგლოევა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ივ. სუმბათაშვილმა და გ. დედარიანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ს. ქაჩაიამ და გ. ცქიტიშვილმა, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგემ ლ. ზაიჩიკმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს წევრმა ა. ბეკოევმა, ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. ყოჩიევმა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს კანცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ზ. რატიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები კონკრეტულ საქმეებზე.

ზ. მესხინიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

სასწავლო-მეთოდური სემინარი

სსრ კავშირის პროკურატურის ინიციატივით ქ. თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროკურატურის მუშაკთა სამდღიანი სასწავლო მეთოდური თათბირ-სემინარი, რომელიც მიქმდნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საპროკურორო ზედამხედველობის საკითხებს.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს სსრ კავშირის პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილის გ. აღნოლექიძის, დანაშაულის მიზეზების შესწავლისა და გაფრთხილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ა. საფონოვის ლექცია-მოსენებები: პროკურატურის ორგანოების ამოცანები თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე კანონიერების დაცვის ზედამხედველობის დარგში, ამ მუშაობის ორგანიზაცია რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურატურებში, კანონიერების მდგომარეობის შემოწმების მეთოდიკა, პროკურატურის ორგანოების საზოგადოებრიობასთან კავშირის პრაქტიკა შრომა-გასწორების კოლო-

ნიებში კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას და სხვა საკითხებზე.

ინტერესი გამოიწვია აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების პროკურატურათა თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველო განყოფილებათა უფროსების პ. ხალილოვის, ა. გრიგორიანის, ნ. მიქაძის გამოსვლებმა, რომლებმაც ილაპარაკეს საპროკურორო მუშაობის ამ დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ქ. რუსთავის, სომხეთის სსრ ლენინისა და შაუმიანის სახ. რაიონების პროკურორებმა ს. იმედაშვილმა, ა. აბრამიანმა, თ. ოვანესიანმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს ქალაქისა და რაიონის პროკურატურის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე — თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის საქმეში.

სემინარის მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, და მთელი რიგი წინადადებები შეიტანეს პროექტის ირგვლივ, აგრეთვე გაეცნენ

კანონს შრომა-გასწორების კოლონია — დასახ-
ლების შექმნის შესახებ.

სემინარზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართვე-
ლოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი და
აზერბაიჯანის სსრ პროკურორის პირველი მოა-
დგილე ნ. სიროტკინი, რომლებმაც აღნიშნეს სე-
მინარის დიდი მნიშვნელობა თავისუფლების აღ-
კვეთის ადგილებზე საპროკურორო ზედამხედვე-
ლობის შემდგომი გაძლიერების, მუშაობის ორ-
განიზაციის სრულყოფის, მოძმე რესპუბლიკე-
ბის პროკურატურის მუშაობებს შორის საქმიანი
კავშირის კონტაქტის გაძლიერების, გამოცდილე-
ბის განზოგადებისა და პროკურატურის წინაშე
მდგომი მთავარი ამოცანის—სოციალისტური კა-
ნონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სემინარის შემდეგ რესპუბლიკის პროკურა-
ტურის ხელმძღვანელობის, პარტიული და პრო-
ფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით მო-
ეწყო საღამო მიძღვნილი ამიერკავკასიის ხალხ-
თა მეგობრობისადმი.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პ. ბერძე-
ნიშვილი, ა. საფონოვი, ა. გრიგორიანი და სხვე-
ბი. სტუმრებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრე-
ბი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსების
წიგნები.

3. გობუშაძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემ-
წე აღსრულებაზე კონტროლის დარღვე-
იუსტიციის მრჩეველი.



სასაჩუქრო სახელმძვანელო სფეროებში და პრაქტიკული მუშაებისათვის¹

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რესპუბლიკის საგამომცემლო და სასამართლო ორგანოების მუშაკები სისხლის სამართლის პროცესის საკითხებს უკანასკნელ დრომდე, სწა-

შობილური ამოცანა: ქართულ ენაზე პირველად შექმნა სისხლის სამართლის პროცესის დამხმარე სახელმძღვანელო.

შრომა ძირითადად დაწერილია საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. ავტორი მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე ანალიზს უკეთებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებსაც.


ნორმატიულ აქტებთან ერთად ავტორი თავის შრომაში ფართოდ იყენებს საბჭოთა პროცესუალისტების შრომებსა და ცალკეულ სტატიებს. მთელ რიგ სადავო სისხლის სამართლის საპროცესო საკითხებზე პროფ. ბ. ფურცხვანიძე გამოთქვამს თავის საკუთარ აზრს, რომელსაც საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს.

სარეცენზიო ნაშრომის ღირსება ისიც, რომ ავტორი შრომაში იყენებს და ანალიზს უკეთებს არა მარტო საქართველოს სსრ საგამომცემლო ორგანოებისა და სასამართლოს პრაქტიკის მასალებს, არამედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სასამართლო პრაქტიკასაც. შრომაში საკმაო ყურადღება აქვს დათმობილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: საზოგადოებრიობის მონაწილეობა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს პროფილაქტიკური საქმიანობა, ა. ი. ვიშინსკის მცდარი შეხედულების კრიტიკა და ა. შ.

დამხმარე სახელმძღვანელოში მასალები გადმოცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, რაც ძირითადად შეესაბამება საბჭოთა სისხლის სამართლის პროგრამაში გაშუქებულ საკითხებს.

სარეცენზიო სახელმძღვანელო დაწერილია კარგი ენით, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს ადვილად აითვისონ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის კურსი.

რამდენადაც პროფესორ ბ. ფურცხვანიძის შრომა უკვე მომზადებული იყო დასაბეჭდად, ავტორს, ბუნებრივია არ შეეძლო გაეთვალისწინებია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 6 აპრილის ბრძანებულება



ვლობდნენ რუსული ენიდან 13—14 წლის წინათ ნათარგმნი პროფ. მ. ს. სტროგოვიჩის, ა. ი. ტარასოვ-როდინოვის, ბ. ა. ვალკინის და ნ. ი. კალაშნიკოვის შრომებიდან. გარდა იმისა, რომ ეს შრომები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, ისინი უკვე ვეღარ პასუხობენ სისხლის სამართლის პროცესის თანამედროვე მოთხოვნილებებს.

პროფ. ბ. ფურცხვანიძემ იკისრა კეთილ-

¹ პროფ. ბ. ბ. ფურცხვანიძე „სახელმძვანელო სისხლის სამართლის პროცესში“, გამომცემლობა „კოდნა“, თბილისი, 1963 წ. 502 გვერდი.

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ“ და მის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. პროფესორი ბ. ფურცხვანიძე უდავოდ სწორად მოიქცა, როდესაც თავის შრომას დანართის სახით დაურთო დასახელებული ბრძანებულებანი.

აღნიშნულ ღირსებებთან ერთად სარეცენზიო ნაშრომი შეიცავს რიგ ნაკლოვანებებსაც, რომლებზედაც საჭიროა ყურადღების გამახვილება.

ავტორი, იხილავს რა საკითხს საბჭოთა სოციალისტური სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის პროცესის ადგილის შესახებ, იურიდიულ დისციპლინას „სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაციას“ იხსენიებს, როგორც „სასამართლო წყობილებას“ (გვ. 38), თუმცა დასახელებული საგნის ასეთი სახელწოდება დღეს უკვე აღარ იხმარება.

სინაწულს იწვევს ის ფაქტი, რომ ავტორი არ იხილავს სისხლის სამართლის პროცესსა და საპროკურორო ზედამხედველობას შორის ურთიერთ დამოკიდებულებასა და შეფარდებებს. ეს მიუთმეტეს აუცილებელია, რადგან 1954 წლამდე „საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში“ უმაღლეს სასწავლებლებში იკითხებოდა სისხლის სამართლის პროცესთან ერთად.

არასწორად მიგვაჩნია პროფ. ბ. ფურცხვანიძის მტკიცება იმის შესახებ, რომ „კრიმინალისტიკა ფაქტიურად წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის კურსის გაგრძელებას, მის სპეციალურ ნაწილს“ (გვ. 40). ასეთი მოსაზრება იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აღრე პროფ. შ. ს. სტროგოვიჩის მიერ.¹

უდავოა ის დებულება, რომ კრიმინალისტიკური ტექნიკა, ტაქტიკა და გამოძიების მეთოდიკა ხორციელდება მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების დაცვით, მაგრამ ამ დებულებიდან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ კრიმინალისტიკა აო არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომ იგი არის სისხლის სამართლის პროცესის სპეციალური ნაწილი ან მისი გაგრძელება.

სარეცენზიო ნაშრომის V თავი მიძღვნილია პროცესის მონაწილეებზე, მათ უფლებებსა და

მოვალეობებზე. ამ თავში ავტორი ცვალებად პროცესის მონაწილეთა კლასიფიკაციას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის რ. დ. რახუნოვის მიხედვით.² უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე სახელმძღვანელოში ეს საკითხი გადმოცემული უნდა ყოფილიყო მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის სასწავლო პროგრამის მიხედვით. ამავე დროს, ავტორს რასაკვირველია შეეძლო მიეთითებინა პროცესის მონაწილეთა კლასიფიკაციაზე ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებების მიხედვით და ამ საკითხზე გადმოეცა თავისი აზრიც.


ამავე თავში პროფ. ბ. ფურცხვანიძე იხილავს დამცველისა და სამართალში მიცემულის ურთიერთდამოკიდებულებას სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას, მაგრამ სასურველი იყო ავტორს უფრო დაწვრილებით განემარტა საკითხი რეალური დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, არის თუ არა რეალური დაცვის უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო სთავაზობს სამართალში მიცემულს დამცველს, რომელიც სხდომაზე არ ესწრება და ამასთან დაკავშირებით, სამართალში მიცემული აძლევს სასამართლოს ხელწერილს დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

XIII თავში ავტორი იხილავს მოწმის პასუხისცემაში მიცემის წესის პროცესულურ საკითხს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის. კერძოდ, ავტორი 202 გვერდზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად მიუთითებს, რომ „თუ მოწმე უარს იტყვის მისცეს ჩვენება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოს, უკანასკნელი მოვალეა შეადგინოს ამის შესახებ ოქმი და გაგზავნოს უახლოეს სახალხო სასამართლოში, რომელიც ამ საქმეს შეიტანს საერთო წესით სასამართლო განხილვისათვის“. მაგრამ, ავტორი შემადგომ გვერდებზე არ ხსენის ამ საკითხის არსს, კერძოდ, აუცილებელია თუ არა ამ ფაქტზე გამოვიტანოთ სპეციალური დადგენილება მოწმის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, აუცილებელია თუ არა საერთოდ ამ საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოება და სხვა. ყველა ეს საკითხი მკითხველისათვის საინტერესოა და იგი ავტორს უნდა განეხილა.

ნაშრომის 222 გვერდზე, ჩვენის აზრით, მოცემულია მცდარი თეზისი. პროფ. ბ. ფურ-

¹ М. С. Строгович, Курс Советского уголовного процесса, Издательство АН СССР, 1958, стр. 55.

² Р. Д. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, Госюриздат, 1961 г.



ცხვანიძე მიუთითებს: — „უკეთუ მომკვლევინ პირი, გამოძიებელი ან პროკურორი არ დაეთანხმებინა ექსპერტის დასკვნას, სავალდებულოა ახალი ექსპერტიზის დანიშვნა, რადგანაც დასახელებული თანამდებობის პირნი საქმეს საბოლოოდ არ წყვეტენ, ისინი მხოლოდ აგროვებენ მასალას სასამართლოში წარსადგენად...“

აუცილებელია აღენიშნოთ, რომ ასეთი აზრი ადრეც იყო გამოთქმული იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ იგი არ შეიძლება სწორად ჩავთვალოთ, როგორც ძველი ისე ახალი საპროცესო კანონმდებლობის თვალსაზრისით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად ექსპერტის დასკვნა სავალდებულო არ არის პროკურორის, გამოძიებლის, მომკვლევინ პირისა და სასამართლოსათვის. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტის დასკვნას ისინი არ ეთანხმებიან შეიძლება დაინიშნოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა.

ავტორი 303 გვერდზე სწორად აღნიშნავს, რომ შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების საჭიროების შესახებ გამოძიებელს გამოაქვს დადგენილება, მაგრამ არ იხსენიებს კანონის სხვა მოთხოვნას, კერძოდ, არაფერს ამბობს შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების ჩამორთმევის პროცესის ამსახველ სპეციალური ოქმის შედგენის აუცილებლობაზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი).

238 გვერდზე ავტორი მიუთითებს, რომ „პირველადი მასალის (შემოსული განცხადების, ცნობის) შემოწმების უფლება პროკურატურის ორგანოებში ეკუთვნის მხოლოდ პროკურორსა და მის თანაშემწეს“. პროფ. ბ. ფურცხვანიძის ასეთ შეხედულებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან იგი არ გამოდინარეობს კანონის შინაარსიდან. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლიც ნათქვამია, რომ პროკურორი, გამოძიებელი, მომკვლევინ პირი, მოსამართლე მოვალენი არიან მიიღონ განცხადება და ცნობა ყოველი ჩადენილი ან ისეთი დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება, და რომ შემოსული განცხადების ან ცნობის გამო შეიძლება გამოთხოვილ იქნეს საჭირო მასალები და მიღებული ახსნა-განმარტება, მაგრამ სავამოძიებლო მოქმედებათა წარმოების გარეშე. როგორც ვხედავთ კანონი არ უკრძალავს გამოძიებელს თვითონვე აწარმოოს პირველადი მასალების შემოწმება. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლი-

კების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები პირდაპირ მიუთითებენ გამოძიებლის უფლებაზე შეამოწმონ პირველადი მასალები. ასე მაგალითად: უკრაინის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი ხაზს უსვამს, რომ „თუ აუცილებელია დანაშაულის შესახებ განცხადების ან ცნობის შემოწმება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, ასეთი შემოწმება ტარდება პროკურორის, გამოძიებლის, ან მომკვლევინ ორგანოს მიერ...“

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმრავლესობა, მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებს სპეციალისტის პირიდან, რომელიც კონსულტაციას აძლევს გამოძიებელს იმ სპეციალურ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება შემთხვევის ადგილის დათვალიერების წარმოებისა და ზოგიერთ სხვა სავამოძიებლო მოქმედებათა დროს. ჩვენის აზრით, ავტორს უნდა გაემხვილებინა ყურადღება ამ ახალ საკითხზე, მაგრამ, სამწუხაროდ, სპეციალისტის პირიდან სისხლის სამართლის პროცესში ავტორის ყურადღების გარეშე დარჩა.

შრომის 470 — 473 გვერდებზე პროფ. ბ. ფურცხვანიძე იხილავს საკითხს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის, განჩინების ან დადგენილების ზედამხედველობის წესით გაპროტესტების შესახებ. ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, ჩვენის აზრით, საჭირო იყო ავტორის გამოეთქვა თავისი მოსაზრება პროცესულ ლიტერატურაში სადავო, მაგრამ პრაქტიკულად მეტად აქტუალურ შემდეგ საკითხებზე:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 383-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია თუ არა სისხლის სამართლის საქმის გაპროტესტება მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადასინჯვის შესახებ, როდესაც ეს საკითხი წყდება მსჯავრდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ და კანონით დაწესებული ერთი წლის ვადა კი ვასულია;

სისხლის სამართლის საქმის საკასაციო ან საზედამხედველო წესით განხილვისას ერთი პირის მიმართ დაკისრებული ხარჯების ამორიცხება (სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს) ხომ არ ამძიმებს დანარჩენ პირთა მდგომარეობას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თვალსაზრისით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 383-ე მუხლით დადგენილი ვადა (1 წელი) გულისხმობს ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის მომენტს თუ ავ-

რეთვე საქმის არსებითად განხილვის მომენტსაც.

ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომში ვხვდებით ზოგიერთ კორექტურულ შეცდომებსაც, კერძოდ, 26 გვერდზე ავტორი ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მაგიერ წერს „მეოთხე სესია“-ს, 174 გვერდზე „კერძო განჩინების“ მაგიერ ხმარობს ტერმინს „განჩინებას“ და სხვა.

ყველა ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებების მიუხედავად სარეცენზიო დამხმარე სახელმძღვანელო საერთო დადებით შეფასებას იმსახუ-

რებს. პროფესორ ბ. ფურცხვანიძის შრომა „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“ დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო ამ იურიდიულ დისციპლინის ქართულ ენაზე შემსწავლელ სტუდენტებს, არამედ საქართველოს სსრ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს პრაქტიკულ მუშაკებსაც.

3. მაისურაძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,

ა. ფალიაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მოკლე ახალ გამოცემაზე

ნაშრომი სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე



იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გასულ წელს ცალკე წიგნად გამოსცა ს. ვ. ბოროდინისა და ა. ი. ფალიაშვილის ნაშრომი „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ (სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი სასამართლოების მასალების მიხედვით). წიგნის რედაქტორია პროფ. დ. ს. კარევი.

ნაშრომი ავტორთა მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. მასში საქმის ღრმა ცოდნით განხილულია სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ექსპერტიზის მნიშვნელობა და ამოცანების სისხლის სამართლის საქმეებზე, ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება, ექსპერტიზის დასკვნის შეფასება და განმეორებითი ექსპერტიზა.

ავტორებს საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა და დღემდე გამოცემული ლიტერატურა ამ საკითხზე. ნაშრომში მითითებულია იმ ხარვეზებსა და შეცდომებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნიათ სასამართლო ორგანოებს ექსპერტიზების (მათ შორის განმეორებითისაც) დანიშვნის, ჩატარებისა და ექსპერტთა დასკვნების შეფასების საქმეში. ამის დასადასტურებლად ბევრი მაგალითია მოყვანილი სასამართლოების მუშაობის პრაქტიკიდან. იხილავენ რა კრიტიკულად უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებს და რიგი ავტორების დებულებებს სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე, ავტორები აქვე იძლევიან სწორ რეკომენდაციებს.

დასახელებული ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს სასამართლო ორგანოების მუშაკებს პრაქტიკულ საქმიანობაში. საგულისხმოა, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ნაშრომი ქართული ექსპერტი—კრიმინალისტიკის თანაავტორობით.

როგორც ცნობილია, სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მასალების მიხედვით, ჯერ კიდევ, არ არის შესწავლილი. ამიტომ სასურველი იქნება, თუ დოც. ა. ი. ფალიაშვილი ითავეს ამ მეტად საჭირო საქმეს, რითაც ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას.

რ. მგელაძე,

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი
კრიმინალისტური ლაბორატორიის
უფროსი ექსპერტი

ქართული კრიმინალისტოგრაფიის საკავშირო კავშირი



იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ახლახან გამოსცა საბჭოთა კავშირის პროკურატურის დანაშაულის მიზეზების შესწავლისა და გაფრთხილების დონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების მორიგი № 8-9 კრებული „კრიმინალისტიკის საკითხები“.

კრებულში მოთავსებული ქართველი კრიმინალისტების: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, ექსპერტ-კრიმინალისტის ა. ი. ფალიაშვილის და თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტის ო. მ. მგელაძის შრომები.

ა. ი. ფალიაშვილი თავის ნაშრომში: „კაბილარული ქარგების დეტალების მნიშვნელობის განსაზღვრის სტატისტიკური მეთოდის საკითხისათვის დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზაში“, აშუქებს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის მეთად აქტუალურ და ჯერ კიდევ სათანადოდ დაუმუშავებელ საკითხს.

აღნიშნული ნაშრომი, რაც ავტორის ცენტრალურ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში ექსპერტ-კრიმინალისტად მუშაობის მრავალი წლის შედეგია, გარკვეულ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ექსპერტ-კრიმინალისტებს თავიანთ საექსპერტო საქმიანობაში.

კარგი იქნება თუ თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის და მილიციის სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტები ჩაატარებენ ანალოგიურ ექსპერიმენტულ სამუშაოებს იმ მასალებზე, რაც მათთან შემოდის სასამართლო-პროკურატურის და სავაჭრო-მომხმარებლო ორგანოებიდან დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

ო. მ. მგელაძე თავის ნაშრომში „კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხისათვის საქართველოში“, გადმოგვცემს კრიმინალისტიკის ისტორიის ჯერ კიდევ გაუშუქებელ და ქართველი მკითხველისათვის საინტერესო საკითხებს.


აღნიშნულ ნაშრომს, რაც ავტორის მიერ 1962 წელს მოხსენების სახით იქნა წაკითხული ქ. თბილისში კრიმინალისტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, მაღალი შეფასება მისცა ცნობილმა საბჭოთა კრიმინალისტმა პროფ. ა. ი. ვინბერგმა. ნაშრომის იმ ნაწილს კი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ ვის მიერ იქნა პირველად გამოყენებული სასამართლო ფოტოგრაფია დოკუმენტების გამოკვლევისას სასამართლო პრაქტიკაში—ე. თ. ბურინსკის თუ ჰ. ვ. სტრუფეს მიერ, ა. ი. ვინბერგმა გადატრიალებაც კი უწოდა კრიმინალისტური ექსპერტიზის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ისეთ პოპულარულ კრებულში როგორცაა „კრიმინალისტიკის საკითხები“ ქართველი კრიმინალისტების შრომებიცაა წარმოდგენილი, რაც უდაოდ მისასალმებელია.

ო. ჟღენტი,

საქართველოს სსრ პროკურატურის
პროკურორი-კრიმინალისტი,
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

ბროშურა წერიტი მეცყველების ნიშნებუა



საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების კრიმინალისტიკის კაბინეტმა, გამომძიებელთა სამსახურებრივი საჭიროებისათვის, გამოსცა თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკის ლაბორატორიის უფროსი ექსპერტის — უფროსი მეცნიერმუშაკის ო. მ. მგელაძის ბროშურა „წერიტი მეცყველების ნიშნები“ (რედაქტორი ო. ბ. ჟღენტი).

ცნობილია, რომ წერიტი მეცყველების ნიშნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხელნაწერის ექსპერტიზის ჩატარებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი გამომძიების მუშაკთა პრაქტიკულ საქმიანობისათვის, როდესაც მათ უხდებათ ამა თუ იმ დოკუმენტის დამწერი პირის დადგენა. ამაზე ნათლად მეცყველებს ბროშურაში მოტანილი მაგალითები ჩვენს რესპუბლიკის საგამომძიებლო პრაქტიკიდან.

წერიტი მეცყველების ნიშნებს შორის გამომძიებლის საქმიანობაში, როდესაც იგი დოკუმენტის დამწერ პირს ეძებს, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქართულ კილოებს ენიჭება. აქედან გამომდინარე ავტორი სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც ბროშურაში გადმოსცა თვითეული კილოს ტექსტის ნიმუშები და მიუთითა იმაზე თუ საქართველოს სსრ რომელ რაიონებშია გავრცელებული თვითეული მათგანი.

ბროშურის გამოცემით საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების კაბინეტმა კარგი საქმე გააკეთა.

ბ. როინიშვილი,

ქ. თბილისის პროკურატორის მოადგილე,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი.



ფასი 50 კპპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР